



„ჩემი სიყვარულია უმთავრესი ჩემი სამშობლოს
 ქვეყანა ყველგან ერთი უნდა
 ყოფილიყო, მაგრამ ქართველთა სამშობლოს
 სამართველო დიდი რამა ყოფილა“ ...

№9. ოქტომბერ-ნოემბერი

მამაუღი

ქართულ ენობრივობას კავშირებულად ვაძლევთ მკაცრად მტკიცედ

The ANTHEM
OF GEORGIA

My icon is my motherland,
 And icon-stand is whole world,
 bright mounts and valleys
 are shared with God.
 Today our freedom
 sings to the glory of future,
 the dawn star rises up
 and shines out between two seas.
 Praise be to the liberty,
 Praise be to the liberty!



სამართველოს
ჰიმნი

ჩემი ხატია სამშობლო,
 სახატე მთელი ქვეყანა,
 განათებული მთა-ბარი
 წილნაყარია ღმერთთანა.
 თავისუფლება დღეს ჩვენი
 მომავალს უმღერს დიდებას,
 ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
 და ორ ზღვას შუა ბრწყინდება.
 დიდება თავისუფლებას,
 თავისუფლებას დიდება!

და ვაძლევთ
ინტერნეტი!
 ნახული მიმოგებ
 შევარდნაში მოგიტან, ღაღა!



**ვინაა
 უნესკაზე
 ვაქონსა უნი?
 უოთა
 რუსთველი
 თუ გეგე
 დემეტრე?**
 ქართველ მეცნიერთა
 დასკვნები

“**თუ ვინაა უნესკაზე
 ვაქონსა უნი?
 უოთა რუსთველი
 თუ გეგე დემეტრე?**”

არცთუ ახალი ფიქრები
 ოთარ სეფიანაშვილის პნემატოლოგიის გეგმა

გე გიგეა ანაფური გარეჯე



**კარგად
 დააკვირდით
 ამ გოგონას!**
 მის მზერაში
 მართველობა
 იმალება!

მთავარი რედაქტორი
მანუჩარ კატჩახიძე

Editor-in-chief
Manuchar KATCHAKHIDZE



კოლეგია: მკა მაისურაძე (რედაქტორი), ნინო ხაბეაშვილი (რედაქტორი გერმანიაში), მკა ყარალაშვილი, გიორგი ბაძრაძე (რედაქტორი კანადაში).

Board: EKA MAISURADZE Editor, NINO KHABELASHVILI Editor in Germany, EKA KARALASHVILI, GEORGE BAKRADZE Editor in Canada.

P.O. Box 13121, Jersey City, NJ 07109, Phone: 347-724-0770

ტექნიკური სამსახური:
ელენე ჯიქური,
თამარ აბრამიშვილი,
გიული ფერაძე

1 იანვრიდან წყდება ხელმოწერა გაზეთზე „მამული“



ნინო
ხაბეაშვილის
მონაწილეობა

მშვიდობას ვეტყვი მალე ქართულ ზეცის საფირონს, და მცირე ტალღად შევერწყები ზღვას უნაპიროს, ქარს იმქვეყნიურს დავახვედრებ მალე წინ აფრას, დიდებულია! გარდავიქცევი უცებ წინაპრად.
და თუმცა ჩემი გამგზავრება ჰგავდა წვალეხას, სიკვდილი მინც არ დაარქვით გარდაცვალებას. მე წავალ, რადგან დრო აღარ მაქვს უკვე დარჩენის, მე წავალ, მაგრამ საძუღამოდ თქვენთან დავრჩები.
მეც ვიძევზურებო, ცხოვრების გზას როცა გაჰყვებით, მე დავინახავთ, მაგრამ ველარ დავინახვებით.
მე არასოდეს არ ვიქნები თქვენთან მოღავე, სამშობლო თქვენი თუ არასოდეს არ იცოტავით!
მაგრამ იცოდეთ, მე იმ დღიდან თქვენთან არა ვარ, თუ სარბიელად საქართველო გეპატარავათ.
დამარცხებულიც არასოდეს ჩანდეთ საბრალოდ, ვინმეს სიგლახე კაცთა მოდემას არ დააბრალოთ...
ტკბილი გექნებათ სიყმაწვილე, მერე სიბერეც, სხვათა მიღწევით სინარული თუ გაიბეგრეთ.

თუ შეცდომებს ნახავთ...

ერთი ფინური გაზეთი ყოველთვის აქვეყნებს ასეთ ცნობას: „თუ ტექსტში შეცდომებს ნახავთ, იგულისხმეთ, რომ ის დაშვებულია განზრახ. ჩვენს გაზეთს სურს, რომ ყველას ასიაშოვნოს. ხომ არიან ისეთი მკითხველებიც, რომლებიც მხოლოდ შეცდომებს ეძებენ და ტკბებიან, როცა ასეთს ნახულობენ?“
გაზეთ „მამული“ რედაქცია ანალოგიურად ზრუნავს თავის მკითხველებზე. თუმცა სხვა რედაქციებთან შედარებით, მინცდამინც დიდ მზრუნველობას ვერ ვიჩინო, რისთვისაც ბოდიშს მოვითხოვთ. ვინც შეცდომას აღმოაჩენს ჩვენს გაზეთებში და შემდეგ სხვა გაზეთებთან შეაჯერებს, სპეციალური პრიზით დაჯილდოვდება.
რედაქციის შტაბში არც კორექტორია, არც სტილისტი, არც მორიგე რედაქტორი... ამიტომ შეცდომების დაშვებისათვის საყვედურს ბრძანებით გამოუვცხადებთ კომპიუტერს.

რედაქციის

ბოდიში

ძვირფასო მკითხველო,
გაზეთის ოქტომბრის ნომერს, თუმცა ნოემბრის ნომერსაც, კარგა გვარიანად დაგვიანდა. უხვად დაგროვილი პრობლემების გამო სათუო იყო არც კი გამოსულიყო საერთოდ, თუმცა, დაუსრულებლად ატეხილმა მკითხველთა სატელეფონო ზარებმა, ლოდინმა და ინტერესმა თავისი ქნა, შეუძლებელი შეგვადლებინა და აი, დღეს უკვე გაზეთის ახალი ნომერიც გადაფურცლეთ...
ყველას უკლებლივ მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმ დიდი მხარდაჭერისათვის, სურვილისათვის, რომ ამ უცხო მიწაზე „მამული“ არ მოკვდეს, იარსებოს და ქართველობა გვაძახოს...

ორიოდე წლის წინათ მანუჩარ კატჩახიძის მიერ გაზეთ „ივერიაში“ დარისხებული განგაშის ზარების გაბრძნობა სამარცხვინოდ გაპარვული და გაყიდული „დედაენის“ ქველის გამო, რომლის აღდგენას რატომღაც არ ჯდება „ახალი სამართებლოს“ პროგრამებში.

მაგანმა „დედა ენა“ ხუთიოდე ღარად გაგვიყიდა! უფრო სწორედ, სამი კილოგრამი ვაშლის საფასურად.
ღიას, ჩვენს დედაქალაქში მტკვრის სანაპიროზე მდებარე სკვერში აღმართულ ელგუჯა ამამუკელის მიერ შექმნილ ძეგლს უმთავრესი აგრიბუგი, ძეგლის საპირკველში გამოკვეთილი ია გამოაცალეს.

და ჩვეულებრივად, ბრინჯაოს ფასში, ხუთიოდე ღარად გაჰყიდეს.

ეს ხელწერა გვაგონებს საგურამოს გზაზე, ილია ჭავჭავაძის ძეგლის გყვიებით დაცხრილვის მეტად სამარცხვინო ფაქტს.

ძველ და ახალ შემთხვევაშიც, არათუ დამნაშავეთა დასჯაზე, არამედ მათ პოენაზეც არ უფიქრიათ... წლობით არქივებში მტვერდადებულ გაუსხნელ საქმეთა კასგას ახალს ხომ არ დაუმაგებლენ?!
ამ ნომერში უკანასკნელად ვებჭლავთ ძეგლის განმარტებას, იმის მიუხედავად, რომ მან უკვე სრულიად დაკარგა ფასი იის გარეშე.

მხოლოდ იმისათვის, რომ პასუხი გვექონდეს თაობათა კითხვაზე, თუ რატომ არის ღია ორმო ძეგლის კვარცხლბეკზე?
ჩემო შვილო თუ შვილიშვილო,
ამ ძეგლის აღმართვის იდეა ნოდარ ღუმბაძეს ეკუ-



თვნის, იგი „დედა ენის“ შექმნის 100 წლისთავს მიეძღვნა. მასზე უნაშენი ყვაილი - ია იყო გამოსახული. „ია“ არის პირველი სიგყვა „დედა ენაში“ რომ ამოიკითხე. ამ სიგყვებით გახდა შესაძლებელი რომ ამოგვეცნო „ყოველი საიდუმლო, რომელიც ამას ენასა შინა დამარხულ არს“?

ხოლო ბიჭუნა მალა ხელთაპყრობილი, თითქოს მევი-

მიწვევს, თითქოს ცისაკენ მიფრინავს, ისეთ შთაბეჭდილებას გვიტოვებდა, რომ აქვე, ძეგლის ძირში გამოკვეთილი იიდან იყო ამოფრენილი.

ია გადააღწეს, ბიჭუნა კი ფეხვის გარეშე ცაში აფრენილი დაგოვებს!

რა დაგვრჩა მის ფიგურაში? იგი აღარ გამოხატავს აღმაფრენას, შემართებას, რწმენას, სიმტკიცეს, შეუპოვრობას, გამბედაობას, სწრაფვასა და ლგოლვას. მხოლოდ მისი ჩაღვლილი მკერდი, ქარში თავისუფლად გაშლილი განსაცმელი, ღონიერი ხელები და მიწისაგან დაშაშრული ფეხები დაგვრჩა.

ერთადერთ ამრს, რასაც ძეგლი გვაძლევს, არის ბიჭუნა, რომელიც შორი მანძილიდან გამოეჭანა, „ჰო“ დაიძახა, ახგა და სიმბლღემ დაკიდულ მარს ხელი გამოკრა...

იმ მარს კი აღრე სხვა დანიშნულება ჰქონდა. იგი ცოდნის, სწავლის შეძენისაკენ უხმობდა ბიჭს. სიმბულურად კი სამშობლოს ძახილსაც გამოხატავდა.

დღეიდან კი, ალბათ სხვა დანიშნულება ექნება ამ მარს. როცა მცხეთიდან თბილისის ქარი დაუბერავს და ფერადი ფოთლებით მიმოიფანტება არემარე, გავიგონოთ მარის გუგუნის, ჩვენი სირცხვილის გასახსენებლად...

აღსრულდა!

საქართველოს დედაქალაქში, ელიას მთაზე წმინდა სამების სადიდებელი გვირგვინი დაიდვა. ოთხწლიანი შრომის, ღვაწლისა და ლოცვის შემდეგ აშენდა წმინდა სამების დიდებული ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი, რომელიც კიდევ 11 ტაძარს აერთიანებს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ტაძარი დიდმოწამე გვირგვინის ხსენების დღეს აკურთხა. კურთხევის შემდეგ უწმინდესმა აღავლინა საზეიმო წირვა-ლოცვა, რომელშიც მონაწილეობდა მსოფლიოს ყველა ავტოკეფალური ეკლესიის წარმომადგენელი. ამიტომაც ისმოდა წირვის დროს სადიდებლები ძველბერძნულ და რუსულ ენებზეც. ცხადია, უწმინდესთან ერთად ლოცულობდა საქართველოს ყველა ეპარქიის მღვდელმთავარიც.

მრევლი ტაძარში ვერ დაეტიდა და მორწმუნეთა დიდი ნაწილი გარეთ გამოტანილი გამძაღვიერებლების საშუალებით ისმენდა ლოცვას.

კარიბჭიდან ტაძრის კიბეებზე გაფენილ წითელ ხალიჩას ორივე მხარეს მწკრივად ედგა საპატიო ყარაული. აქა-იქ ძველი მხედრული ფორმით შემოსილი ადამიანებიც ჩანდნენ. ყოველ დღეგაცაიას ზარების გუგუნით ხვდებოდნენ და ტაძრის შესასვლელამდე დროშანი სტიქაროსნები აცილებდნენ. ასე შევიდნენ ტაძარში უმაღლესი სასულიერო იერარქიის წარმომადგენლები, მღვდლები, სახელოვანი მეცნიერები, ხელისუფლების წარმომადგენლები, ჩოხოსნები და სხვა მორწმუნე მრევლი. სტუმრებს შორის იყვნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატები და სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებიც.

წირვის დასასრულს ხალიჩაზე გამოჩნდნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია. უწმინდესი მათ ტაძრის შუაგულში მიეგება.

და ბრძანა პატრიარქმა: “თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო, ყოვლად სამღვდელთა მღვდელმთავარო, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო, დანო და ძმანო. წმინდა მეფე დავით წინასწარმეტყველი ფსალმუნში ბრძანებს: “დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენი.” ჩვენ

ვართ მომსწრენი ამ დიდი საკვირველებისა. სიმდაბლით შევთხოვ ყოვლადწმინდა სამებას, რათა სუფევდეს ჩვენში და მცირე ძღვენად მიიღოს ჩვენგან ეს წმინდა ტაძარი. ჟამსა შეჭირვებისასა, შეწვევითა უფლისათა, ქართველმა ხალხმა ააშენა ტაძარი წმინდისა სამებისა სადიდებლად ღმრთისა და მოსაქცევად ერისა ჩვენისა. დიდება მოწყალებასა შენსა უფალო. წმინდა სამების საკათედრო ტაძარი ესე აღაშენე შენ უფალო, მოწყალო ღმერთო. ჩვენ კი ვიყავით მდაბალინი მუშაკნი შენი. და აღაშენე ესე იმედად და ნუგეშად ჩვენდა და სადიდებლად შენდა.

ტაძარსა ამას შინა ჩვენი ერი აღაველენს სადიდებელსა უფლისასა. უფლისადმი აღველინებიან ლოცვანი ჩვენი, ვითარცა საკმეველი წინაშე ღმრთისა. აქ დაიდევრება მრავალი ცრემლი სინანულისა, განელდებიან გულნი ჩვენი ცოდვათაგან მომწყდარნი და აღდგება საქართველო, ვითარცა ლაზარე ძილისაგან და ღამისა დიდისა. სინანულთა ჩვენითა და მეოხებითა ყოვლადწმინდისა ღმრთისმშობლისათა გაბრწყინდება და ლოცვილი და კურთხეული იბერია. იბერიელნი და ყოველნი მკვიდრნი საქართველოსანო, გესმოდეთ სიტყვანი უფლისანი: “აჰა, ესერა მიმიცემია წინაშე შენსა კარი გაღებული, რომლისა დახშვას ვერავინ შემძლებელ არს!” მაშ, შევიდეთ ძმანო და დანო, კართა ამით და ვიყოთ მკვიდრნი სასუფეველისანი. ტაძარსა ამას შინა ღმერთმა ისმინოს ლოცვანი ჩვენი და წმინდა გვეოს ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნეს სულნი ჩვენი. ჩვენთან არს ღმერთი!

წმინდანო მეფენო, დედოფალნო, მღვდელმთავარნო და კათოლიკოს-პატრიარქნო საქართველოისნო, ჩვენო დიდო წინაპარნო, მოწამენო, იხარეთ ჩვენთან ერთად, იხარეთ სავანესა მართალთასა და აღავლინეთ ლოცვანი თქვენი უფლის წინაშე, რათა განმტკიცდეს ჩვენში მართლმადიდებელი სარწმუნოება, სიყვარული და სასოება; რათა უფალმა მიანიჭოს ქვეყანასა ჩვენსა მშვიდობა, მთლიანობა, ერსა ჩვენსა - ერთსულვნება და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა.

სიმბოლურია ის, რომ ტაძარი წმინდისა სამებისა იკურთხება



თენდება!

ეს ფოტო გადაღებულია ერთი წლის წინათ რუსთაველზე, რევოლუციურ დღეებში, როდესაც მთელი ქვეყანა ახალი ეპოქის მოლოდინით სუნთქავდა. გვირგვინის გათენებადლე ჯერ კიდევ ორი კვირა რჩებოდა, მაგრამ ყველაფერი უტყუარად მიანიშნებდა, რომ საქართველო უკან აღარ დაბრუნდებოდა.

23 ნოემბერს, 20 საათსა და 45 წუთზე, ეღუარდ შეგარდნაძე გადადგა და საქართველოს ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო.

ზუსტად ერთი წელიწადი გავიდა...

ეს იყო დიდი მოლოდინის, დიდი გამოწვევების წელიწადი. იყო საქართველოს ერთიანობისთვის დიდი გამარჯვება და იყო ღალატის და შეცდომების; იყო აღფრთოვანება წინსვლით და იმედგაცრუება წარსულთან ანალოგიით.

მაგრამ, რაც მთავარია, ამ გათენებამ, ხანგრძლივი ძილის შემდეგ, გამოავლინა სახელმწიფოს სხეული.

ეს იყო ქმედების წელიწადი! და ეს არის მთავარი იმედი, რომ განთიადს ბრწყინვალე დღე მოჰყვება; რომ გულგრილობას საიმაყე შეცვლის; რომ გაჭირვება საბუდამოდ დატოვებს ქართველთა სახლებს; რომ გამარჯვების წყურვილს მოიკლავს ქართველი.

დღეს მომავლის საქართველოს დილა უდგას. ყველაფერი მოესწრება, თუ ქვეყანა ძილს არ შეიბრუნებს და ისევ სიზმრებში არ გაეხვევა.

ჯერ კი ისევ თენდება...

დღეს ხსენებასა წმინდისა გვირგვინისა. მთელი მსოფლიო აღნიშნავს მისი წამებიდან 1700 წლისთავს. დალოცოს მან ყოველი ადამიანი და განსაკუთრებით ის ადამიანები, რომლებიც მონაწილეობდნენ მშენებლობაში წმინდისა ამის ტაძრისა. კურთხეულ იყოს მათი ოჯახები და მომავალი.

ღვთიკურთხეული იბერიელნი და ყოველნი მკვიდრნი საქართველოისნო, გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს. ღმერთს ებარებოდეთ და იხარეთ ორთავე სოფელსა შინა, ამინ!


პატრიარქის შემდეგ საპატიო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა: “თქვენო უწმინდესობავ, პატივცემულო საზოგადოებავ, პატივცემულო სტუმრებო! გილოცავთ ამ დიდად მნიშვნელოვან დღეს ჩვენი ერის ცხოვრებაში. მინდა, მოგესალმოთ დღეს, გვირგვინის ბრწყინვალე დღესასწაულს, რომელსაც სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ერისათვის. მინდა, მივესალმო მის უწმინდესობას, რომლის მოღვაწეობის გვირგვინი არის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის გახსნა. განსაკუთრებით მინდა, აღ-

ვნიშნო, რომ ეს ტაძარი ააშენა

მთელმა საქართველომ. ათიათასობით ადამიანს შემოჰქონდა შემოწირულობა. თითოეულ ქვაში, თითოეულ წახნაგში არის ქართველი ერის საუკეთესო იმედი და სურვილები. განსაკუთრებით მინდა, აღვნიშნო ჩვენი სულიერი მამის და ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანის, მისი უწმინდესობის ღვაწლი. 70-იან წლებში, როცა ის ჩაუდგა სათავეში ჩვენს ეკლესიას, ბევრად მძიმე მდგომარეობა იყო - ტაძრები დანგრეული, სულიერი ცხოვრება დაცემული. მან მოახერხა რწმენის გამოღვიძება, ხალხის ეკლესიისაკენ შემობრუნება, ახალი ტაძრების აგება, სამონასტრო ცხოვრების აღდგენა-აღორძინება და ფართო მასშტაბებით გაშლა. ჩვენი ერის ყველაზე კრიტიკულ მომენტებში, როცა ვიბრძოდით ჩვენი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, უწმინდესი ყოველთვის ჩვენი ერის გვერდით იდგა. მე ქედს ვიხრი მისი რწმენისა და გამბედაობის წინაშე და ვუსურვებ მას დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, კიდევ მრავალი წლით ჩვენი ერის სულიერ მამობას და ეკლესიის

წინამძღოლობას”.

წესისამებრ, საქართველოს პატრიარქმა საქართველოს პრეზიდენტი ტაძრის კარამდე მიაცილა და დაემშვიდობა. საქართველოს პრეზიდენტმა მუხლი მოიდრიკა მის წინაშე და ხელზე ეამბორა.



“სისხლი გრძნობს ნოსტალგიას, სისხლი ენციკლოპედიაა...”

დოსტოევსკი

ინგლისურენოვანი გაზეთი... თავფურცელის შუაგულში მსხვილი პლანით დაბეჭდილი ფოტოა, ასევე თვალში მოსახვედრი წარწერით: A Friend from Home

კორესპოდენტი მშრალი ინფორმაციული ენით ცდილობს თქვას სათქმელი. ჩვენი ჯიშისა და ჯილაგის კაცი კი გრძნობის გარეშე ვერ მიიღებს ამ ამბავს, თვალთაგან უნებურად გადმოვორებული ცრემლითაც კი შეიძლება დაასველოს სტრიქონები. მე რომ მკითხონ, სათაურად “Home-sick” მოუხდებოდა, იმიტომ, რომ... არა, მოდით მე თვითონ მოგიყვებით (რადგანაც დავინტერესდი და მეტი გავიგე), მხოლოდ ისე, როგორც ზღაპარში ხდება:

იყო და არა იყო რა, ღვთისუ-



სკოლის მეორე კლასში სწავლობს, უნიჭიერესი და უბეჯითესი მოსწავლეა, ბევრსაც მეკითხება საქართველოსა და ქართველებზე, საქართველოდან ქართული წიგნები ჩამოვუტანე და იმის შემდეგ გახდა არ უნდა, თუ სახლში აცვია, თუ სკოლის საზეიმო ღონისძიებებზე. სკოლაში ხშირად მივლივარ მასთან და მისი თხოვნით სამშობლოს შესახებ მის თანაკლასელებსაც ვუყვები და საკუთარი სახელების ქართულად წერაც კი ისწავლესო..

ამასწინათ თათია-ელის იდეითა და დედების დახმარებით სკაუტელმა გოგონებმა შალის საბნები შეკერეს, ნამუშევრებს სახელები ქართულადც დააწერეს და შუამავალი ორგანიზაციის საშუალებით ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს გაუგზავნეს საქართველოში. პასუხად მაღლობის წერილები და ამერიკულ საჩუქრებთან გადაღებული ფოტო-სურათებიც მოუვიდათ. ელის ყურადღება ერთ-ერთი ბიჭუნას სახემ მიიპყრო, მისი შეკერილი საბნით

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ, და მისროლია ისარი, სად მამა-პაპა მეგულების, იმათი კუბოს ფიცარი... სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, ჩემი სამშობლო ის არის... არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა. მე მირჩევნია სალი კლდე, თოვლიან-ყინულიანი, ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქერი გადმოქუხს მაღალხმიანი, ჯიხვი და არჩვი მეყოფა ზორცი აქვს მარილიანი, სამშობლო დედის ტუბუი არ გაიცვლების სხვაზედა, ორთავ ტუბილია ძმობილო, მირჩევნის ორთავ თვალზედა... სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ, და მისროლია ისარი, სად მამა-პაპა მეგულების, იმათი კუბოს ფიცარი, სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ ჩემი სამშობლო ის არის... რაფიელ ერისთავი.

კარგად დააკვირდით ამ გოგონას!

კეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი უშვილო ცოლ-ქმარი, დღე და ღამე შვილის ნატვრაში უთენდებოდათ და უღამდებოდათ. ერთ მშვენიერ დღეს „გრძელფეხება წეროშ“ სახლის სახურავზე სახვევებში გახვეული, ობოლი ჩვილი დაუსვა და სახტადდარჩენილ ცოლ-ქმარს ფრთების ტყლაშუნით გაშორდა. ბავშვი გოგონა აღმოჩნდა, ისეთი ლამაზი და პატარა, როგორც მისი მშობელი ქვეყანა. გზაში არ უტირია, ცხრა ზღვა და ცხრა მთა მძინარემ გადაიარა, ვერ დაემშვიდობა მარადიული ყინულით დაფარულ მწვერვალებს – სამშობლო მთებს.

გოგონას ელი დაარქვეს, ღვიძლი შეილივით შეიყვარეს, ჩიტის რძეც არ მოუკლიათ. ვინ იცის, როგორ წარმართებოდა მისი ბედი, „წეროს“ რომ არ ებოვა მიტოვებული. ვაი, რომ უკეთესი იქნებოდა მშობლიური „ფეხვებით ესაზრდოვა“, თუ ნორმალური საარსებო პირობებში გაიზრდებოდა და მისი ბედის მსგავსი ზოგიერთი თანატოლივით ქუჩაში არ ეძებნა თავშესაფარი.

ღვიძლი დედის უბეში არ უფათურია პაწაწინა ხელი, - „ამა სოფელმა თავიდანვე გააწვალა“, მაგრამ ღმერთმა არ გაწირა და პური, შუქი, სითბო და სიყვარული ერთ დიდ და ძლიერ ქვეყანაში არგუნა, დევიდ და მიჩელ ბუსების ოჯახში.

გავიდა დრო.. ელის პირველმა „კიჭმა“ ამოსჭრა... პირველი ნაბიჯი გადადგა... მშობლიური ცხენისწყალი საცურაო აუზმა შეუცვალა, ამერიკულმა „ნანამ“ მეგრული „ნანა“... სამი წლისამ, ბავშვურად, მაგრამ შეძლებისდაგვარად რეალურად რომ აღიქვა სამ-

ყარო, „მშობლებმა“ მისი შეილად აყვანის ისტორია უამბეს და საქართველოდან ჩამოვიყვანესო, - უთხრეს.

მსგავს შემთხვევაში შედეგად, როგორც ყოველთვის, ორი ვარიანტი არსებობს: დადებითი ან პირიქით. მაგრამ რადგან ამბავი იმედის ქვეყანაში ხდება, ჩვენც ისლა დავგრჩენია, უკეთესი ამოვიჩრით. ელი სიმართლეს შეგნებულად შეხვდა, თვალები გაუფართოვდა და იკითხა: ესე იგი ვინ ვარ მე? ქართველი? გამზრდელების დასტურზე სულში რაღაც დიდი და უშველებელი ქარბობდალასავით დაუტრიალდა, თვითონაც ვერ გაიგო რა. იქნებ ეს სისხლის და ჯიშის ყვილი იყო, ზორცში კი მშობელი მიწის მონატრება? „სამშობლო ხევსურისა“ არავის უსწავლებია მისთვის, „უუუუნა წვიმა“ არავის უმღერია, გოგებაშვილი „იავენანაც“ არავის წაუკითხავს... ქართველობა კი გულში ძალიან მოუნდა, ამიტომაც ხომ არ აუძგერდა გული სხვანაირად?

ზღაპარში ობლის კვერცხ ცხვება, გვიან, მაგრამ მაინც. თათია სერგიასათვის (ელი ბუსე) კალთა მისი მშობლიური ქვეყნის კურთხეულ მფარველს, ღვთისმშობელსაც რომ გადაუფარებია, იქიდანაც ჩანს, არაჩვეულებრივად შეგნებული ადამიანების ხელში აღმოჩნდა. „ეროვნული ცნობიერება ტრადიციების სიმძლავრით განისაზღვრებაო“, ამოვიკითხე სადღაც. არ ვიცი, გაუფათო თუ არა ასეთი რამ ქალბატონ მიჩელსა და ბატონ დევიდს, მაგრამ ფაქტია, ისინი თავიანთი შვილობილის სამშობლოს ისტორიული წარსულითა და კულტურით დაინტერესდნენ და მასთან ზიარების მიზნით ბავშვი-

სათვის თანამემამულეთა ძებნას შეუდგნენ. 150 კილომეტრის რადიუსის არეალში ქართველი, ვია კვარაცხელიას მეტი ვერავინ იპოვეს, ისიც, თურმე ბედად მათ მეზობლად ცხოვრობს. ვიაც, სხვათა მსგავსად ბედის სამიბლად ჩამოვიდა ამერიკაში, მოფარიკავეთ წვრთნის, ჰყავს მშვენიერი ამერიკელი მეუღლე და კალმით ნახათ ორი წლის მათა.

ამბის დაწვრილებით გაგების მიზნით, სწორედ მას დაუკავშირდი კანზას შტატში. ცრემლის გარეშე ვერ შესძლო ლაპარაკი. ვაჟკაცის ცრემლის ფასი სხვას ვის ესმის, თუ არა „ვეფხისტყაოსანზე“ გაზრდილებს?

- 3 წლის იყო ელი, ქალბატონმა მიჩელმა რომ შემომიყვანა სპორტულ დარბაზში, წინ დამიყენა და ჩემზე უთხრა: ესეც ქართველიაო. არასოდეს დამავიწყდება ბავშვის სახე, თვალები აუწყლიანდა, ტუჩი სატირლად მოექცა, მაგრამ მაშინვე შეიკავა ცრემლი, შუბლი გამალა და გამიღიმა. გოგონა რაღაც სასწაული ბავშვია, თბილი და ალურსიანი, ნათესავივით მიმიღო, შემეყვარა, ჩემს მაიკოზე კი საერთოდ ვიყუდებო – თქვა მან და გააგრძელა, - ხშირად სარკეში ათვალეიერებს საკუთარ თავს, უკვირდება და იძახის: ნახეთ, ლამაზი თვალები იმიტომ მაქვს, ქართველი რომ ვარო, ქართველები ყველაზე ლამაზები არიან მსოფლიოშიო. სუნიშვილების კონცერტზე ხომ სკამზე ვერ დავსვით, დოლის პირველივე შემოკვრავზე სკამიდან წამოვარდა და მოცეკვავეთა ილეთებს იმეორებდა მთელი კონცერტის განმავლობაში.

თათია ახლა 8 წლისაა, წმიდა მარიამის სახელობის დაწვებით



მის მზერაში ქართველობა იმალება!

რომ ითობოდა გულ-შეკრდს. გონებაში მოულოდნელად აზრმა გაურბინა და გულში სურვილად ჩაუძვრა, სურვილი რეალურად ექცია და დღეს ბუსების ოჯახი ახალი შვილობილის შესახებ რად ემზადებინა. „ქართველი და მხოლოდ ქართველი!“ - ასეთი იყო კატეგორიული ტონი ქართველი გოგონასი, როცა ქალბატონმა მიჩელმა და ბატონა დევიდმა მეორე ბავშვის აყვანაც გადაწყვიტეს ელის შემდეგ.

ენახოთ, რა მოხდება?! თათია-ელი ალაპარაკდება პირველად ქართულად თუ მისი ნანატრი ძამიკო ინგლისურად?! მთავარი მაინც ისაა, რომ ამ ამბავს ზღაპარივით კეთილი დასასრული აქვს. არ ვიცი, კარგავს რაიმეს ამით ამერიკა თუ არა?! მე მხოლოდ ის ვიცი, რას იძენს საქართველო, უფრო სწორედ ვის იძენს: კეთილშობილ ადამიანებს, მეგობარ ამერიკელებს ქალბატონი მიჩელისა და ბატონი დევიდის სახით, და კიდევ იმას, რომ თათია სერგია – ელი ბუსე ქართულ სიცარიელეს ქართველი ძმით შეივსებს სულ მალე.

და ბოლოს, არ მინდა სევდიან

ნოტზე დასრულდეს ეს წერილიც. უბრალოდ დასკვნის გამოტანას თქვენ მოგანდობთ: მხოლოდ ერთს გთხოვთ, კიდევ ერთხელ დააკვირდით ამ ფოტოს, იქნებ თქვენც ამოიკითხოთ ის მზერაც და ის სულისკვეთებაც, რომელიც ამ სურათის მიღმა იმალება და საოცრად ქართულია.

ბიული ვარიანტი



მიუხედავად იმისა, რომ სატელევიზიო “სოციალურ” რეკლამებს, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, ქართველი მაყურებელი შეეგუა, რეკლამების თუ ბილბორდების მიხედვით სატელევიზიო, ქუჩის თუ სახლის რეკლამები, სახელწოდებით “საქართველოს სახელით” მაინც საყოველთაო დისკუსიის, სჯავბასისა თუ აღშფოთების საგანი გახდა. ვილბორდების სასაცილო, ვილბორდების - შემადრწუნებელი. ალბათ, ისეთებიც არიან, ვისაც ეს რეკლამები მოსწონს და მათ კმაყოფილი სახით შესცქერის.

ალბათ, ყველა მშობელი თავის შვილს პატარაობიდანვე ასწავლის, რომ საკუთარი თავის ქება არცთუ ისე მისაღებია, უმჯობესია, სხვამ გვაქოს, სხვას მოეწონოს ჩვენი საქციელი. დღევანდელ ხელისუფლებას, მგონი, ეს არ ასწავლეს და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი პირდაპირ არ ლაპარაკობენ საკუთარ თავზე, სხვადასხვა ასაკის ადამიანებს ალაპარაკებენ. “რა კარგია მიშა, მე ჩანთა მაჩუქა”, “ჩვენ, რევოლუციურ წყვილს, 200-ლარიანი ვაუჩერი გადმოგვცა”. ვილბორდების კი აუხილა, ვილბორდების მუშაობის საშუალებას მისცა და ხელფასს დაუნიშნა. მოკლედ, რა დასაწყისის ისეთ ადამიანებს, რომელნიც ახალმა ხელისუფლებამ მოიმადლიერა. ვინ იცის, კიდევ რამდენია, რომელიც ამ სატელევიზიო რგოლებშიც კი ვერ მოხვდა. ზოგს სხვაგვარად გაუმართლა, ქუჩაში დაკიდეს და ისე იხდიან მადლობას. ყველაფერი, რაც კარგი მოხდა, სულ ახალი ხელისუფლების დამსახურებაა: ზვიადაურიც, პირველკლასელი გოგონაც, პოლიციელი თუ პატრულიც... ალბათ, საჭიროა, განსაკუთრებით რევოლუციის წლისთავზე ამ “მონაბოვრებზე” საუბარი, მაგრამ, მართალი გითხრათ, ჯერ არც ისე კარგად გვაქვს საქმე, რომ ასე ხმაძალა ვიყვიროთ. მესმის, რომ პატარა ქვეყანაში ვცხოვრობთ და თუნდაც რამდენიმე სასკოლო ჩანთის დარიგება და ერთი-ორი სამშობლო ვაუჩერის გაცემა (მით უმეტეს, თუ წყვილი მიტინგზე დაახლოვდა), დიდი საქმეა, მაგრამ ეს ყველაფერი ლატარიის გათამაშებას ემსგავსება. “ვიყიდე ლატარია ყველასათვის და მოვიგე ფენი” ან “გადაფხვიე და მოვიგე სარეცხი მანქანა”. აქ ჯობდა, ასეთი ტექსტი ყოფილიყო: “მიტინგებზე დავდიოდით, იქ დავუახლოვდით ერთმანეთს, დავკორწინდით და 200 ლარიც მოვიგეთ”... აი, რა მოგიტანა რევოლუციამ, ვარდების რევოლუციამ!

ვიდრე წერას დაიწყებდი, ვიფიქრე, ამ რეკლამების შემქმნელის ვინაობასაც დავადგენდი და იმასაც, თუ რა თანხა იხარჯება მათ განთავსებაზე ტელეეკრანზე თუ ქუჩაში (თუმცა, ალბათ, რადიოშიც ტრიალებს). შემდეგ გადავიფიქრე. რა მნიშვნელობა აქვს, დამკვეთი, ცხადია, ვინც არის,

შემსრულებლის როლი კი ამ შემთხვევაში არააქტუალურია. რაც შეეხება ფინანსებს, რომელიც ამ მიმართულებით იხარჯება, ნამდვილად მნიშვნელოვანია. ერთი სარეკლამო წამი ტელევიზიაში საშუალოდ 300 აშშ დოლარი ღირს. ახლა მათი ქრონომეტრაჟი... ყოველი მათგანი პატარა ფილმივითაა, რომელიც ერთ გრძელ და სენტემენტარულ რომანტიკულ ამბავს მოგვითხრობს. ქუჩაში ბილბორდების ქირობა შედარებით ნაკლებ თანხას მოითხოვს, მაგრამ ერთ-ორ წყვილს კიდევ დაასაჩუქრებდა კაცი. ჩანთებს ზომ იყიდდა და იყიდდა... მოკლედ, საქართველოს ბიუჯეტის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი რომ არამიზანმიმართულად იხარჯება, ეს ფაქტია. თუნდაც, ყველა კერძო თუ სახელმწიფო ტელევიზიის მფლობელს თავისი მხრიდან რევოლუციის დაბადების დღის აღსანიშნავად ამგვარი საჩუქარი მიეძღვნა ხელისუფლებისთვის და ეს რეკლამები უსასყიდლოდ განთავსდებიან ეთერში, ესეც ზარალია. ამ შემთხვევაში არა მთლიანად მოსახლეობისთვის, არამედ ამ ტელეკომპანიათა თანამშრომლებისთვის. ერთი სიტყვით, რევოლუციური რეკლამები, რომელიც ტელეეთერში ტრიალებს, სახლში მოაქვთ თუ ქუჩაში გვახსენებს თავს, ყველა სხვა ნაკლთან ერთად, იმდენად ცუდად არის შესრულებული, რომ გაღიზიანებას კიდევ უფრო ამწვავებს. ისინი ცუდ თეატრში ცუდი მსახიობების მიერ განსახიერებულ უნიჭო მონობივსას წაგავს. რაც მთავარია, ჩვენზე არ არის დამოკიდებული, გვინდა თუ არა მათი ხილვა, არავინ გვეკითხება, რადგან ბრძანება ასეთია: გინდათ!

მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ვამართლებ ვარდების რევოლუციას და მიმანია, რომ ეს ერთმნიშვნელოვნად დადებითი მოვლენა იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში, მაინც ვფიქრობ, ცოტა ზედმეტად ვიქებთ თავს, ზედმეტად ვართ დაკავებული თვითრეკლამით. თუ აქამდე რეკლამის მხოლოდ სიტყვიერად ვისმენდით, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი, მინისტრები თუ სხვადასხვა თანამედროვე ჩინოვნიკები საინფორმაციო გამოშვებების შემთხვევით გავწვდენდნენ ხმას, თუ რა “საქმენი საგმირონი” ჩაიდინეს, ახლა ისინი საკუთარ გმირობებს უკვე შემოქმედებითად მიუღებენ და ხშირად მსატრეული რეკლამის მეშვეობით გვესაუბრებიან. ეს ხდება მაშინ, როდესაც საქართველოში არც ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებულა, არც ელექტროენერჯის საკითხი მოგვარებულია, ადამიანები ისევ იღუპებიან უპუროდ და უწამლოდ, მიუსაფარი ბავშვები ისევ ქუჩაში დაწინალებენ, პატიმრებს ისევ აწამებენ, კანონი ისევ არა კანონობს, ქრთამს ისევ იღებენ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... იყო ასეთი რეკლამა წინასაარჩევნოდ: “საქართველო კორუფციის გარეშე”, რომელიც ცოტა ხანში ასე შეიცვალა: “საქართველო შევარდნადის გარეშე”. ალბათ, მაშინდე-



მე მიუხედავად იმისა, რომ...

ლი მომავალი ხელისუფალი მიხედვნი, რომ კორუფციის დამარცხება ასე ადვილი არ იქნებოდა, რადგან მათ რიგებშიც იყვნენ და არიან ასეთები. დღეს ჩვენი ყველაზე დიდი მონაბოვარია: “საქართველო შევარდნადის გარეშე” და “საქართველო (ან აჭარა) ასლან აბაშიძის გარეშე”. საქმე ის არის, რომ შევარდნადიმაც და აბაშიძემაც მატერიალისტური თვალსაზრისით დატოვეს ქვეყანა თუ მთავრობა, სისტემა კი, რომელიც მათ შექმნეს, ჯერ კიდევ მყარად დგას ფეხზე. თუმცა, მათი ფიზიკური გადადგომაც აშკარა წინსვლაა. გარდა ამისა, არის სფეროები, რომელშიც უკან დავიხიეთ და არის სფეროები, სადაც რამდენიმე ნაბიჯი წინ გადავდგით. წინ გადადგომულ ნაბიჯებში არც სასკოლო ჩანთის ვგულისხმობ და არც 200-ლარიანი ვაუჩერს. ყველას კარგად ესმის, რომ ერთ წელიწადში ყველა ოცნების ახდენა წარმოუდგენელია. ამ ილუზიით არავინ იკვებებოდა. სწორედ იმიტომ, რომ მოსახლეობა გაგებით ეკიდება ყველაფერს და იობის მოთმინებით ითმენს მოუთმენელს, სარეკლამო ბოღებით ყურების გამოხედვა სრულიად გაუმართლებელია. პირადად მე მათი ყურებისას უხერხულობის განცდა მიპყრობს. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ერთთავად საკუთარი თავის ქება-დიდებაში არიან. გარდა იმისა, რომ ეს, თავისთავად, სასაცილოა, ამავ დროს შემაწუნებელიცაა. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოს ხელისუფლება და მისი ხელისუფალი, რომელიც ძირითადად ნარცისიზმით არიან შეპყრობილი. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ მათ გარშემო არავინა ისეთი, ვინც ეტყვის, რომ თავის ქება არ შეიძლება, ეს ბრიყვთა მახასიათებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საამისო საფუძველი არ არსებობს. იმ ფინანსებით, რომელიც ამ კულტურული საქმისთვის გამოიყო, უფრო გამართლებული იქნებოდა, კიდევ რამდენიმე ოჯახს დავხმარებოდი. შემდეგ, ისევე როგორც სარეკლამო რგოლს, ამასაც ზომ ვნახავდით ტელევიზიით. მაგალითად, კიდევ რამდენ წყვილს დაუ-

ფარეს სამშობლო ხარჯები, რამდენ ბავშვს აჩუქეს თბილი ტანისამოსი. კარგი იქნებოდა, თუ ეს თბილი ტანისამოსი მათ შეხედებოდათ, ვისაც ნამდვილად არა აქვს ის.

დღეს ჩვენ წინაშე ისეთი სურათია (თუ რეალობას თვალს ავარდებთ და მხოლოდ ტელეეკრანით ვიხილმდგვანებლავთ), რომ ახალმა ხელისუფლებამ დაავადებულნიც განკურნა, ბავშვებზეც იზრუნა, შეყვარებულებსაც ხელი გაუმართა და პედაგოგებიც დააფასა. ამ სარეკლამო ნოველებს რომ ვისმენთ, ბუნებრივია, ყველაფერი ერთ ადამიანამდე მიდის: “მიშამ მაჩუქა” და “მიშას ყველაფერი შეუძლია”.

დასაწყისში სახლის რეკლამები ვახსენე. ჯერ არ მოუტანიათ? მალე მოიტანენ! ვაზეთი, რომელსაც ასე წარმოვიდგენენ - რევოლუციისადმი მიძღვნილი საჩუქარი საქართველოს პრეზიდენტისგან, რომელშიც იმდენი ტრაგიკომიკური ფოტო თუ სტატიაა მოთავსებული, რომ ყოველ მათგანზე შეიძლება ყურადღების გამახვილება. მაგალითისთვის ერთ-ერთს მოვიტან: “მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს”. ეს სულხან მლაშვილისა და მისი ფემინებელი სახლის ფოტოს მინაწერია. იქვე რობინ ჰუდის (ქართველ გმირებს განზრახ არ ვახსენებ) ფოტო რომ მოეთავსებინათ, უფრო ორიგინალური იქნებოდა, იუმორს მაინც დავინახავდი. მიუხედავად იმისა, რომ მიმანია, მოლაშვილი ნამდვილად ციხეში უნდა იჯდეს, ამ ფაქტით სუკულირება ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებლად მეჩვენება.

ამიტომ... ალბათ, ცოტა ხანში ტელევიზიით იმასაც გვეტყვიან, რომ მიშა მესიაა. დღეს ეს მხოლოდ ქვეტექსტებში იკითხება, რევოლუციის ორი წლისთავზე კი სრული სერიოზულობით გამოვიცხადებენ. ვინაიდან, გარდა რომინ ჰუდისა, ზომ ვახსოვთ, მასობრივი გამოსვლები 2003 წლის ნოემბერში, წმინდა ილია მართლის დაბადების დღეზე, 22 ნოემბერს დაიწყო, მაშინ, როდესაც მიხეილი პარლამენტში შეიჭრა. საეკლესიო კალენდარში ეს თარიღი ასე აღი-

ნიშნება: “კრება მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა”. მიქაელ-მიხეილი აქ გვყავდა და ანგელოზები მასაც და ჩვენც ზემოდან გვფარავდნენ. 23 ნოემბერს და 6 მაისს კი, ყველამ კარგად იცის, დიდისა მოწამისა და ძღვევაშემოსილისა გიორგისა დღეა, დღე, როდესაც მან საბოლოოდ დაამარცხა ჯერ ედუარდ-გიორგი და შემდეგ ასლან იბრაჰიმის ძე. ამ ციფრებს თავისი ზეციური მნიშვნელობით პირველად მე არ ვასახელებ, ეს საქართველოს პრეზიდენტმა უკვე ბევრჯერ შეგვახსენა. ასე რომ, ბატონი მიხეილი დარწმუნებუ-

ლია, ან თავად არის მესია, ან ჯერ მხოლოდ უბრალო მოკვდავია, რომელსაც ზეციური ძალები მფარველობენ. ნუ დაიბნევით, ნურც შეიცხადებთ. ამის შესახებ თქვენ მომავალი სატელევიზიო რეკლამებით, დარწმუნებული ვარ, პირდაპირ თუ ირიბად თქმულს, აუცილებლად შეიტყობთ. დღეს კი მიუშვით ბავშვები მასთან და ის ჩანთებს დაურიგებს, დაავადებულთ განკურნავს და სიყვარულის ნაყოფს მოავლენს ქვეყანას სულ რაღაც 200 ლარად...

და ბოლოს. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ თუ საქართველოს პოლიტიკა მხოლოდ რეკლამაზე იქნება დამყარებული, მაშინ უარეს შედეგს მივიღებთ, ვიდრე სულ ცოტა ხნის წინ, ე.წ. პოსტ-კომუნისტურ ეპოქაში გვექნა. მაშინ იმას მაინც გვეუბნებოდნენ: გვაცალეთ, ბატონო, გვაცალეთ... ახლა კი... დღევანდელი მთავრობის თვითკმაყოფილება იმდენად შემადრწუნებლად გამოიყურება... ისინი იმდენად კმაყოფილი არიან, რომ საკუთარ თავს სარეკლამო ნოველებსა და ფოტოსურათებსაც უძღვნიან, რომელთაც ჩვენ გამუდმებით უნდა ვუყუროთ.

ხელისუფლების დამცველი ჩამოძვლიან, რამდენი სასიკეთო საქმე გაკეთდა: პატრული, განათლების რეფორმა, რომელიც ახლა იღებს სტარტს, კიდევ რამდენიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი თითზე ჩამოსათვლელი მოვლენა... გეთანხმებით, მოხდა და არც მე ვარ დაუნახავი, მაგრამ ყველაზე დიდი მონაბოვარი ის არის, რომ ვარდებისა და აჭარის რევოლუცია სისხლისღვრის გარეშე, არაძალადობრივი გზით მოხდა. ყველაზე მეტად ამით უნდა ვიამყოთ. გარდა ამისა, კიდევ სხვა მრავალი სიამაღლეა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო ცვლილებები ჯერ არ განხორციელებულა და არც ისე კარგადაა ჩვენი საქმე, როგორც ამას სახელისუფლებო რეკლამები გვეუბნება.



...ადამიანზე ზრუნვა სიხარულს ანიჭებდა. საოცარი უნარი ჰქონდა მოსმენის, სიტყვას არ შეაწყვეტინებდა არავის, ბოლომდე მოუსმენდა.

მოყვარული ნაზი გული ჰქონდა... სხვაზე ფიქრობდა მუდამ გული არ დაეჩაგროს, არ ეწყინოსო დარდს გულთან მიიტანდა.

მარტობა არ შეეძლო. ...მარტო სადილზეც არ შესვამდა ერთ ჭიქა ღვინოს, ხშირად უძმარდებოდა კიდეც... უსტუმროდ მზესაც კი სითბო აკლიაო, იტყოდა. სხვაგან ვერ ძლებდა. ერთ კვირაზე მეტს ვერ ჩერდებოდა მოსკოვში. ჩვენ დაგვტოვებდა და წამოვიდოდა. მთელი დღე არქივში იჯდა. უარს ამბობდა დელეგაციებში შორს წასვლაზე... ბოლოს უარი თქვა ინდოეთში თუ ჩინეთში წასვლაზე იმ სიშორეზე რა წამიყვანს, რა გამაძლებინებსო.

ახლოს იყო უბრალო ხალხთან... მიწასთან...

შენდობის დიდი უნარი ჰქონდა.

გამბერთებული ჰყავდა სამშობლო, წინაპრები... „როცა ვახსენებ გმირთა სახელებს, ყელი მიტკება, თაფლდება სიტყვა“. ...თამაღობა უყვარდა. იმდენად სმა კი არა, ხალხთან ურთიერთობა ეხალისებოდა... იწყებდა სამშობლოს, წინაპრების სადღეგრძელოთი, მათი ღვაწლის აღნიშვნით... სვამდა პატარა ჭიქით, ქამრიანი ჭიქით. სძულდა ჩაის ჭიქებით სმა. ...არ სვამდა არაყს, კონიაკს... ღვინის გარდა არაფერს სვამდა. არ მინახავს მთვრალი. ნასვამი უფრო კარგი ხდებოდა... მხიარული, ალერსიანი...

უყვარდა სხვისი დახმარება... მთხოვნელს მიუწერდა წერილს, დაურეკავდა, წაყვებოდა კიდეც... პასუხი შემატყობინებო, დაუბარებდა.

ყველა სულიერი უყვარდა, ეცოდებოდა. შინ გაზრდილ ქათამს



პირს არ დააკარებდა, არც ცოცხლად ნაყიდს. ხშირად მაღლობის ნიშნად მოგვიყვანდნენ ხოლმე ცოცხალ ცხვარს აღარ იცოდა, რა ექნა უკან ხომ ვერ გავატან, ეგონებოდა, რომ საჩუქარი დავუწუნებო. „არაფერი არ მინდა, რისთვის შეწუხებულხართო, ეტყოდა ხოლმე... გაუგზავნიდა ამ ცხვარს წყნეთის დარაჯს. ის კი ჩვეულებიანამებრ, ეტყოდა მგელმა მოიტაცაო... მამას რა თქმა უნდა, არა სჯეროდა, მაგრამ უხაროდა, კარგია, რომ მაგის ცოდვაში არ ჩაედევით.

ეამებოდა სოფლური პური და კამეჩის მაწონი...

სწყენდა, როცა სანთელზე მოფრენილ პებლებს ხოცავდნენ რას ერჩით, ისედაც ერთი დღე აქვთ, გაიხარონო...

ხშირად ბავშვისთვის ყიდულობდა ჩიტებს გალიით, მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვს განთავისუფლების სიხარული ეგრძნო. აჭმევდა, წყალს დაალევინებდა და მერე გააშვებინებდა აი, ახლა შენა გლო-



ცავსო.

უყვარდა ხე, ბალახი, ყვავილი, მთა, მზე. ყვავილი მიწის ღმირილიაო, იტყოდა.

„მე ვემთხვევი მზის თავთავებს, ვაზთან ვიყავ დაჩოქილი...“

ან „თავს ვუხრი ბალახს, მინდა სიცოცხლე ამ თეთრ ვაშლის ქვეშ უკუნისამდე...“

ძალიან კეთილი, ბავშვით გულუბრყვილო იყო, ზოგი კიდევაც ბოროტად იყენებდა ამას.

სინათლე, მზე უყვარდა. ფარდებს გადასწევდა, მზემ შემოიხელოსო. სიბნელე სძულდა მგზავრობისას ყოველთვის ასანთს და სანთელს გავატანდით ხოლმე. ბოლოსაც, ალბათ ბოლომდე ვერ დავიჯერეთ, რაც მოხდა... ისევ ისე გავატანე საბუდამო გზაზე ასანთი და სანთელი...

სიკვდილი სძულდა არასოდეს ლაპარაკობდა ამაზე. მხოლოდ ერთხელ მითხრა თქვენ უკვე უნდა შეეგუოთ იმ აზრს, რომ ჩვენ აღარ ვიქნებით. მანამ ადამიანი ცოცხალია, სიკვდილს იმასთან რა უნდა, როცა გარდაიცვლება ის უკვე ვერაფერს ვერ იგრძნობსო.

მადრიდი ვინაა და რაა

შეიძლება სწორედ იმიტომ, რომ არასოდეს გვიჯავრდებოდა, სულ გვეფერებოდა, ყველაფრის ნებას გვაძლევდა, გვერიდებოდა მამასი, არასდროს არაფერი მოგვითხოვია...

ასეთივე მოსიყვარულე შვილი იყო, მოსიყვარულე დედის გულჩვილი იყო. დედის საფლავეზე ცრემლებით ტირიდა. ბებიის გარდაცვალების დღეებში, ბიძაჩემ ლევანს და მამას ერთ ოთახში ეძინათ. დედა ამბობდა როგორც პატარა ბიჭები, ისე ტირილდნენ მთელ ღამესო.

ბოლო წლებში განსაკუთრებით უყვარდა ბუნებაში ყოფნა, სამსახურიდან მანქანით მცხეთისკენ გავლა ნატახტარისკენ, საერთოდ, ქართლი უყვარდა ძალიან. ჰაერზე გავივლიო, ბავშვებს წაიყვანდა ხშირად. ბოლო წელს, იმ გაზაფხულზე მეც წავეყვი. წაგვიყვანა წილკანში. შემდეგ გამოებრუნდით. ნატახტართან, მინდორზე, ხის ქვეშ ვისაუზნებთ. მე მკლავზე მძივი მქონდა შემოხვეული. თბილისში



ბუნება, თავს არაფერს მოგახვევდა. უყვარდა თავისუფლება. ძალდატანება დანაშაულად მიიჩნდა. შენიშვნებს ერიდებოდა. არაფერს მოითხოვდა.

ფიროსმანის ქუჩაზე, 29ში, სადაც ნიკო ფიროსმანი ცხოვრობდა, მემორიალის გასწვრივ უნდოდა. ოცნებობდა ფიროსმანის ძეგლზე. ერეკლეს, დავით აღმაშენებლის, თამარის ძეგლი უნდოდა თბილისში... თამარის ქუჩა და მოედანი... ფიროსმანის საფლავს დაეძებდა... უნდოდა ფილმი ფიროსმანზე. სცენარზე მუშაობდა. ფიროსმანის თვრამეტი სურათი გადასცა მუზეუმს, ეს ერის საკუთრებაა და მე უფლება არა მაქვს, ჩემს ბინაში ჩაკეტო. ათობით ხელნაწერი, საბუთი, სიგელი, უძველესი წიგნი გადასცა ხელნაწერთა ინსტიტუტს...

მლეთის ქუჩაზე, 5ში, სადაც ვაჟაფშაველა რჩებოდა თავისი ძმის სანდროს ბინაზე, თბილისში ჩამოსვლისას, მემორიალი უნდა მოეწყოსო...


მოსწონდა მერაბ ბერძენიშვილის ვახტანგ გორგასალი... „ავთანდილი“ შეარქვა და უნდოდა, ენახა დადგმული თბილისში თუ არა, მცხეთაში მაინც.

ბარათაშვილის კრებულში ლექს „საყურეს“ მიწერილი აქვს მამას ხელით „თაყვანს ვცემ ილიას და აკაკის, მაგრამ მე გამაკვირვა მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილმა და ვაჟაფშაველამ!“

უნაბზე ლექსი აქვს დაწერილი, მარტო თბილისში ხარობსო... ძალიან უყვარდა მინდვრის ყვავილები.

დაპკრავს წამი და... გამოილეკებს პირ-მანვიანი სიკვდილის ცელი. უსაზღვრო სოფელს მოესწვდები ისე, ვით შემოდგომით ვერხვის ფურცელი. მე წავალ იქით, სითაც მოვსულვარ, საც იმყოფება ბინა სულისა და ამ მიწაზე დარჩება მხოლოდ - თბილისი ცრემლი სიყვარულისა!

ნოსტან ლეონიძე



ეს იყო მარტში... ოთხი თვის შემდეგ კი...

ადამიანი მაღლობელი უნდა იყოს ყოველი წუთით, რომელიც დემერტმა უბოძაო...

ეჯავრებოდა უხეში სიტყვა... ადამიანის სულს ატლანტებსო. ყოველგვარი ძალადობა ეჯავრებოდა... ბავშვი თავისუფლად უნდა გაზარდო, არ არის საჭირო ამდენი შენიშვნებიო, მეტყოდა. არ გვანსოვს მისგან ხმის ამაღლება... არ იყო ჩვეულებრივი მამა, მეუღლე, პაპა. არაჩვეულებრივი მზრუნველი, ყურადღებიანი, დღეში რამდენჯერმე დაგირეკავდა როგორა ხართ, დედა როგორ არის, რამე ხომ არ გინდათო, და ასე ყოველდღე. მე აქა და აქ ვარ... ჩემი დარდი ნუ გაქვთ. არ ვარგა, შვილო, ამდენი დარდი...

პატარა რომ მყავდა, აკვანში იწვა... მამა ჩუმად შესულიყო და არტახები აესხნა, ხელები გაეთავისუფლებინა, ბავშვი ნახევრად გადმოკიდებული იყო, რომ შევედი.

შემეცოდა, ვინ იცის, ხელის გაშლა როგორ უნდოდაო...

რომ ჩამოვედით, მაშინ მივხვდი, რომ დაეკარგე. ძალიან შევწუხდი. მამამ მკითხა, ძვირფასი იყო? მე მიუუგე, არა, ძვირფასი არ იყო, მაგრამ ძალიან მიყვარდამეოქი. ერთიორი დღის შემდეგ სამსახურიდან დამირეკა, რაკი შენ ეგ მძივი გეყვარებია, წაივდიო, იქნებ ვიპოვოთო. წარმოიდგინეთ, რომ ვიპოვეთ. მამა ძალიან ნასიამოვნები იყო.

ძალიან აწუხებდა სამხრეთ საქართველოს ბედი: „ისე დავებრდი, ვეღარ ვნახე ტბეთი, შატბერდი“... საფლავეებს დაეძებდა. საბას, ბესიკის გადმოსვენება უნდოდა.

არ უყვარდა კინტო და ყარაჩოღელი, უკვირდა მათით გატაცება.

არ უყვარდა კვიპაროსი. სასაფლაოს ხეს ეძახდა. არც პალმა ჩვენბური არ არისო. წიწვოვანი ხეები მოსწონდა, მაგრამ ის არ მოსწონდა ყველგან წიწვოვანს რომ რგავენ, არ ეტყობა არც გაზაფხული, არც შემოდგომაო.

იყო ძალიან უპრეტენზიო. ძალიან ადვილი იყო მასთან ცხოვრება. არასდროს არაფერს გაი-

მათ სახლს „მომდერალ სახლს“ ეძახდნენ. ოთხი წლისა უკვე ბებიების მთელს რეპერტუარს მღეროდა, 19 წლისა საქართველოს სახელმწიფო ორკესტრ „რერო“-სთან ერთად გასტროლებით საბჭოთა კავშირისა და ევროპის სხვადასხვა ქალაქებში გამოდიოდა. მართავდა სოლო კონცერტებს, ასრულებდა ქართულ და რუსულ რომანსებს.

იგი არასოდეს ჰგავდა სხვებს... „მისი გარეგნობა შუასაუკუნეების პორტრეტს მოგაგონებთ, მისთვის დამახასიათებელი ასკეტიზმითა და უდრეკი სულიერებით“.

1981 წელს მისი ბებიის, ქალბატონი თამარის საიუბილეო საღამოზე სტუმრად მოწვეულ ბულატ ოკუჯავას მისი შესრულებით პირველად მოუსმენია საკუთარი სიმღერები და მას შემდეგ მის ყოველ კონცერტს ესწრებოდა.

მანანა მენაბდის შესახებ გესაუბრებით...

მას ერთ წყნარ საღამოს, მიუნხენის პატარა დარბაზში გამართულ კონცერტზე შევხვდი. ქალბატონი, რომელიც სიმღერებსა და უბრალოებას ასხივებდა, ინტერვიუზე სიამოვნებით დამთანხმდა.

ქალბატონო მანანა, ჩვენს ინტერვიუთა ციკლს ყოველთვის რესპოდენტის ბიოგრაფიას ვურთავთ წინ, რათა მკითხველს ინტერვიუს წაკითხვამდე რაღაც გარეგანი შთაბეჭდილება შეექმნას ადამიანზე, რომელთანაც ჩვენს საუბარს ეცნობა. დამეთანხმებით, რთულია მხოლოდ მშრალი ფაქტებით ადამიანის გაცნობა. იქნებ ორი სიტყვით თქვენს შესახებ ისეთი რაღაც გვითხრა, რასაც საყოველთაოდ ცნობილ ბიოგრაფიაში ვერ ამოვიკითხავთ.

- მე ერთ რამეს მივხვდი - ზუსტად ის გმირი ვარ, რომლის შესახებაც კონცერტზეც წავიკითხე: „ერთი კაცი თავისი თავისაგან სხვა ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად“.

საღამოზე თქვენი ოჯახის შესახებ არაწვეულებრივი მოგონებები მოვისმინეთ. სამწუხაროდ მათი გამოცემა ქართულ ენაზე ჯერ ვერ ხერხდება, იგი მალე რუსულად გამოვა. რა შევა მანანა მენაბდის მოგონებებში?

- ჩემი მოგონებები ძირითადად იმ განცდას უკავშირდება, რასაც სამშობლოსა და ოჯახის ნოსტალგია ჰქვია. რადგანაც მე სულ იქ ვარ - ბებიასთან, მამასთან, დელასთან... ძირითადი თემა ესაა და შესაბამისად მე სხვადასხვა სიტუაციებში.

ფოლკნერს აქვს ასეთი გამოთქმა: „ადამიანმა არაფერი არ უნდა დაიტოვოს თავის საწერ ოთახში“, ე.ი.

მან ყველაფერი უნდა გახსნას და გადმოიღოს. მე მინდა რომ ჩემი ბიოგრაფიაც ისეთი იყოს - გამოხატავდეს ჩემს გრძნობებს, რომ ჩემი გული და სული, რომელიც ქალაქში გადმოვა, გახსნილი იყოს.

გარდა ამისა, მგონია, რომ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს შინაგანი ცენზორი. ყველა ჩვენთაგანს ჰყავს ისეთი ადამიანი, რომელმაც გვაწყენინა, ისე არ მოგვეცა, როგორც ჩვენ გვინდოდა ან რაიმე ტკივილი მოგვანიჭა. მაგრამ ადამიანი ამ წყენას და ტკივილზე მალა უნდა დადგე, როდესაც სიტყვასთან გაქვს საქმე და მითუმეტეს, როდესაც ავტობიოგრაფიას წერ. არც თავი არ უნდა იმართლო - ადამიანი რაც უფრო მეტად იმართლებს თავს, მით უფრო მეტად დამნაშავეა; რაც უფრო მეტად ჩხუბობს და ყვირის, მით უფრო ნაკლებად ესმით მისი. მე ვთვლი, რომ ამ ავტობიოგრაფიამ ადამიანებს სიხარული უნდა მოუტანოს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, იგი მაინც ლიტერატურული ნაწარმოებია. იგი ისეთი უნდა იყოს, რომ ადამიანს აფიქრებინოს: „მეც განვიცადე ეს“, რადგანაც ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ და ერთნაირ რაღაცეებს განვიცდით. არ მიყვარს, როდესაც ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებებში ახილებენ ვიღაცეებს, რაღაც ანგარიშის სწორება მიღის ვინმესთან.

ძალიან მოხარული ვიქნები, თუ მო-



მანანა მენაბდე 1948 წელს თბილისში დაიბადა. სახელმწიფო ჯაზ-ორკესტრ „რეროს“ წევრს ჰქონდა გასტროლები ყოფილ საბჭოთა კავშირსა და ევროპაში, მართავდა სოლო კონცერტებს. მის რეპერტუარში შედიოდა ქართული და რუსული რომანსები, ბულატ ოკუჯავას სიმღერები, ალექსანდრე ვერტნისკის ლირიული ნაწარმოებები. საქართველოსა და საზღვარგარეთის რადიო-ტელევიზიები გადმოსცემენ მანანა მენაბდის სიმღერებსა და მის შესახებ მომზადებულ გადაცემებს. 1977-1982 წწ. თანამშრომლობს ფოლკლორული ჯაზის ჯგუფ „ენკენტან“. 1982 წელს მთავარ როლს ასრულებს და წერს მუსიკას ლანა ლოლბერიძის ფილმისათვის „დღეს დამე უთენებია“. 1976-1981 წწ. მუშაობს საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში მუსიკალურ გადაცემათა რეჟისორად; იღებს მიუზიკლს, წერს მუსიკალურ სცენარებს სხვადასხვა გადაცემებისათვის. 1984-1988 წწ. იღებს სამუშაო მოწვევას ქართულ საკონცერტო სააგენტოდან „ფილარმონია“. 1991 წ. იწყება მანანა მენაბდის კონცერტები, საღამოები თუ გამოფენები გერმანიაში. წელს გამოვიდა მისი წიგნი: „და დრო გადიოდა...“. ამ პატარა მოთხრობებში დიდი სიბრძნეა ჩადებული. გაგალომძიე თავის ბოლოსიტყვაობაში მას მანანა მენაბდის „ცხოვრების წიგნს“ უწოდებს.

ვინება, მოგეხსენებათ, თანდათან მოდის. თავიდან ვიყავი გაწონასწორებული და წყნარი, შემდეგ უკვე მე-9, მე-10 კლასიდან გავიფიქრე და გადავირე. მაგრამ შემძლია თავისუფლად ვთქვა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, რაც შეეხება შინაგან მორალს ადამიანში, იგი ყოველთვის მქონდა და არასოდეს დამირღვევია. თუმცა კი ჩემზე უამრავ რაღაცეებს ლაპარაკობენ, თან ძალიან ხშირად ისეთი ადამიანები, რომლებსაც საერთოდ არ ვიცნობდი. თავიდან ძალიან განვიცდიდი, შემდეგ კი (ამ 14 წლის განმავლობაში რაც აქ ჩამოვივდი, მოხდა ყველაფრის გადაფასება) მივხვდი ერთ რამეს: საქმე ის კი არაა, შენზე რას ლაპარაკობენ, არამედ შენ თვითონ რას ლაპარაკობ შენს თავზე. ყველაზე მნიშვნელოვანია სარკეში ჩახედვისას საკუთარი თავისათვის შეხედვა არ შეგცხვეს. ეს გამოვიტანე მე აქ ცხოვრებიდან.

ერთი მომენტი მქონდა ყოველთვის: გაგურბოდი თავყვანისკემლებს, დღემდე მემჩნია მათი. ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ. მე სიმღერა შემძლია და ძალიან ჩვეულებრივი დამოკიდებულება მაქვს ამის მიმართ. ძალიან არ მიყვარს საკუთარი შემოქმედების მორევში ჩაღრმავება და ჩავარდნა. არასოდეს არ მომქონდა თავი იმით, რომ რაღაცით სხვაზე განსაკუთრებული ვარ. სამი წლისა სოლოფეციოს და ურთულეს ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ბებიების მთელს რეპერტუარს ვმღეროდი და არავის არასოდეს სკამზე არ დავუყვებოდი, არ უთქვამთ: შეხედეთ სამი წლის მანანას რა შეუძლიაო. თუ გინდათ სიამართლეს გეტყვი - მაგდის ქვემ ვკვებოდი და იქიდან ვმღეროდი.

მე ახლა მიხარა და პატივს ვცემ ჩემს მშობლებს იმის გამო, რომ მანანა კულტი არ გამხდარა. საქართველოში ყველა მღერის, აქ გასაკვირი არაფერია.

- დამეთანხმებით, ბულატ ოკუჯავასთან ურთიერთობა თქვენი ცხოვრების დიდი ეპიზოდია. როგორი იყო ახალგაზრდა მომღერლისათვის, იმ ადამიანის გაცნობა, რომელთან სიმღერებსაც ასეთი სიყვარულით ასრულებდა? რა გრძნობა იყო, როდესაც 1981 წელს პირველად სცენიდან მის სიმღერას ასრულებდით, მათი ავტორი კი დარბაზში იმყოფებოდა.

- მე არ ვიცი, რომ იგი დარბაზში იყო. სცენაზე გასულს, ჩემი და ხელეებს მიქნევდა, რაღაცას მანიშნებდა. მხოლოდ კულისებში გასვლისას გავიგე, რომ თურმე ბულატ ოკუჯავა თავისი ოჯახით დარბაზში იჯდა. შემდეგ იგი სცენაზე ამოვიდა და მაჩუქა რომანი „უტყუესტვი დელეტანტოვ“. ამ დღიდან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. იგი ყველა ჩემს კონცერტს ესწრებოდა (ისევე როგორც ყველა ჩემს კონცერტს ესწრებოდა რაიკინი და მიხეილ კაზაკოვი). იგი არ იყო ისეთი პიროვნება, რომელთანაც ასე ადვილად იმეგობრებდი - ძალიან მკაცრი და მომთხროვი იყო. ერთი რამე შემძლია ვთქვა: ჩვენ გვქონდა საოცრად თბილი, საოცრად ახლო ურთიერთობა, წერილებით, ტელეფონით... ამის გამო მე უბედნიერესი ადამიანი ვარ.

- თქვენ რამდენიმე ფილმშიც ხართ გადაღებული. 1982 წელს ლანა ლოლბერიძის ფილმისათვის „დღეს დამე უთენებია“ მუსიკაც დაწერეთ. ამ ფილმმა შემდეგ დიდი წარმატება მოიპოვა კანში. რას გვეტყვით მანანა მენაბდეზე, როგორც მსახიობზე?

- პირველად ლია ელიავას ფილმში ვითამაშე, „სინემაში“, მქონდა 7-8 წუთიანი როლი. პატარა რესტორნის მომღერალი ვიყავი, მეხურა დიდი ქუდი, მეცვა ძველებური კაბა და ღიმილით ვასრულებდი სიმღერას.

აღრე კინო-სარეჟისოროზე მინდო-

ჟურნალ თანამემამულეს რედაქტორი მიუნხენიდან
ნიწო
საბელაშვილი

და ჩაბარება, რაც სამწუხაროდ არ გამოვიდა. ლანა ლოლბერიძე ფილმს იღებდა, ვიხივე რეჟისორის ასისტენტი ვყოფილიყავი. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ჯგუფი უკვე არსებობდა, ლანამ მაინც მიმიღო. გავიდა ორი-სამი კვირა და ლანამ შემომთავაზა მოხეტიალე ბერიკას როლი მეთამაშა. გავიდა კიდევ ორი კვირა და შემომთავაზა დამეწერა მუსიკა ამავე ფილმისათვის. საბოლოოდ ფილმისათვის ერთი სიმღერა გააყენელა დაწერა, დანარჩენი მე.

შემდეგ ვითამაშე ნანა ხატისკაცისა და თენგიზ მაღალაშვილის ფილმში „არსენას სიმღერა“. შევასრულე არსენას დედის როლი. საინტერესო ისაა, რომ ყოველთვის ასე ხდებოდა: ფილმის გადაღება უკვე დაწყებული იყო, ჯგუფი შედგენილი, სცენარი დამთავრებული და დამტკიცებული და უცბად რეჟისორს უნდებოდა სურვილი ჩემთვის რაიმე როლი დაეწერა. „სიბრძნე-სიცრუისა“-ში ვითამაშე გადიას როლი. ეს ძალიან მცირე როლი იყო.

ვითამაშე ფილმში ვერა დავილოვას შესახებ „ზნაკ სუდა“. იგი ლოკუმენტური ხასიათისა იყო, შევასრულე რეჟისორის როლი, რომელიც იღებდა ფილმს აქ ქალბატონზე. სინამდვილეში ყველა მე მეუბნებოდა მაღლობს, რა კარგი ფილმი გადავიღეო. ერთს ავუსხენი, მეორეს ავუსხენი, მესამეს... და ბოლოს რომ ვერ გავაგებინე, დავანებე თავი.

არასოდეს ვივლებდი გრიმს, არასოდეს ვინახავდი თვალებს, რასაც რატომღაც სულ სხვა რაღაცეებს აწერდნენ. მე ყოველთვის მინდოდა, რაც შეიძლება ბუნებრივი წარმდგარიყავი მაყურებლის წინაშე. მთავარი უბრალოება და სიმარტოება, რომელიც ადამიანშია. როგორც რილკე ამბობდა: „ბევრად უნდა იქვე, ხელ უნდა იქვე“. ჯერ უნდა იქვე ხელ და მერე დაწერო. მე, მაგალითად, შეიძლება დავწერო ხეზე, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემთვის განკცა იქნება. უნდა გახდეს ხე, უნდა გახდეს ბგერა, თითოეული ბგერა და შეიძლება მაშინ გამოვივიდეს რამე.

- მხატვარი მანანა მენაბდე?
- ეს ყოველივე ერთმანეთისაგან გამოდის. მე შემძლია ვთქვა, რომ ასევე ვუფიქრებ სიტყვას, ლიტერატურულ სიტყვას და მხატვარი რომ ვარ, ეს არის ერთ-ერთი კომპონენტი იმისათვის, რათა სისრულეში მოვიდეს ჩემი სიმღერა.

- ამ ინტერვიუს ამერიკის ქართველობა წაკითხავს, როგორ მიმართავენ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს?

- დარწმუნებული ვარ, თავისი პატარა საქართველო თითოეულ ქართველს თან აქვს წაღებული. ყველას ვუსურვებდი არ დაეკარგოთ სულის სიმტკიცე და გამძლეობა. ის ძალები კი, რაც ჩვენ საქართველოდან წამოვიღეთ, უკან მივაბრუნოთ, საქართველოს და ქართულ საზოგადოებას მოვახმაროთ - ამაზე დიდს და კარგს ვერაფერს გავაკეთებთ.

მინდა, რომ საზღვარგარეთ მყოფ ქართველებს გამოცდილება გავვახიარებინა თანამემამულეებისათვის და ყველანი ერთად ისეთი მაგალითი ვყოფილიყავით, რომ მათ ჩვენი არ შერცხვენოდეთ; მომავალ თაობას, რომელიც უკან მოაბრუნებს თავს, ჩემი არ უნდა შერცხვეს...



თავისი პატარა საქართველო ყველას თან წაღებული აქვს

დადგა XXI საუკუნე... კაცობრიობა ახალი იმპულსებით იმუხტება...

ისტორიაში დგება მომენტი, როცა ერთადერთი პოლიტიკოსი, ლიდერი, სახელმწიფო მოღვაწე განგების მიერ მოწოდებულია გარდატეხა მოახდინოს მსოფლიო მოვლენათა მსვლელობაში.

ქრისტეშობიდან მესამე ათასწლეული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის პოლიტიკური მესიჯებით იწყება. თითოეული მათგანი ასე იკითხება:

პირველი – ტროტალური სამხედრო დაპირისპირების მოხსნა, საყოველთაო მშვიდობის და სტაბილურობის დამკვიდრება მსოფლიოში. ისეთი მომავლის შექმნა, სადაც თავისუფლება, იმედი და აყვავება ბოლოსდაბოლოს ხანგრძლივი რეალობა გახდება.

მეორე და დრომოკმული უბრძოლველად არ თმობს პოზიციებს. კაცობრიობისადმი დამკვიდრებული შეცდომების მონანიების ნაცვლად დიქტატორული რეჟიმები ფუნდამენტალისტებთან ერთად აგრძელებენ ირაციონალური აგრესიის სტრატეგიას. მართალია ეს სტრატეგია გარდაუვალი კრახისთვისაა განწირული, მაგრამ დღესდღეობით მას დიდი ზიანი მოაქვს ადამიანებისათვის ყველაზე – მთელს დედამიწაზე. ცივი ომის დასრულებისთანავე წარმოიქმნა ახალი საფრთხე – დიქტატორული რეჟიმების და კამიკაძე-ტერორისტთა სახიფათო კავშირები. საერთაშორისო ტერორიზმის საშიშროება რეალური გახდა. საოკარი სისწრაფით – ტერმინტივით მრავალდებიან ალკაიდა, სამოთხეში მამავალი ფანატიკოსი კამიკაძე-ტერორისტები და თავიანთი უგზურებით სურთ დაღუპონ კაცობრიობა. მათ მხარს უჭერენ დიქტატორული რეჟიმები, რომლებმაც საკუთარი ქვეყნები დაამსგავსეს ჭრილობის მოუშუშებლობით უკვდავება ჩამსამებულ კენტავრ ქორისს.

ისტორიის კრიტიკულ მომენტში, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავის თავზე მიიღო ტერორისტთა პირველი დარტყმა- განხორციელდა II სექტემბრის სამნიელი ტერაქტი, ჯორჯ ბუშმა გონიერი და გაბეული ნაბიჯები გადაადგა საერთაშორისო ასპარეზზე. კერძოდ, აღნათსა და ერაყში ისტორიის აბედიტი მსვლელობის შესაჩერებლად ამერიკის პრეზიდენტმა ჯერარანაშულ ისტორიულ მოვლენას ჩაუვარა საფუძველი. მთელი მსოფლიოს პრაგმატული ძალები გაერთიანდა კაცობრიობის უდიდესი საფრთხის წინაშე საბრძოლველად. კოალიცია ბუშის მეთაურობით წინ გადადგომა რეგულური, შაბნელი ზრახვებით გონებდაბინდული ფუნდამენტალისტების და დიქტატორული რეჟიმების აგრესიას. მან თავის თავზე აიღო მსოფლიოში არსებულ დაპირისპირებათა აღმოფხვრის პასუხისმგებლობა.

დიდი პრიმიტიულობა განიხილო ტერორიზმის პრობლემა და მასთან დაკავშირებული კონფლიქტი მხოლოდ გეოპოლიტიკის, რელ-პოლიტიკის, კულტურის, რელიგიის, ეკონომიკის და გენეზის მსოფლმხედველობის მენტალობის ჭრილში. აქ ყველა ეს ასპექტი გორდაისის მითითება კვანძითაა ერთმანეთში გადახლართული.

ბუშმა კონფლიქტის მოგვარების მაკედონური სტრატეგია აირჩია. ამ სიტუაციაში ნაესვისით ლოგიკურია, რომ ძალა ძალა დაუპირისპირდა. ჭეშმარიტად, როგორც ჰეგელი იტყოდა: "ისტორიაში არის გონება". კაცობრიობის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე როდესაც ბნელი ძალები თითქმის ერთ ფოკუსში იყრიდა ხოლმე თავს, აუცილებლობის ძალით თავს იჩენდა საპირისპირო მოვლენაც – საზოგადოებიდან ხდებოდა ჯანსაღი გონების ემანაცია. ამ აუცილებლობის ძალით დაუპირისპირდა ამერიკის საზოგადოება და ბუშის მხარდამჭერი კოალიცია ბნელ ძალებს. ამერიკის პრეზიდენტის გამჭრიახობის და გმირული პოზიციის წყალობით იმედმა შიში დათრგუნა.

რაოდენ სამწუხაროა, რომ ბუშის პოლიტიკური ოპონენტები აშკარად ვერ აცნობიერებენ პრეზიდენტის ტაქტიკურ სვლებს და განსაკუთრებით აკრიტიკებენ მას ერაყთან ომის გამო. მხოლოდ ახლომხედველ პოლიტიკოსს შეუძლია თქვას: მართალია ტონი ბლერის ჭკუა არ აკლია, მაგრამ ბუშთან ერთად ერაყის წინაშე ისიც დამნაშავეაო. სად არის ლოგიკა? ტირანი ჰუსეინი ერაყელთათვის ფრთოსანი ანგელოზი იყო. მას ფრთები მხოლოდ აშშ-ს და ბრიტანეთის თავკაცებმა შეაჭრეს. პრეზიდენტის ოპონენტები ლამის კომუნისმის აპოლოგიად მდიან როცა კომუნისტების სოციალური საკითხებით სპეკულირებენ. ამგვარი კრიტიკული გამოხვედრები მარტვი გასამიფრია და აშკარად მიანიშნებენ ავტორთა პირადული, მხოლოდ საკუთარი ინტერესებით მოქმედების მოტივაციაზე. რას იზამ, ამ ქვეყნად ყველაფერზე ძნელი სტერეოტიპების მსხვერვაა, განსაკუთრებით კი უკვე საკუთარ თავისებურად ქცეული სტერეოტიპებისა, რომელიც ერთგვარად კოდირებული ადამიანების უშფოთველი ცხოვრების გარანტიაც გამხდარა.


ტრადიციულად საარჩევნო კამპანიის პარალელურად გააქტიურდნენ ახლომხედველი პაციფისტები. მათ ომის საწინააღმდეგო "სერიოზულ" მოტივაციებს ბოლო არ უქანს. სამწუხაროდ, ისინი ვერ აცნობიერებენ საერთაშორისო ტერორიზმის აშკარა საფრთხეს, თითქმის ყველა პაციფისტს ერთგვარად დაუბნელდა გონება. ისინი პასუხს თხოვენ ბუშსა და მის ადმინისტრაციას ერაყში ასეულობით დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცების გამო. თუმცა, ავიწყდება: საერთაშორისო ტერორიზმის გააქტიურებით 2001 წლის 11 სექტემბრიდან დღემდე რამდენი ასეულ ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

რეაქციული ძალები კვლავ ინტენსიურად განაგრძობენ ბრუვას თავისი ბრმა იმედების გარშემო. თუ საერთაშორისო ტერორიზმს თავის ნებაზე მივუშვებთ დიქტატორული რეჟიმების ნელშეწყობით ისინი ერთნაირად გაახვევენ მთელ დედამიწას ვოკო-ნეოური ცეცხლის აღში, ისე რომ, ყველა ავიც და კარგიც, დამნაშავეც და უდანაშაულოც, პაციფისტიც და ანტი-პაციფისტიც ერთ ჯურღმულში ჩაცვივდება და ცოდვა მადლის გამიხივავივ არავინ დარჩება ცისფერი პლანეტაზე. პაციფისტები უნებლიედ მათ წისქვილზე ასხამენ წყალს.

ბუშის პოლიტიკურმა ოპონენტებმა კარგად უნდა გააცნობიერონ: პრეზიდენტს არა მარტო ღიად, ხილული მტრების წინააღმდეგ უწყევს ბრძოლა, არამედ ფარული ძალების წინააღმდეგაც, რომელთა მიღმაც მოიაზრებიან ის ოდინდელი ტერორისტული სახელმწიფოები, რომლებიც დღეს დემოკრატიის მანქანით შემოსილები ფარულად მხარს უჭერენ ტერორისტებს, ესმარებიან იარაღით, ფინანსურად თუ ცოცხალი ძალით. გამორიცხული არ არის რომელიმე ფსევდოდემოკრატიულმა ქვეყანამ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი გმირის ნიდაბი მოიაროს და იარაღით მოამარაგოს ტერორისტები თავისი ბნელი მიზნების აღსასრულებლად, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ფარულად ატარებდა გულში და ტკბილ სიზმრებში ხან მესამე რომად და ხან მონღოლთა მსგავსად მსოფლიო მბრძანებლად გახდომას ელტვოდა. ამ მიზნის მისაღწევად ისტორიულადაც (მე-17,18,19,20 საუკუნეები) ხშირად კრავდა კავშირს ფუნდამენტალიზმით დაბნელებულ გონებასთან დასავლური კულტურის თუ ცივილიზაციის თავის მარწუხებში მოსაქცევად. კავკასიასთან მიმართებაში მან ეს ოცნება მე-19 საუკუნეში აისრულა (რუსეთის საიმპერატორო კარმა მე-18 საუკუნეში ერთი მილიონი ვერცხლის ფული მოჭრა სპარსეთის მაშინდელი მმართველის ადა მაჰმადხანის ლაშქრობის დასაფინანსებლად და საქართველოს-კავკასიის კარიბჭის

და აღმოსავლეთში ევროპული ცივილიზაციის უკანასკნელი გოდოლის დასაჩოქებლად). წინაპართაგან ნანდერებ ამ პოლიტიკურ კურსს ის დღესაც ერთგულად აგრძელებს.

ჯ. ბუშის მიმდევართათვის სრულიად ნათელი გახდა: სტატიკურ გაეროს ექსცენტრული კაცობრიობის გლობალური პრობლემების გადაწყვეტა არ ძალუძს, სწორედ ამიტომ შეიქმნა ტერორიზმთან მებრძოლი საერთაშორისო კოალიცია. აშშ-ს დღევანდელმა პრეზიდენტმა მთლიანად თავის თავზე აიღო მსოფლიოში არსებულ დაპირისპირებათა აღმოფხვრის პასუხისმგებლობა. იგი მთელი ძალისხმევით იღწვის რათა მსოფლიოში ყველაზე მბრ-



ძანებლობდეს კანონი და არა ძალის კანონი.

სამწუხაროდ პრობლემის ძალისმიერი გადაწყვეტის გარდა სხვა გზა არ არსებობს. დესტრუქციულ ძალებს არ აქვთ ამის კეთილი ნება. ერთადერთი სწორი და პრობლემის მოგვარებისკენ მიმავალი გზა ამ ვითარებაში ძალის მანიფესტაციაა – თანმიმდევრული, მიზანდასახული ბრძოლის სახით.

მეორე – დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული საზოგადოების მშენებლობა და განვითარება მთელ მსოფლიოში;


ბუში ახალი მსოფლიოს ერთ-ერთი არქიტექტორთაგანია, მსოფლიოსი, რომელიც ეფუძნება თავისუფლების, დემოკრატიის და ადამიანის უფლებების ღირებულების. მისი ძალისხმევა მიმართულია ადამიანის ღირსების და თავისუფლების დასაცავად მთელ დედამიწაზე. იგი იღწვის რათა მსოფლიოში შესაძლებელი გახდეს თანაცხოვრების ახალი კულტურის დამკვიდრება, რომელიც ხალხთა შიშის და თანასწორობის პრინციპებზე იქნება დაფუძნებული. მისი მიზანია ადამიანთა შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის, ურთიერთგაგების და ნდობის ატმოსფეროს გაღრმავება, სიტყვის, სინდისის და პიროვნული თავისუფლების დამკვიდრება. ამის ნათელი მაგალითია ბალკანეთსა და ერაყში მიმდინარე მოვლენები, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისათვის ქმედითი მხარდაჭერა. ახლადშექმნილი ჯერ კიდევ სუსტი სახელმწიფოების პოლიტიკური თანადგომა, ამ ქვეყნების თავდაცვის ინსტიტუტების მხარდაჭერა-ნატოს ფარგლებში საწვრთნელი პროგრამების განხორციელება... პრობლემის ინტერესთა ერთიანობის საფუძველზე, ურთიერთკომპრომისებით გადაწყვეტის სტრატეგია.

მოვლენების მისეული ხედა და ჰუმანიზმი ამ ქვეყნებს აძლევს განსაზღვრულ იმპულსს- ღირსეულად შევინდნენ მსოფლიო თანამეგობრობაში და მტკიცედ დაიმკვიდრონ კუთვნილი ადგილი. როცა ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა მტკიცდება, კეთილდღეობა მატულობს და რეფორმები ეკონომიკისა თუ დემოკრატიის მშენებლობის დარგში სწრაფად ვითარდება, პლანეტაზე იზრდება მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტია. ეს უკვე სერიოზული ისტორი-

ული მიღწევაა.

მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორია აგრეთვე, ფსევდო დემოკრატიულ ქვეყნებში მედიის, სიტყვის თავისუფლების განმტკიცებისათვის მიზანმიმართული უკომპრომისო ბრძოლა. ბესლანში მომხდარი ტერაქტის შემდგომ რუსეთის მასმედიაში განვითარებულ მოვლენებზე ამერიკის ადმინისტრაციის აქტიური რეაგირება ამ ბრძოლის გამოხატულებაა.

დემოკრატია მჭიდროდ არის დაკავშირებული კულტურასთან. ჰუმანური იდეების, საკაცობრიო ღირებულებების განმტკიცებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს კულტურის ფუნქციები. უკულტურო ადამიანი იდეალური დემო-



კრატის პირობებშიც კი მონაა. შემწყნარებლობა, თანადგომა, თანაგრძნობა, განსხვავებული რელიგიის პატივისცემა და მშვიდობიანი თანაცხოვრება კულტურული საზოგადოების პრეროგატივაა. აშშ-ის საზოგადოებისათვის ეს უკვე წარმატებული განვითარების აპრობირებული გზაა. მუსლიმანი, ბუდისტი, ათეისტი, ქრისტიანი, თუღვევლი და სხვა რელიგიის წარმომადგენელთა მშვიდობიანი თანაცხოვრება აქ აღარავის აოცებს. ეს უკვე ამერიკული ყოფის ნორმაა. ადამიანური ურთიერთობების კულტურის ამ მიღების საყოველთაო დაწესება მსოფლიოს მშვიდობიანი თანარსებობის გარანტია.

ამერიკის საზოგადოება კულტურათა დიალოგით სოლიდარობისაკენ მოწოდებს მსოფლიოს შეურთებლობის და აგრესიის წინააღმდეგ. ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სვლაა კაცობრიობის კეთილდღეობისათვის.

პოლიტიკაში ჯ. ბუშმა მოიტანა ეთიკური ობიექტი აურა. მან შეძლო ერთმანეთისთვის შეეთვისებინა ზნეობა, სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობა. ეს რჩეულია ხვედრია. ზნეობისთვის და სახელმწიფოებრივი სიბრძნის გამოხატულებაა მის მიერ გამოცემული კანონი აპორტის აკრძალვის შესახებ. ეს ჭეშმარიტად სიცოცხლის დეოტაბრივი ჭკერტაა.

მესამე – ამერიკა მსოფლიო მნიშვნელობის სტრატეგიული ფუნქციის ქვეყანა ან ამერიკა ახალი მსოფლიოს დემოკრატია (გადაწყვეტით ამ ორიდან ერთ-ერთი).

ყოველ ერს დიდსა თუ მცირეს აქვს თავისი განუმეორებელი სახე და უნიკალური მოვალეობა. როცა ერთი თავის ისტორიულ მისიას ახორციელებს მას დიდი წვლილი მოაქვს საკაცობრიო კულტურის და ყოფის განვითარებაში. ჯ.ბუშის სამიზნო და საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული ხაზი მიმართულია ამერიკელი ხალხის ამ დიდი მისიის აღსრულებისაკენ. ერთი მხრივ, საკაცობრიო იდელებისაკენ ერის წარმართვისათვის და, მეორე მხრივ, საკაცობრიო იდელებით ერის მსახურებისათვის. ამერიკის დღევანდელი პრეზიდენტი თავის ქვეყანას ანიჭებს განსაკუთრებულ საერთაშორისო სტრატეგიულ ფუნქციას. მისი მეთაურობით ამერიკა გახდა მსოფლიოს სრულფუნქციანი და ღირსეული ლიდერი. ბუში არის მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა, რომ-

ლის წყალობით მოხერხდა ისტორიის ახალი კარიბჭის გახსნა.

პრეზიდენტი მკაფიო და მიზანდასახული სტრატეგიით წარმართავს ამერიკის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების განმტკიცების პოლიტიკურ კურსს. განსაკუთრებით ზრუნავს ამერიკის საზღვრების (სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო) უპრეცედენტოდ გაძლიერებული დაცვისათვის, ქვეყნის შიგნით უსაფრთხოების ზომების განმტკიცებისათვის და ამერიკელი ხალხის ღირსების გრძობის ამაღლებისათვის.

ჯ. ბუშის და მისი გუნდის ღრმად გააზრებულმა პოლიტიკურმა კურსმა აშშ-ის საზოგადოებას შესძინა ერის ისეთი სპეციფიკური ნიშანი, რომელიც მანამდე არ ახასიათებდა დედამიწის ზურგზე არცერთ ერს. 100 წლის წინ ქართველი მეცნიერი მ. წერეთელი წერდა: "ერთი ნაკლი ეძნენოდა ყველა ერს, რომელიც თავისუფლებას და დამოუკიდებლობას ეტრფოდა: მათ მხოლოდ თავისთვის სწამდათ თავისუფლება... სხვა ერთათვის სწამდათ თავისუფლებად – ეს თავისუფლება არ სწავდათ." სწორედ ეს ნაკლი დასძლია და ახალი ჰუმანური, აღმატებული თვისება შეიძინა აშშ-ს საზოგადოებამ ჯ. ბუშის და მისი თანამშრომლების საშინაო და საგარეო სტრატეგიის გონივრული, მიზანმიმართული წარმართვით. აშშ-ს პრეზიდენტი და მისი გუნდი აეროსტატივით იწვევს ამერიკის საზოგადოებას მალა – საკაცობრიო იდელების და მისიის აღსრულებისაკენ მსოფლიოს ყველა ერის დემოკრატიული თუ კულტურული განვითარებისათვის და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის. საერთაშორისო ტერორიზმთან და დიქტატორულ რეჟიმებთან უკომპრომისო ბრძოლა სხვა ქვეყნების და ერების თავისუფლებისაკენ მიმართული ბრძოლაც გახლავთ.

დღეს ბუშის ამერიკა არის ქვეყანა, რომლისაც სჯერათ და რომელსაც ენდობან მსოფლიოს პროგრესული ძალები. იგია მსოფლიო საზოგადოებრიობის კეთილდღეობის გარანტი.

ბუში მსოფლიოს სასიკეთო განვითარების და ბედნიერი მომავლის გარანტიებს ამ სამი პოსტულატის ურთიერთკავშირში განიხილავს. მათმა ამოქმედებამ მთლიანად უნდა შეცვალოს სამყაროს აზროვნება და დაიწყოს თვისობრივად ახალი ერა. მათ ხორცმცხმას უნდა მოჰყვეს მსოფლიოს ეკონომიური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული აღმავლობა, მშვიდობა და კეთილდღეობა.

მაგრამ ყველა გაიგებს, ყველა მიხვდება თქვენს მისიას? რას იზამთ, ასეთი არიან ადამიანები, ასეთია საზოგადოება, ასეთია ლიდერის ხვედრია.

და მაინც, მსოფლიო ყოველთვის მდღიერი იქნება მისი ამგვარი ძალისხმევისათვის.

P.S. ეს წერილი ჩემი პატარა ქვეყნის მრავალსაუკუნოვანმა ტკივილმა დამაწერინა. ქვეყნის, რომლის მრავალი თაობა საუკუნეთა განმავლობაში ოცნებობდა დასავლურ ცივილიზაციასთან ერთობაზე. ქართული კულტურა, ეროვნული თვითშეგნება და ღირებულებათა სისტემა თავისი არსით იმთავითვე ევროპული იყო. სამწუხაროდ ვერ შეძლო დახმარებოდა საქართველოს მიუხედავად მისი მრავალგზის მცდელობისა.

და აი დღეს, ის რაც ვერ შეძლო ევროპამ საუკუნეების წინათ, ხორცმცხმულ რეალობად აქცია აშშ-მა და მისმა პოლიტიკურმა ლიდერმა. თუმცა ბრძოლა ვერ არ დასრულებულა საქართველოს ფსევდოდემოკრატიული მონსტრის ბრჭყალებიდან მიტაცებული ტერიტორიები აქვს დასასხნელი.

საქართველოს სახელმწიფო სუვერული ძალმოსილების და რეალური დამოუკიდებლობის გარანტი, მისი წარმატების საწინდარი დღევანდელი ამერიკა პოლიტიკური კურსი და მისი ლიდერის ბუშის პოლიტიკური კრედილია.

**მზია სულაძე
ნობარ ხვედელიძე**

ჯორჯ ბუში სახელმწიფო დეპარტამენტში თავის ყველაზე ერთგულ მრჩეველსა და მეგობარს გზავნის. კონდოლიზა რაისი ამერიკის ისტორიაში სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე პირველი აფრო-ამერიკელი ქალი იქნება. აღიარებული მეცნიერი, მოციგურავე და პიანისტი აშშ-ს დეპარტამენტების ხელმძღვანელებზე თეთრი სახლის გავლენის გასაზრდელად მიაგლინეს.

ბუშის ადმინისტრაციაში ცვლილებები გრძელდება. შეგახსენებთ, უკვე თანამდებობები დატოვეს ჯონ ეშკროფტმა (გენერალური პროკურორი) და ლონალდ ევანსმა (ვაჭრობის მდივანი), ხოლო მიმდინარე კვირაში გადადგომების სერია კოლინ პაუელმა (სახელმწიფო მდივანი), როდ პეიჯმა (განათლების მდივანი), სპენს ებრეჰემმა (ენერჯეტიკის მდივანი) და ენ ვანმანმა (სოფლის მეურნეობის მდივანი) განაგრძეს. ჯერჯერობით, თანამდებობას ინარჩუნებს თავდაცვის მდივანი და უდავოდ, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი ვაშინგტონში ლონალდ რამსფელდი. თუმცა, სავარაუდოდ, მისი გადადგომის შესახებაც მალე გახდება ცნობილი.

ბუნებრივია, ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო მდივნის პოსტია და შესაბამისად, კოლინ პაუელის შემცვლელადაც ჯორჯ ბუშს ყველაზე წარმოსაჩენი კანდიდატი უნდა წარმოედგინა.

და აი, აშშ-ს პრეზიდენტმა მსოფლიო ჰეგემონის პირველი დიპლომატის თანამდებობაზე თავისი მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, კონდოლიზა რაისი დაასახელა.

რას უქადის დანარჩენ მსოფლიოს კონდოლიზა რაისის სახელმწიფო მდივნად დანიშვნა? 2 ნოემბრამდეც ნათელი იყო, რომ არჩევნების შემდეგ, ნებისმიერი კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში, ვაშინგტონში ცვლილებები გარდაუვალი იყო.

დღეს, ექსპერტთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში რადიკალურ ცვლილებებს არ უნდა ველოდეთ - ნათელია, რომ ქვეყნის პირველ დიპლომატად წარდგენილი კონდი აქამდეც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა მთელ რიგ საკითხებს. თუმცა, ანალიტიკოსები, მეტადრე რუსები, ვარაუდობენ, რომ მოკლე ხანში კრემლთან თეთრი სახლის დამოკიდებულება შეიცვლება. "პაუელისგან განსხვავებით, რაისი რუსულ პოლიტიკაში ღრმად ჩანს და არ უნდა ველოდეთ "პერიტუჯის" მოსკოვის ოფისის ხელმძღვანელი ევეგნი ვოლკი, - მას არ აქვს ილუზიები აქ მიმდინარე პროცესების შესახებ, აქედან გამომდინარე



ამერიკულ დიპლომატიას „კონდის“ ხანა იწყება

აშშ-ს დამოკიდებულება გამკაცრდება." მართლაც, კონდოლიზა რაისმა მშვენივრად იცის კრემლის თამაშის წესები. სწორედ მისი მონაწილეობით გახდა შესაძლებელი რუსულ მხარესთან რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სფეროში შეთანხმების მიღწევა (შეგახსენებთ, თავდაპირველად რუსეთი ძალიან გაღიზიანებული იყო აშშ-ს მიერ ახალი სისტემის შექმნის დაწყებით).

კიდევ ერთი მოსაზრება, რაც კონდოლიზა რაისის ნომინირებამაც დადასტურა: ჯორჯ ბუშის წინა კაბინეტს პირობითად ყოფნენ "ქორებად" და "მტრებად". "ქორებად" მირიადად პენტაგონის ხელმძღვანელობასა და მასთან კავშირის მქონე პოლიტიკოსებს (პირველ რიგში დიკ ჩინის) გულისხმობდნენ, ხოლო "მტრებად" სახელმწიფო მდივანსა და მისი უწყების პირველ პირებს რიჩარდ არმიტიჯის ჩათვლით. კოლინ პაუელის გადადგომამ და მასთან ერთად არმიტიჯის წასვლამ თანამდებობიდან პოლიტიკოსების გეგმა გაუჩინა, რომ "მტრები" დამარცხდნენ. მართალია, ღონიერად რამსფელდიც, სავარაუდოდ, დიდხანს პენტაგონში არ დარჩება, მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ მას ვინმე, უფრო რბილი პოლიტიკის მომხრე შეცვლის.

ყველაზე ხშირად კი დღეს ამერიკელი პოლიტიკოსები აშშ-ს პოლიტიკის ერთ, მთლიან მონოლითად გადაქცევაზე საუბრობენ, სადაც მეტ-ნაკლებად განსხვავებული აზრი აღარ იქნება. პრეზიდენტმა ერთგვარი სისტემა შეიმუშავა - მეორე ვადით არჩევასთან ერთად ბუშმა ერთგული ხალხი თეთრი სახლიდან დეპარტამენტში გადაინსეროდა. იურიდიული მრჩეველი ალბერტო გონსალესი გენერალური პროკურორი გახდება; საშინაო პოლიტიკის მრჩეველი მარგარეტ სპე

ლინგსი - განათლების მდივანი; ტომ რიჯსი, რომელსაც ქვეყნის შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტი ებარა, სავარაუდოდ, თეთრი სახლში ამავე სფეროს კოორდინატორი ფენს ტაუნსენდი შეცვლის. დემოკრატები კი უკვე ერთგვარი სახელისუფლებო პირადიდის ჩამოყალიბებაზე საუბრობენ, სადაც სხვა ხმა აღარ ისმის, გარდა მის მწვერვალზე მყოფისა.


მოკლე ბიოგრაფიული ცნობები: კონდოლიზა რაისი დაიბადა 1954 წ. ბირმინგემში, ალაბამას შტატი. ამ პერიოდში ალაბამა, შეიძლება ითქვას, ყველაზე რასისტული შტატი იყო. ერთ ინტერვიუში ქალბატონი რაისი ამბობს, რომ ამ გარემოში რაიმე წარმატების მისაღწევად შავკანიან გოგონას სხვებზე ორჯერ მეტის სწავლა უხდებოდა. წარმატებებს კი მართლაც შთაბეჭდვას მიაღწია: 15 წლის ასაკში დაამთავრა სკოლა, 19 წლის - უკვე ბაკალავრის ხარისხს ფლობს პოლიტიკურ მეცნიერებებში, 21 წლისა - მაგისტრია. 1981 წელს იღებს დენვერის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა უმაღლესი სკოლის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს. კონდი, როგორც მას ხშირად ეძახიან, ამ პერიოდში სრულდა ექვსიანი მეცნიერულ საქმიანობას ეწევა. აშშ-ში და მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო სოცეოლოგად მიჩნეული რაისი წამყვან უნივერსიტეტებში კითხულობს ლექციებს და ამავდროულად აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსაც აწვდის კვალიფიციურ რჩევებს. სხვათა შორის მეცნიერული მოღვაწეობის პერიოდშიც ბევრ რამეში იყო "პირველი"- მაგ., კონდოლიზა რაისი აშშ-ს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა და ამავდროულად, პირველი შავკანიანი რექტორი იყო სტენფორდის უნივერსიტეტში (სტენფორდის უნივერსიტეტი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელია 1,5 მლრდ აშშ დოლარის ბიუჯეტით). ამის შემდეგ კი, თეთრი სახლში მისი პოლიტიკური კარიერა იწყება - კერძოდ, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში. მისი ბიოგრაფიის ერთი ეპიზოდი ნავთობგეგანტ "შეგონსაც" უკავშირდება. იგი კორპორაციის დირექტორთა საბჭოში შედიოდა (უნდა ითქვას, რომ ბუშის ადმინისტრაციის წევრთა უმრავლესობა ნავთობბიზნესთან გარკვეულ კავშირშია. იგივე ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩინი და თავდაცვის მინისტრი ლონალდ რამსფელდი სერიოზულად არიან დაკავშირებული ნავთობკორპორაციებთან.)

ნიკა თარაზვილი



პილაპ პიტი ნიხნი

მაგასონი გაღასონიპლიპიკულად



"ნიუსუიქი", "როიტერსი", "ესო-შიეტიდ პრესი", "ვოგი", "ლოს ანჯელეს ტაიმსი" - ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ გამოცემების, რომლებიც ბოლო დღეებში ტომ ფორდზე წერენ, "გუნიზა" და "ივ სენ ლორანის" მთავარ შემოქმედებით მუხტზე.

მისი მოდის სახლიდან პომპეზურად წასვლის შემდეგ, დიდი დრო გავიდა, მაგრამ ტომ ფორდი ისეთი ღონის ვარსკვლავია, რომ მისი დავიწყება არც პრესას და არც მოდაზე გააფიქრებულ პუბლიკას იოლად არ შეუძლია. თუმცა, ფორდის ამჯერად გახსენების მიზეზი მაინც უბრალო მონატრებაზე მეტია. დიზაინერმა გამოსცა წიგნი, დიდი ფოტოებიანი და მოგონებებით სავსე კრებული გარედან სულ შავია და სიღრმისა და იდუმალების განსაკუთრებულ განცდას ქმნის. ამ შავ ფონზე დიდი და სწორკუთხა ასოებით დაწერილი სახელი და გვარი - ტომ ფორდიც შთაბეჭდვად იკითხება.

წიგნს, მართლაც, ასე უბრალოდ ჰქვია "ტომ ფორდი", მაგრამ თავად ავტორისთვის ძალიან ძვირფასი რამეა. მოღვაწეობის 10 წელი, ამ ხნის განმავლობაში შექმნილი ათასობით მოდელი, უამრავი ემოსია, ურთიერთობა, წარმატება, იმედგაცრუება და მერე ისევ ტრიუმფი. ფორდს ამ ძვირფასი მოგონებების შეკრასა და ფურცელზე გადატანაში უფრონაღ "ვენიტი ფარის" რედაქტორი გრეიდონ კარტერი დაეხმარა, წინასიტყვაობა ამერიკული "ვოგის" რედაქტორმა ანა ვინტურმა დაუწერა, ფოტოების შერჩევა და დიზაინი კი თვითონ ფორდმა აიღო საკუთარ თავზე.

"ამაზონ.ქომი" ამ ახალ გამოცემას ფორდის სრულყოფილ კატალოგს უწოდებს, რომელიც "გუნიზა" და "ივ სენ ლორანში" გატარებულ წლებს მოიცავს. ეს არის არა მხოლოდ ფორდის მიერ შექმნილი ტანსაცმლის, აქესუარებისა და საოჯახო ნივთების ქრონიკა, არამედ ის წარმოდგენას გვიქმნის ფორდის ხედავზე ზოგად დაზიანების სფეროში. მკითხველი შეიტყობს, თუ რას ფიქრობს ის არქიტექტურის, მაღაზიის დეკორაციისა და რეკლამის შესახებაც.

რაც შეეხება ფოტოებს, წიგნის გადათავლიერება მხოლოდ მათ გამო მინც ღირს. ფორდის მიერ არჩეული 200-მდე ფოტო რიჩარდ აველონის, მარია ტესტინოს, სტევენ მიხელის, ჰელმუტ ნიუტონის, ჰერბ რიკისა თუ ტერი რიჩარდსონის ნამუშევრებსაც შეიცავს. სურათებიდან კი მსოფლიო თანავარსკვლავედის ყველაზე კამკამა სახეები იცქირებან - მაღინა, ჯენიფერ ლოპესი, კეიტ მოსი, ნაომი კემპბელი და სხვები. აქვეა ფორდის ვიდეოს ფოტოებიც სანტა ფესა და ლოს ანჯელესში, ასევე, პაპარაცების გადაღებული კადრები, სარეკლამო ესკიზები. ილუსტრაციების დიდი ნაწილი პირველად ქვეყნდება.

წიგნის დაღასში გამართულ პრეზენტაციაზე გადამდგარმა დიზაინერმა აღნიშნა: "ამ კრებულით გაკეთება "გუნიში" ყოფნის დროსაც მინდოდა. იქ მოღვაწეობის უკვე ათი წელი ხდებოდა და მინდოდა, ყველაფერი დოკუმენტად მექცია. მარშან ოქტომბერში კი, როცა მივხვდი, რომ "გუნიდან" მალე უნდა წამოვსულიყავი, უფრო ავჩქარდი. დრო მოგონებებსა და წარსულს დაუთმე. მომინდა, მთელი ეს ათი

წელი, რომელიც ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა, ლამაზ წიგნად შემეკრა, მისთვის ჩემი ბიოგრაფიის ერთი თავი დამეჩქმა და მერე უფრო იოლად გამეგრძელებინა ცხოვრება".

მაშ ასე, წარსულ ათ წელიწადზე ბევრი ფიქრის შემდეგ, ფორდის მოგონებები ლამაზად ილუსტრირებულ წიგნად უკვე გამოვიდა და ახლა დიზაინერს ისლა დარჩენია, ახალი ცხოვრება მართლა დაიწყო. მით უფრო, რომ მას მშვენივრად აქვს განსაზღვრული თავისი ბიოგრაფიის ყველაზე დაბალი და მაღალი წერტილები. "ნიუსუიქთან" საუბარში ფორდი ამბობს: "ჩემი კარიერის უმაღლესი წერტილი "გუნიდან" წამოსვლა იყო. ძალიან ვამაყობ ბოლო ორი ჩვენებით. ყველანაირად ვეცადე, ძალ-ღონე მიმეკრიბა და კოლექცია კარგად შემეკრა. მგონი, გამოვივიდა".

ფორდის ბიოგრაფიის წიგნი კი ახალი თავი იფურცლება - თავი პოლიეული. ჩანაფიქრი, მართლაც, ასეთია, ამ ახალ, პოსტ-"გუნისულ" რეალობაში მას ამერიკული კინო და მრავალფეროვანი პროექტები უნდა დაეხმაროს. დასახმარებლად კი საქმე ნამდვილად აქვს, რადგან ჯერ ახალ ცხოვრებასთან ადაპტაციის პერიოდი გასაველი. ლოს ანჯელესის ოფისიდან ხომ რეალობა მისთვის ძალიან უცნობი მოჩანს და ამიტომ "როიტერის" კორესპონდენტსაც გულწრფელად ეუბნება, რომ ცხოვრების შენელებული ტემპი მოდის სახლების გიჟური ცხოვრების შემდეგ, ცოტა ენაშუშება. ვერც ხელქვეითთა სექსტრირებულ არმათა ეგუება - "გუნიში" ის ათი ათასამდე ადამიანს უდამხედველობდა, ახლა კი სუთი მომსახურე პერსონალი ჰყავს.

შესაბამისად, ახლა ფორდს მოდაზე საუბრის ნაცვლად, კინო-პროექტების განხილვა სიახლოვებს. მთელი ზინაობის განმავლობაში მან ასზე მეტი სცენარი წაიკითხა, მაგრამ არც ერთი მოეწონა. ახლა ის ორ სცენარზე მუშაობს. ერთს თვითონ წერს, მეორეს კი ცნობილი ავტორის რომანთან აკეთებს, თუმცა, ჯერჯერობით, წიგნისა და მწერლის ვინაობას მალავს და იმედი აქვს, რომ ამ ორიდან რომელიმე გადაღებას მინც შეძლებს.

"ჩემი კინო მინდა რაღაც, ფასეულობის შემცველი იყოს. მინდა, მაყურებელს გაეახსენო დაიწყებული ცხოვრებისეული ესთეტიკის შესახებ. ჩემმა ფილმმა მაყურებლის უნდა ჩააფიქროს, გამოიწვიოს... დასასრული? დასასრული ჯერ არ ვიცი, ვნახოთ". ჯერ არც თავად ტომ ფორდის კარიერის დასასრულის შესახება რამე ცნობილი. თუმცა, გაგრძელება ვიცით. კინო ხან წიგნები. ყოფილი დიზაინერი ხან ნიუ იორკშია და წიგნის ავტორად ფეხს ავრცელებს და ხან - დაღასში. ის იმ დონის ვარსკვლავია, როგორც არასდროს ყოფილა. უკვე აეროპორტების საბაჟოებზეც ცნობენ, წიგნის ნიუ იორკულ პრეზენტაციაზე კი ერთმა ფანმა ავტოგრაფისთვის მკერდიც გადაუღებდა. ახლა ფორდი თავისი კრებულის რეკლამირებისთვის ლონდონში მიემგზავრება. მერე კი ცოტა ხნით დაიკარგება და თავის პარტიორთან Vogue Hommes-ს რედაქტორთან რიჩარდ ბაქლინთან ერთად შინ ჩაჯდება. მერე კი დაიწყება კინო, ჯერჯერობით, The End-ის გარეშე.

ნილ კავუტი, წამყვანი:

მხოლოდ წარმოდგინეთ: ჩემი მე-ამბოხნი, უთანხმოებანი რუსეთთან, სერიოზული პრობლემები სეპარატიზმთან საკუთარი ქვეყნის ერთერთ რეგიონში. ჩემი შემდგომი სტუმარი არა მარტო ცდილობს ტერორთან ომის წარმოებას, არამედ სხვა პრობლემების მთელ გროვასაც ებრძვის და ერთდროულად ახორციელებს ყველაზე უფრო მასშტაბურ რეფორმებს, რომელთა მსგავსიც ოდესმე მოსწრებია მის სამშობლოს.

ჩვენ შემოგვიერთდება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ბატონო პრეზიდენტო, მონარული ვართ თქვენი ნახვისა.

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:

მე კი სიამოვნებით ვმონაწილეობ თქვენს გადაცემაში.

ნ. კავუტი: მითხარით ერთი, რამდენი წლისა ბრძანდებით 38?

მ. სააკაშვილი: ოცდათექვსმეტის.

ნ. კავუტი: ერთი! უფრო ერთი! როგორც ჩანს, დროა, ისევ სკოლაში დაიწყო სიარული. კარგი, კარგი. რა ამბებია საქართველოში.

მ. სააკაშვილი: რაც სენსაციური იყო, თქვენ უკვე ყველაფერი თქვით, მაგრამ იმას დაგამატებ, რომ ეს ძალიან ლამაზი, სასიამოვნო ქვეყანაა თავისი შრომისმოყვარე ხალხით, წარსულში მრავალი ძნელობა უნახავს და გადაუტანია, მაგრამ ამჟამად წარმატებით ახორციელებს რეფორმებს.

გარდა ამისა, ამ ქვეყანას ფრიად მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდგომარეობა უჭირავს. და ამ ქვეყანაში ბოლო ხანს, უფრო სწორად, რამდენიმე თვეში, ჩვენი რეკოლუციის შედეგად, როცა ჩვენმა ხალხმა არსებითად დაამხო არჩევნების შედეგების "მომპარავი" მთავრობა შესაძლებელი გახდა გადასახადების აკრეფის მოცულობის გასამკვეთა, შესაძლებელი გახდა კორუფციის პრობლემისთვის თავი გაართმევა, შესაძლებელი გახდა კიდევ...

ნ. კავუტი: მოდით, კორუფციის პრობლემაზე ვილაპარაკოთ, ვინაიდან ყველა როდია დარწმუნებული, რომ თქვენ მართლა მოახერხებთ მისი შეჩერებას.

მ. სააკაშვილი: იცით რა, სახელმწიფო მოსამსახურეებს ჩვენში ხელფასს, უბრალოდ, არ უხდიდნენ.

ნ. კავუტი: ეკეთ?

მ. სააკაშვილი: და ისინი არსებითად ბოროტად იყენებდნენ თავიანთ უფლებამოსილებას. ჩვენც ავდექით და, მაგალითად, მოგახსენებთ, პოლიციის შემადგენლობის თითქმის ნახევარი დავითხოვეთ. მეტსაც გეტყვით.

ადრე ჩვენ ისეთი პოლიციელებიც გვყავდნენ, რომელთაც საერთოდ არც იცოდნენ, ხელფასი რა იყო, რომელთაც არავითარი აღჭურვილობა არა ჰქონდათ, და რომლებიც ფაქტობრივად იძულებულნი იყვნენ, რომ ქროამი აეღოთ და უფროსობისთვის გაეყოთ გამოძალული ფული.

ახლა ჩვენს პოლიციას დასავლეთური ავტომობილები აქვს, ფორმა ამერიკული ნიმუშისა აცვია, ყველა უზრუნველყოფილია რაციით, მაღალი ხელფასით. პოლიციელთ ხელფასი რეაგეროტორმეტჯერ გაეზარდა და ხალხიც აფასებს.

ნ. კავუტი: მართალი ბრძანდებით, ბატონო პრეზიდენტო, მაგრამ ბევრს ახსოვს ძველი დროება. მთელ ამ ოლიგოპოლიას, რომელსაც ის ძველი დროება მოსწონდა, თქვენ არ მოსწონხართ.

მ. სააკაშვილი: კი, ეგრა. ბუნებრივია, არ მოვწონვარ იმ გავლენიან ადამიანებს, ვინც კორუფციაში იყო



ჩართული და ახლა ციხეში ვსვამთ.

მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩვენ ხალხი გეიჭერს მხარს, და ეს ნამდვილად პირველი ექსპერიმენტია პოსტსაბჭოთა სივრცეში. შეუძლია თუ არა დემოკრატიის რეალურად გამარჯვება. შეგვიძლია თუ არა უფრო თავისუფალი ვიყოთ, ვიდრე ადრე ვიყავით.

შეუძლია თუ არა ხალხს რეალურად აირჩიოს თავისი მთავრობა, და კმაყოფილი იყოს ამ მთავრობით. უნდა გითხრათ, რომ ჩვენი რეიტინგი, მოწონების რეიტინგი ამჟამად გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე მაშინ, როცა მე იანვარში ამირჩიეს.

ნ. კავუტი: ეკვარაშუა, სერ, რომ თქვენ მართლა ბევრი ადამიანის შემოკრება მოახერხებთ. და ქვეყნის დემოკრატიზაციის მხრივ თქვენი ძალისხმევა ნამდვილად ქებას იმსახურებს.

მაგრამ თქვენი ქვეყანა ჩვენთვის ესაზღვრება. იქ სიტუაცია კატასტროფული ჩანს. გარდა ამისა, თქვენ თქვენი "გამოყოფილი" რესპუბლიკა გაქვთ სამხრეთ ოსეთი. ჩემი ფიქრით, ამიტომაც არის, რომ თუ ვინმეს თქვენს ქვეყანაში კაპიტალის ჩადება შეუძლია, თქვენში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, ამას აღარ იზამს, ფულის ჩადება არა ღირსო, იტყვის.

მ. სააკაშვილი: ეგ ნამდვილად გასათვალისწინებელი ფაქტორია. ჩვენ არაკეთილი მეზობელი გვყავს, უფრო სწორად, უბრალო მეზობელი არ ეთქმის. ეს ამბავი კი ყოველთვის ხელს არ უწყობს მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ნ. კავუტი: თქვენ ჩვენთვის გვაკვთ მხედველობაში.

მ. სააკაშვილი: მე მთლიანად რუსეთი მყავს მხედველობაში.

ნ. კავუტი: მთლიანად რუსეთი.

მ. სააკაშვილი: და მაინც, ჩვენ ამავდროულად ისიც ვაჩვენებთ, რომ შეგვიძლია ქვეყნის შეცვლა, მასში წესრიგის დამყარება. ჩვენთან დაბევრის ყველაზე დაბალი ნიხრებია რეგიონში, მათ შორის, ერთიანი საშემოსავლო გადასახადი სულ 12 პროცენტია. მკვეთრად შევამცირებთ გადასახადის ცალკეული სახეობები. ზოგიერთი გადასახადი ოცდაერთიდან შვიდ პროცენტამდე შემცირდა.

და ყველაფერი ეს, იცით, ჩვენს უდიდეს შინაგან ენერჯიას ერწყმის. გარდა ამისა, ჩვენ ვთანამშრომლობთ ამერიკასთან ტერორის წინააღმდეგ ომში. როდესაც ვამბობთ, რომ არასასიამოვნო მეზობლობა გვაქვს, ეს მართლაც ასეა და სწორედ ამიტომ გვემარება აშშ შეიარაღებული ძალების განვითარებაში.

ნ. კავუტი: და სწორედ აქ იწყება გაუგებარი სიტუაცია. ჩვენ ვლადიმერ პუტინსაც ვეზმარებოდით ჩვენთვის პრობლემის გადაჭრაში და მათ (ჩემი მოთარეშებებს) ტერორისტებისა და ალქაიდას რანგში ვაყენებთ. და აქ, ბატონო პრეზიდენტო, მიჩნდება კითხვა ხომ არ წამოვს ეს პრობლემა სიტუაციას მთელს რეგიონში. ძალიან ბევრი ლაპარაკობს, რომ მთელ

ეს რეგიონი "ცუდაა", რომ თქვენ ყველაფერ ამის შუაგულში აღმოჩნდით.

მ. სააკაშვილი: ჩვენ მართლაც ასეთი მეზობლობა გვაქვს, ძალიან რთული რეგიონია, მაგრამ, იცით...

ნ. კავუტი: შეიძლება, სერ, გაითხოვოთ.

მ. სააკაშვილი: რა თქმა უნდა.

ნ. კავუტი: თქვენი აზრით, ჩვენები მეამბოხეები არიან თუ ტერორისტები.

მ. სააკაშვილი: იქ მებრძოლთაგან ბევრი ტერორისტია. და არ მგონია, რომ ტერორისტებთან რეალურად შეიძლება მოლაპარაკების წარმოება. მაგრამ, ცხადია, უნდა ვიმუშაოთ პოლიტიკურ ელემენტებთან ჩვენთვის, და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ სიტყვა "ტერორი" მხოლოდ ჩვენთვის თუ საქართველოს როდი ეხება, ეს საყოველთაო მოვლენაა.

ნ. კავუტი: სერ, როდესაც შეიტყვეთ ბესლანში მომხდარის შესახებ, ჩვენთვის თავისუფლების სახელით დასოცილ ბავშვებზე, ანუ მე მინდა ვთქვა, რომ...

მ. სააკაშვილი: ჩვენ თავზარდაცემული ვიყავით, რადგან უკანონობა რუსეთში სერიოზულად ვნებს საქართველოს. საქართველოში მომხდარი ნებისმიერი უკანონობა კი აზარალეხს რუსეთის მეზობელ რეგიონებს.

ამიტომაც ყოველნაირად ცდილობდით ამ პრობლემის გადაჭრას. პასუხისმგებლურად ვმოქმედებდით. ანუ ჩვენნი ჯარები იმყოფებიან არა მხოლოდ ჩვენს ტერიტორიაზე, არამედ ერაყშიც, ავღანეთშიც, კოსოვოშიც.

აი, სულ ახლახან მოვისმინე, რომ არავის შეუთავაზებია თავისი ჯარები ერაყში გაუროს კონტინენტში ჩასართავად. ასე არ არის საქართველომ შესთავაზა. და მტკიცედ გვწამს, რომ ტერორიზმს უნდა ვებრძოდით.

ნ. კავუტი: ანუ თქვენ ეთანხმებით პრეზიდენტს, ომს ტერორის წინააღმდეგ, რომელსაც ჩვენი პრეზიდენტი აწარმოებს.

მ. სააკაშვილი: მთლიანად ვეთანხმები, რომ ტერორიზმთან საბოლოოდ უნდა დავამთავროთ საქმე. ვეთანხმები, რომ აუცილებელია დემოკრატიის განმტკიცება.

რაც შეგვეხება ჩვენ, ვთვლი, რომ საქართველო პატარა დემოკრატიული ქვეყანაა, რომელიც წარმატებით ვითარდება და რომელსაც მრავალი პრობლემის გადაჭრა შეძლო. მაგრამ ჩვენ ვერ შევძლებთ გადავრჩეთ მართლაც, თუ არ ვიქნებით საკმაოდ წარმატებით, მტკიცედ და გადამჭრელად მოქმედი დიდი კოალიციის მონაწილე, რომელიც ითვალისწინებს ერთს: ყველა, მათ შორის დიდი სახელმწიფოები, ისეთები, როგორც არიან რუსეთი და აშშ, პასუხისმგებლურად მოქმედებენ და რეალურად აგვარებენ პრობლემებს.

ნ. კავუტი: გმადლობთ, ბატონო პრეზიდენტო, რომ შემოგვიერთდით.

მ. სააკაშვილი: გმადლობთ.

მიხეილ სააკაშვილი

რუსეთი ჩვენი

პრაკტიკული გეოგრაფია

ინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტთან

2004 წლის 23 სექტემბერი
გადაცემა: „თქვენი მსოფლიო“
ნილ კავუტოსთან ერთად



ნახვების
აღწერა!

ამ დღეებში ვოლგოგრადში გამართულ კონცერტზე ალა პუგაჩოვამ თავიანთსმეცემლებს განუცხადა, რომ მისი გადაწყვეტილება სცენიდან წასვლის შესახებ საბოლოოა და განხილვას აღარ საჭიროებს. პუგაჩოვას არაერთხელ გაუკეთებია მსგავსი განცხადება, მაგრამ, როგორც ჩანს, პრიმადონა უკვე ნამდვილად აღარ ხუმრობს. ახლა იგი არცთუ მთლად კარგ ფორმაშია. როგორც ჩანს, სცენაზე ყოფნის მრავალმა წელმა, დაღლილობამ და გამუდმებულმა ყურადღებამ თავისი ქნა.

პუგაჩოვამ თავის თავიანთსმეცემლებს სცენიდან წასვლის შესახებ ამცნო. უარეს შემთხვევაში, ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ მუსიკის მოყვარული საზოგადოება ვეღარ ნახავს, ვერც ახალ ჩანაწერებს, ვერც პრიმადონას კონცერტებს და ვერც მის გამოსვლებს გადაცემაში "ფაბრიკა ზვიოზდ". ბოლო წუთამდე არავის უფიქრია, რომ ამ კონცერტზე ალა პუგაჩოვას უკანასკნელად გამოაცხადებდნენ. მომდევნო ნამდვილად არ იყო ფორმაში. ოფიციალური ვერსიით, იგი მოსკოვი-ვოლგოგრადის გზაზე გაცივდა და იძულებული გახდა, სცენაზე სიცხიანი გამოსულიყო. კონცერტზე არ ბრწყინავდა, თუმცა, ბოლომდე დაიხარჯა, იმდენად, რომ, თვითმხილველთა თქმით, სცენიდან ხელკავით გაიყვანეს.

კონცერტის შემდეგ, როდესაც "გადამდგარ" პუგაჩოვას თავიანთსმეცემლებმა ვოლგოგრადში მისი მომავალი ვიზიტის შესახებ ჰკითხეს, მომდევნო გაცხარდა: "მე თქვენთვის არ მითქვამს "ნახვამდის", მე გითხარით "შევიდობით". ეს ჩემი გამოსამშვიდებელი ტურია!" არსებობს მოსაზრება, რომ მომდევნო თავი მოაბუზრეს მისმა ფანებმა, ცხოვრების რთულმა გზამ, ან სულაც უიღბლო გამოსვლამ.



ინფორმაცია პუგაჩოვას წასვლის შესახებ მომდევნო პრესამსახურმა დადასტურა, ვარსკვლავის სამომავლო გეგმების შესახებ კი კატეგორიულად არ საუბრობენ. თუმცა, არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ 55 წლის პრიმა, რომელსაც ჯერჯერობით ვერავენ შეავიწროებს, არც ფიზიკურად და არც ვოკალის მხრივ ფორმაში აღარ არის. იგი სულ უფრო ხშირად დაღლილი გამოიყურება. კანტიკუნტად გამართულ პრესკონფერენციებზე მომდევნო რამდენჯერმე მოყვა კიდევ იმ დაავადების შესახებ, რომელიც ის იტანავდა. მაგრამ შედალს ორი მხარე აქვს. პუგაჩოვას გადაწყვეტილებას შეიძლება თავიანთსმეცემლებისა და პრესის მხრიდან მისთვის არასასურველი შეფასება მოჰყოლოდა. მაგალითად,



მოსკოვში გამართულ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტმა მომდევნო სრულიად უსაფუძვლოდ განუცხადა, რომ იგი უსიამოვნოდ გამოიყურებოდა, თუმცა, ამ უხეში მიმართვის გამო მუდღემ, იქვე მჯდომმა კირკოროვმაც კი არ დაიცვა. წინა კვირას სატელევიზიო პროგრამაში "ანშოავი" ალა ბორისონას დაცინივით "პაპას დედოფალი" უწოდეს, დაუფარავად საუბრობდნენ მის გემოვნებასა და ჩაცმის მანერაზე. როგორც ჩანს, ალა პუგაჩოვას არ სურს, უზრდელობას უზრდელობითვე უპასუხო. მაქსიმუმ, რაც ამ თვალსაზრისით მომდევნო უკანასკნელ წლებში გააკეთა, იმდენაა "ქვეყანაზე, მე შენთვის ერთი ვარ", ყველაფერი "ყველაფერი მიეტოვებინა". არც ისაა გამორიცხული, რომ სცენის დატოვება მათ ერთდროულად გადაწყვიტეს. თუმცა, სინამდვილეში არც ერთისა და არც მეორისა ჯერ არავის სჯერა. ფილიპი უკვე ამბობს, რომ მას არასწორად გაუგეს, რომ იგი ორწლიან პაუზას აკეთებს. ალბათ, არავის გაუკვირდება, თუ მას ერთ თვეში, ახალი წლისთვის, კვლავ ტელეეკრანებზე ვიხილავთ. პოპულარული მსახიობების საგასტროლო გრაფიკი ხომ სამი, ან, სულ ცოტა, ერთი წლით ადრე დგება. ასე რომ, მიცემული პირობის შესრულებას ფილიპ კირკოროვსაც მოსთხოვენ.

"სცენიდან წასვლა" ესტრადაზე იშვიათობა არ არის. არც ისე დიდი ხნის წინათ იოსებ კობზონმაც გააკეთა მსგავსი განცხადება. თუმცა, შემდეგ დაამატა, რომ არავინ იქნება წინააღმდეგი, თუ ქვეყნის საყვარელი მსახიობი სცენაზე დაბრუნდება. ახლა მოსკოვის არც ერთი დღესასწაული (თუნდაც ერთდროულად რამდენიმე) კობზონის გარეშე არ იმართება.

ზურბიკულა იაპონელებთან გაიხსნა



- ჩივოვიძე!
- ვარ, მასწავლებელი!
- კალანდაძე!
- ავერ ვარ, მასწავლებელი!
- სისარულიძე!
- ავად გახდა, მასწავლებელი, და ჭყონიამ, ცენტრადემ, ბურჭულაძემ, ქორიძემ, ნინიძემ და ლლონტმა გააცილეს სახლში.
- მთელი კლასი ვერ გაყვით? - იკითხა გულჩვილმა მასწავლებელმა.
- ხელის მოსაკიდებელი ადგილი აღარ დარჩა, თორემ მივყვებოდი...

ყველას კარგად გვახსოვს ცნობილი ეპიზოდი "მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან". ასე იწყება თავი, რომელსაც "პირველი სიყვარული" ჰქვია და რომელიც ნოდარ დუმბაძის იაპონელი მთარგმნელის - იასუჰირო კოჯიმას საყვარელი პასაჟია ამ ნაწარმოებიდან. იასუჰირო კოჯიმა მშვენივრად აუღო ალღო ქართულ (გურულ) თუმორს, თუმცა ნოდარ დუმბაძის შემოქმედებით მხოლოდ თუმორის გამო არ დაინტერესებულა: "მწერალთან ოსტატურადაა ერთმანეთში შეზავებული თუმორი და სევდა. ამის გამო მომწონს და ვაფასებ ამ მოთხრობებს". ისე, თავიდან ქართველმა მკვლევარებმა "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" სწორედ თუმორის თვალსაზრისით შეურჩიეს - ძალიან, ძალიან სასაცილოა და წაიკითხეო.

იასუჰირო კოჯიმა - იაპონელი ენათმეცნიერი. დაიბადა 1976 წელს დასავლეთ იაპონიაში. მისი მშობლები ახლაც იქ ცხოვრობენ. მერე ტოკიოს უნივერსიტეტში შევიდა და საცხოვრებლად დედაქალაქში გადავიდა. ამჟამად ტოკიოს უნივერსიტეტის ასპირანტი. სწავლობს ზოგად ენათმეცნიერებას. თავიდან სლავური ენების შესწავლით იყო დაინტერესებული - რუსულს ეუფლებოდა. მოგვიანებით კი კავკასიური ენებით დაინტერესდა. ქართული ენის შესწავლასაც მიჰყვება. ჯერ ინგლისურ ენაზე დაწერილ ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოს გაეცნო. მერე იაპონიაში ქართველთა მიმართული მკვლევარების ოჯახში უკვე შემოვიწვლია იაპონიაში ცხოვრობდა - ოჯახის უფროსი ფიზიკოსი იყო და ერთ-ერთი იაპონური ფირმის ლაბორატორიაში მუშაობდა. იასუჰირო კოჯიმა ხშირად სტუმრობდა მკვლევარების ოჯახს, უცხო ენის სამყაროს ჩვეულება, ბოლოს საქართველოშიც ჩამოვიდა. ეს იყო 1998 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის მუშაობაში მონაწილეობდა. 2000-2002 წლებში თბილისში ასპირანტურაში სწავლობდა. წელს უკვე მეთხუთსედი ეწვია ჩვენს ქვეყანას.

"თავდაპირველად ქართულის სწავლა ძალიან გამიჭირდა. ვერ ერთი ჩემთვის არტიკულაციურად და აკუსტიკურადაც ძალიან უცხო ბგერებია, გრამატიკაც საკმაოდ რთულია და ჩანს ვერსწავლობ, მეუბნები ქართველი მკვლევრებს და..." ამ "რთულ და ჩანსართულ" გრამატიკას კოჯიმა საკმაოდ ინტერესით იკვლევს. 2001-2003 წლებში დაიბეჭდა კოჯიმას რამდენიმე წერილი ქართულისა და მეგრულის შესახებ: "შერწყმული წინადადება და ბრუნვის ნიშნები მეგრულში", "თანდებულთა სინტაქსური ფუნქცია ქართულში", "თურმეობითისა და კილოს კატეგორია თანამედროვე ქართულში" და სხვ. (ყურნალში "ენათმეცნიერების საკითხები")

იასუჰირო კოჯიმა ამბობს, რომ თარგმნა მისთვის უბრალო ჰობია (თუმცა ეს ნათქვამი მის პასუხისმგებლობაზე უფრო მეტყველებს). "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" მისი მეორე თარგმანია. პირველად იაპონურ-

რიდან ქართულად თარგმნა სიგა ნაოას "კინოსაქიში". ეს თარგმანი გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა. "მე, ბებია, ილიკო და ილარიონს" რამდენიმე წლის წინ შეეკვიდა: "მოგეწონება, სასაცილოა და ადვილი წასაკითხი, მიიხრეს; ჩამითრია. "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" ისე შემეყვარა, რომ გადავწყვიტე იაპონურად მთარგმნა. მთელი გატაცებით ვთარგმნიდი, არაფერი აღარ მახსოვდა".

ნოდარ დუმბაძის სამყარო სრულიად განსხვავებულია. აქ სიკეთე და სინათლე ჩანსაგვს, აქ სიკვდილიც სიცოცხლით არის განათებული. გაციხსნოთ მოთხრობის ფინალი: ბებია კვდება, ბნელ ოთახში შემოდის მერი: "ვიგრძენი, რომ ეს მერი იყო, რადგან მას ბნელ ოთახში უხომო სინათლე შემოჰყვა, მერე მე მაინც ავდექი და შემოვტრიალდი, რათა დამენახა ეს სინათლე და ამ სინათლეზე ჩემი ილიკო, ჩემი ილარიონი და ჩემი ბებია..."

თარგმანზე კოჯიმა სამ წელს მუშაობდა: "თარგმნა რომ დავიწყე, ქართული ჯერ კიდევ სრულყოფილად არ ვიცოდი. ხშირად დავდიოდი მკვლევარების ოჯახში, განუწყვეტლივ ვეკითხებოდი - ეს რას ნიშნავს, ის რას ნიშნავს-მეთქი. დასაწყისში ვწვავლობდი, თითოეული ნაწყვეტის თარგმნას უამრავ დროს ვანდომებდი, მერე თანდათან ენაც გავიტეხე..."

წლებულს მისი იაპონიაში იასუჰირო კოჯიმას თარგმანი გამოვიდა - ნოდარ დუმბაძის "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" იაპონურ ენაზე. ეს ქართული ლიტერატურის პირველი თარგმანია იაპონურ ენაზე, რომელიც უშუალოდ დენიდან ითარგმნა. აქამდე არსებული იაპონური თარგმანები - "ვეფხისტყაოსანი", ნოდარ დუმბაძის "მე ვხედავ მზეს" და "ნუ გემინია, დედა" რუსულიდან იყო შესრულებული.

"იაპონელების დიდი ნაწილი საქართველოს თითქმის არ იცნობს. მე მგონი, ამ წიგნის გამოსვლა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. არაერთი მკითხველი დაინტერესდა უცნობი ქვეყნის - საქართველოს ცხოვრებით. ერთ-ერთ გაზეთში რეცენზიაც კი დაიბეჭდა, მისი ავტორი რუსული ლიტერატურის სპეციალისტი გახლდათ. მოკლედ, კარგად მიიღეს. მკითხველთა ერთმა ნაწილმა თავისი შთაბეჭდილებებიც კი გამიზიარა. ზოგი თუმორზე ამხეილებდა ყურადღებას, ზოგი - ადამიანურ ურთიერთობებზე, სიყვარულზე (ერთი ჩემი ნაცნობი გაცილებული იმასაც შეკითხვობდა, ეს რამდენი ცხოველი ჰყოლიათ ქართულ სოფლებში: თხა, ძროხა, ცხვარი, მართლა ასეა?). უთქვამთ კიდევ ჩემთვის - როგორი მჭიდრო და თბილი ურთიერთობებია ამ ადამიანებს შორისო.

მართლაც, ზურიკელას, ილიკოს, ილარიონისა და ბებიას ურთიერთობები განსაკვირვებელი და უჩვეულოა იაპონელთათვის. ალბათ, ადრე იაპონ-

ნიაშიც ასე იყო, მაგრამ ახლა ადამიანები უფრო დაშორებულნი, გაუცხოებულნი არიან. ის, რაც ძველად იყო, მაინცდამაინც აღარაა შენარჩუნებული. მე ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით, "მე, ბებია, ილიკო და ილარიონმა" დიდი შთაბეჭდილება დატოვა იაპონელ მკითხველზე."

მთარგმნელის აზრიც ასეთია. ამ ნაწარმოებში ყველაზე ღირებული სწორედ ეს ადამიანური ურთიერთობებია, რაც ყველაზე ნაღდი და ყველაზე ძვირფასია ამ ცხოვრებაში და, სამწუხაროდ, დღესდღეობით იშვიათობაა ქვეყლი. ამიტომაც, როგორც იასუჰირო კოჯიმა გვეუბნება, მართალია, ქართული და იაპონური ლიტერატურული სამყარო ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება, ეს მოთხრობა იაპონელმა მკითხველმა გულთან ახლოს მიიტანა, სწორედ ამ სიბოხსა და სიყვარულის გამო.

ყველაზე დიდი დრო და ენერგია კი ახალგაზრდა იაპონელმა მთარგმნელმა მაინც თუმორისთვის დაილოცა და სიტყვათა თამაშის გადმოთარგმნებას მოაწოდებდა. მაგალითად, ასეთი:

- რასაა, რომ იზუთხავ, შვილო?
- ზმნის პირიანობას ვსწავლობ, ბებია.
- ზმნის პირიანობა ვის გაუგია, ბიჭო, პირიანო კაცი ვიცი მე.
- ეს სხვა პირია, ბებია, შენ რომ გვინათ, ის არ არის.
- პირი ერთია, ბიჭო, ქვეყანაზე...

ასეთ შემთხვევებს თარგმანის თეორიაში "უთარგმნელს" უწოდებენ. "უთარგმნელი" სიტყვების თამაში თუ ასეთი სიტყვებით აგებული ხუმრობები და მათ მიერ შექმნილი მხატვრული ეფექტი, მოგესხენებათ, ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში მრავალადა. სამწუხაროდ, იაპონური არ ვიცი და ამიტომ ვერც იმას ვეუბნებ, თუ როგორ გართობა ამ სიტყვებს თავი ავტორმა. იასუჰირო კოჯიმა თავადც გაგვიძილა, - ძალიან გამიჭირდა, მაგრამ რაღაცნაირად მაინც შევძელიო. იქვე სიცოცხლით დასძინა - ამის ახსნას ქართულად ვერ მოვახერხებ, ძალიან რთული გამოვყო. როგორც ჩანს, მართლაც შეძლო: "ჩემი ამხანაგი მიყვებოდა, "მე, ბებია, ილიკო და ილარიონს" მატარებელში ვკითხულობდი და თავს ვერ ვიკავებდი, სიცოცხლით ვივუდებოდიო".

იაპონელი მთარგმნელის საყვარელი პერსონაჟი ზურიკელაა. რატომ? - ამ კითხვაზე მხრებს იჩეჩავს და პასუხის გაცემა უჭირს - კარგი ადამიანია და იმიტომო. განა ისე ბევრია ამ ქვეყნად კარგი ადამიანი? ისეც ტაკუბოკუ (დიდ პოეზიაში ყველაფრის პასუხს იპოვი): "კარგად იცინის ეს ჭაბუკი! ღმერთო, რა კარგად! იგი რომ მოკვდეს, ამ წუთისთვის ნაღველი უფრო მოემატება."

ჩვენმა ზურიკელამ იაპონურ თარგმანში ახალი სიცოცხლე დაიწყო.

თამარ სუსნიშვილი

დედას ვუყვარვართი შვილები,
დედა არ ვვასწოვ შვილებს,
ამისომ ჩუთსოველი
სურ მუდამ ვასწოდებოქსა.

მე არ მასსოვხარ, დედა! დავპიანავი სათელი

დედის, მანანა კილაძის ხსოვნას

მე არ მასსოვხარ, დედა!
არც ჩემს გყუპისცალებს, დაბადებიდან რამოდენიმე საათში ჩემთან ერთად დაობლებულ ანზორისა და ავთანდილს ახსოვხარ. ჩვენს დაბადებას შენი 20 წლის სიცოცხლე შეეწირა... ერთი სიცოცხლის საფასურად 3 ახალი სიცოცხლე დაბადე...

გაღმთვნიდან ვიცი, რომ იმ დროისათვის აჭრელებული პრესა 20 წლის გმირ დედას გიწოდებდა, 4 ბიჭის დედას.

მიმიკო მაშინ წელიწადნახევრის იყო, ჩვენ ერთი დღისანი...

მამამ სახელები გყუპებს ისე შეგვირჩია, რომ საწყისი ასობგერებიდან შენი სახელი, მანანა, მიგველო:

მზუნარი, ანზორი, ავთანდილი...

ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, მე შენზე უფროსი ვარ (რაგომღაც შეგვრთი „შენობით“ მომართვაზე), თითქმის 25 წლის, შენ კი ისევ 20 წლის სტუდენტი...

შენი არსებობა ჩვენ გვიან გავიგეთ.

რამდენი დრო ვიცი, რას ვფიქრობდი, როცა მამას ერთნაირ განისამოსში „გამოწვიპალები“ სასაფლაოზე დავეყავით.

ახლად წერა-კითხვა ნასწავლებმა, როცა საფლავის ქვაზე შენს სურათთან, ჩვენი სახელების გასწვრივ „დაგვირით საყვარელო დედა“ ამოვიკითხეთ, ვერ გავითავისეთ, რომ ჩვენი დედა გარდაცვლილი იყო. ძნელი იყო ამის გათავისება და შეუძლებელიც იმ უდიდესი სითბოს ფონზე, რასაც ჩვენი მეორე დედა - მანანა შარაბიძე გვაძლევდა.

ვიცი, გაგებით მოვიკიდებ, როცა შეიგყობ, რომ მას ჩვენ „დედას, დედიკოს“ ვეძახით...

ალბათ, იმიტომ, რომ მისი უდიდესი შრომისა და სითბოს გამო ჩვენ უშენობა არ გვიგრძნია. ეს მხოლოდ მამის გვახსენებოდა, როცა შენს საფლავზე მოვილოდი ან სკოლის კლუბში, ფილმ „სხვისი შვილების“ ჩვენებისას ერთი ამხანაგი უტაქტოდ შემეკითხებოდა:

- შენც ხომ გყავს დედინაცვალი?

ახლა, როცა თავთან მარტო დავრჩი, ჩემი ოჯახიდან, შენი განსასვენარიდან შორს, მივხვდი, რომ უბედნიერესი ქალი და დედა ხარ:

- იმიტომ, რომ ღვთის წყალობით შენი შვილები ჯანმრთელინი



და საღ-სალამათი არიან...

- და მეორე, ისინი არ არიან „სხვისი შვილები“, მათ შენს მაგვირობას შენი მოსახელები, მეგობარ დედისინიერი ადამიანი უწევს.

და როცა ბედისწიგნში ჩაწერილ დროს იგი თქვენს ბეციურ საუფლოში გადმოსახლდება, გთხოვ კარგად მიიღე და ხელმეც ეამბორე, მაღლობა უთხარი, რომ მისი შვილებიც ვიყავით. დამეებს ათენებდა ჩვენს აღმზრდაში, გამთენისისხანამდე გვაძეკადინებდა სათითაოდ, და მამის დაისვენებდა, როცა ღარწუნდებოდა, რომ წიგნი მაგიდაზე კი არა, უკვე ჩვენს თავში იყო.

გვიან მივხვდი, თუ რა ღამა-ღამა შემოვიყვანა მამამ ჩვენს ცხოვრებაში. მას პაგარები სასაფლაოზე დავეყავით, სასაფლაო კი სათამაშო ადგილად მიგვაჩნდა რაგომღაც, უფროსები შესანლობარს სვამდნენ, ჩვენ ყურადღების გარეშე ვრჩებოდით და ყირამალას გადავდიოდით. აი, წამოსვლისას კი, მახსოვს მამის თხოვნით: „დედიკოს აკოცეთ“, საფლავის ცივ ქვაზე გამოხატულ ღამაში ქალის სურათს ვეამბორებოდი გაუამრებლად, სახლში ვბრუნდებოდით და გამზრდელ დედას „დედიკოს“ ძახილით ვეგებებოდით.

ერთხელაც, მამის გარდაცვალების შემდეგ ბაბუამ ჩვენი დაბადებისა და თქვენი სიყვარულის ისტორია რომ მოგვიყვა, გვეგონა, რომ ღამა-ღამა გვიამბობდა...

დაკრძალვის დღეს, სამშობიაროში ჩაწერილი ჩვენი, სამი გყუპის გირილის ხმა გაცილებდა. მამის, ალბათ გაუამრებლად ვგიროდით დედა.

მე ახლა მინდა დავიგვირო და მაღლობა გითხრა იმ სიცოცხლისათვის, რომელიც წილად შენგან მერგო.

მანუჩარ კაჭახიძე

მერაბ კოსტავას, როგორც მამულშიშვილს და ეროვნულ მოღვაწეს, ქართველი ხალხის წინაშე წარდგინება არ სჭირდება. მას იცნობენ აგრეთვე, როგორც ნიჭიერ მუსიკათმცოდნეს და თეატრალურ კრიტიკოსს, მაგრამ მისი ნაცნობ-მეგობრების ვიწრო წრის კიდევან უცნობია მისი პოეზია, მისი ლექსის გზნება და მადლი.

არ უყვარდა მერაბს თავისი ლექსების პოპულარიზაცია. მიტინგებზეც იშვიათად თუ წაუკითხავს საკუთარი ლექსები. „შიმშილობა“ წაიკითხა ერთხელ ნოემბრის დღეებში, მოშიშვლეთა გასამხნეველად და „შავი ჯოჯოხეთის კუპრი“, გამოქვეყნებაზე კი ფიქრიც არ სურდა.

ჩვენ, თანაკბილანი, სიყრდილანე ვმეგობრობდით. ვერ პირველ ვაჟთა საშუალო სკოლაში ვსწავლობდით ერთ კლასში, შემდეგ ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ სასწავლებელში. მერაბი ჩინებული პიანისტი იყო, მშვენივრად ასრულებდა გრიგის, ბეთჰოვენის და შუბერტის. ბეთჰოვენის და ვაგნერის გმირული მუსიკა იყო იმჟამად ჩვენი სტიქია. მერაბში თითქოს ორი სული იბრძოდა. ფაუსტის მსგავსად, მუსიკის და პოეზიისა. ბოლოს პოეზიის სულმა იმძლავრა, მერაბი მუსიკას შეეშვა და პოეზიას მისცა თავი, თუმც მისი ლექსი არ გაჰყვია მუსიკას. მუსიკის ტალღათა მძლავრი პულსირება საცნაურია მის სტრიქონებში.

ამასთან ერის წყლული წყლულად გვანდა და არც პოლიტიკაში ვიყავით უმოქმედონი. მამაჩემი იმთავითვე შთაგვაგონებდა ორივეს ეროვნულ იდეებს, გავითვითცნობიერებდა, თვალს გვიხელდა სინამდვილეზე. დამოუკიდებელი საქართველოს ოცნებით, რაც ბრწყინვალედ აისახა მერაბის შესანიშნავ ესეებში კონსტანტინე გამსახურდიას შესახებ, იმჟამინდელი ჩვენი განწყობილებები კი აირეკლა ლექსში, რომელიც ვუძღვენი მერაბს 15 წლის ასაკში:

“ჩვენ ძლიერ ხშირად გვიფიქრია
ძმაო ამაზე,
როდის აღსდგება სამშობლო
ჩვენი,
და დაბრუნდება კვლავ სილამაზე
თავისუფლების და აღმაფრენის.
როდის დადგება ის დღე დაიდა
როს ბორკილს შეგხსნით ერს
დამცირებულს,
და დაუბრუნებებს თვალს
განთიადი,
ჩრდილეთის წითელ ჯვალათა
კრებულს!
და საქართველო დიდჭირნახული
გამოფხიზლდება ყველა იოგით
ჩვენ ღვთისმშობელი გვწყალობს
ხალხის
და გვიცავს მარად თეთრი
გიორგი”

ღვთის რწმენა თავიდანვე გვექონდა, მაგრამ განსაკუთრებით ინტენსიურად დაავადებთ რელიგიური და თეოლოგიური შემეცნების გზას 60-იან წლებში. საიდუმლო ღვთისმეტყველებამ და მისტიკამ გაგვიტაცა. ამ პერიოდში მერაბის ლექსები მისტიური

სიღრმით და რელიგიური აღმაფრენით გამოირჩევიან. სწორედ იმ ხანებში მიძღვნა მან ასეთი ლექსი:

მეგობარ ზვიადს,
„შენი სამშობლო არის სულეთი
სხვა სრა-სასახლე, ძმაო,
ნუ გინდა
დე, ხალხის თვალში დარჩი
სულელი,
მამის წინაშე იყავი წმინდა.
დაე, გფარავდეს ვარსკვლავთ
კრებული
და მიქაელის ცეცხლის მახვილი,
დაე, ღირსად გვცნონ, იქმნა
ნებულები,
წმინდა ზვარაკის ტკბილი
სასმელით.

არ მიიკარო მწიკული ზადის
შენი ტანია თვით ეკლესია,
სცან ღაღადისი, გზა განიშხადე,
დედამიწაზე დადის მესსია!“
იმავე პერიოდში მიძღვნა ლექსი „პაემანი“, სადაც საოცრად იწინასწარმეტყველა ის, რომ იგი ჩემზე ადრე დასტოვებდა ამ წუთისოფელს და მე, მის აკლამასთან, თალხით მოსილი, დაველოდებოდი მეგობრის აჩრდილს. აკი ამხნდა ყოველივე.

მე ვიყავი მისი ყოველი ნაწარმოების პირველი მკითხველი, ისევე როგორც იგი იყო ჩემი პირველი მკითხველი და შემფასებელი წლების მანძილზე. ბოლოს მაძიულა (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით), ჩემი კრებულის მიტანა „მერაბში“ 1973 წელს, რაც დამთავრდა მთავლიტის მიერ ამ წიგნის აკრძალვით და ანაწყოების განადგურებით. (ხელისუფლება ჩვენი დაპატიმრებისათვის ემზადებოდა და რა დროს ლექსები იყო). თავისი ლექსები კი ვერაფრით მივატანინე ვერც ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, ვერც გამომცემლობებში.

„ბიჭო, შემიგროვე შენი ლექსები, შენ არაფერში შეგაწუხებ, მე გადავაბეჭდინებ და წიგნსაც მე შეგიდგენ, ახლა მაინც სხვა დროა და გამოსცემენ-მეთქი“ –რამდენჯერ ვუთხარი.

„სად მცალია ან შეგროვებისათვის“ –ნიდავ ასეთი იყო მისი პასუხი. ახლა ენანობ, კიდევ მეტი დაფიქრებით რად არ მოეთხოვე. თვალთ ენახა, გაეხარა ერთხელ მაინც თავის ცხოვრებაში.

ღიახ, გაუხარები იყო მისი ყოფა, ისევე როგორც ყოველი ჩვენგანისა წლების მანძილზე. ბოლო ხანებში ერთადერთი რამ გვანახებდა: აზვირთებული ახალგაზრდობა, ეროვნული დროშების ფრიალი, ლაღი მიტინგები და მსვლელობები, რაც ესოდენ ჩაგვიმწარდა 9 აპრილს! მაგრამ 26 მაისი იმავე წლისა ხომ აღდგომა იყო ნამდვილი თუმც ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ვინაიდან ეს ცალკე თემაა.


ლექსი მისი საქართველოს გოლიათი ციხეების ღულაბით ნაგებს ჰვავს, ენა მარღვიანი, ძველ ქართულს ნაზიარევი, პოეტური ნეოლოგიზმები თამამი, რითმითა სამყარო უჩვეულო, რიტმი ძლიერი და დამაბნელებელი, როგორც მისი სახის კუნთები.

ო, ამ მრისხანე გამოხედვის ქვეშ

რა ჩვილი გული იმალებოდა, რა თანაგრძნობა მოყვასისადმი, ყოველი დევნილისა და ჩაგრულისადმი!

ლექსის აბჯრით არის თითქოს შეჭურვილი, ლექსის შუბით და ლახვრით ეომება მტერს! ნახეთ მისი „დიდგორი“, „ღირს მამა დავითს“, „დოსტოვესკი“, „გალაქტიონი“ (რა ძველები დაუდგა თავის საყვარელ მეფეებს, წმინდანებს, პოეტებს)!

როგორც ვთქვი ურთიერთის პირველი მკითხველები ვიყავით. სუკის ციხეში ერთწლიან პატიმრობის შემდეგ შეგვახვედრეს გამოძიებლის კაბინეტში 1978 წლის მარტში, დაპირისპირების ფორმალური პროცედურის ჩასატარებლად (ვინაიდან არაფერი გვექონდა დასაპირისპირებელი, ერთმანეთზე არავითარი ჩვენებები არ მიგვიცია და არც სხვებზე). ჩვენი „დაპირისპირება“ გამოიხატა იმაში, რომ ამბის გამოკითხვის შემდეგ ერთმანეთს ვუკითხავდით საკანში დაწერილ ლექსებს, ასე რომ „დაპირისპირება“ პოეზიის სადამოდ გადაიქცა და ამ უჩვეულო სადამოს აუდიტორიას წარმოადგენდნენ ჩვენი გამოძიებლები! ასეთი რამ ნამდვილად არა გვექონია პრაქტიკაში, ღიმორვეით ამბობდნენ ისინი, დაპირისპირებისას თანამოსამტყე პატიმრები ერთმანეთს ლანძღავდნენ, საცემრად და ზოგჯერ მოსაკლავად იწვევენ, ესენი კი ვერ როგორ შეხვდნენ ერთმანეთს და ახლა



გვანსოვს მერაბი!

მერაბ კოსტავას მონაბრეა

კი ლექსებს კითხულობენ.

ციხეში დაწერა „ღირს მამა დავითს“, „დოსტოვესკი“ და სხვა ლექსები. პერმისკენ მიმავალ ეტაპში კი, 1978 წლის 12 აგვისტოს დაწერა ჩემდამი მიძღვნილი ლექსი, „მას ქრისტესმიერს“, რომელიც შემდგომ ლაგერდან გამოვიგზავნა, მაგრამ ჩემამდე ვერ მოაღწია, დედანი ამ ლექსისა გადმოძეცა 1980 წელს, ციმბირში, სოფელ კვიტოკში, სადაც თავისუფალ გადასახლებაში იმყოფებოდა და სადაც მე და ირაკლიმ, მისმა ვაჟმა ვინაზსულეთ. მსურს ორიოდე სიტყვით დავახსნათო ეს ლექსი, აქ არის თითქოს ჩვენი ბრძოლის ისტორია, ჩვენი ბიოგრაფია, პოეტური სიტყვით გადმოცემული და რაოდენ ლაკონურად! აი, სად ასრულდა რუსთაველის ნათქვამი: გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო!!! რამდენი დასტია მან ამ ლექსში, რა გრძობა, რა განცდები, რა – ტრავმია! „ნამეტანი გადააჭარბეთქი, ჩემი როლის შეფასებისას“ – ესეა ვუთხარი.

შუბლი შეიჭმუნა, როგორც სჩევოდა და არაფერი მითხრა.

მცირე ხნის პაუზის შემდგომ მეუბნება:

„გაგიგე, ვილაც პროვოკატორები გარწმუნებენ თბილისში თითქოს მე შენს ე. წ. მონანიებას ვეძებ და სისუსტედ გითვლი. ხომ გითხარი, არ წამოვეო-მეთქი ევთებზე, წერილი მაინც არ დამეწერა საკანში შენი თანდასწრებით! წინასწარ შეთანხმებულნიც რომ არ ვყოფილიყავით შენს უკანდახევაზე, განა არ მესმის რომ სხვა გზა არ იყო, უცხოეთში შენი გაძევებით ხომ დაილუპებოდა ჩვენი მოძრაობა! აბა, დაუკვირდი, ამ ლექსის დამწერი განა შეიძლება, რომ სხვაგვარად ვფიქრობდე?!“

მე სახტად დავრჩი. განა არ მსმენოდა ამგვარი რამ, მაგრამ როგორ უსაკვედლებოდა ჩემს ტანჯულ ძმას,

ისიც ისეთ სიტუაციაში, მაგრამ გულთმხილავი თავად მიმიხვდა და წყლულზე მალამოსავით წამაცხო ეს ლექსი, რომელიც, ალბათ, შედგურა მისი პოეზიისა.

თანაც დასძინა: „გახსოვდეს, რომ გამოძიებამ მაჩვენა ორივე ფირი შენზე, სუკის მიერ დამონტაჟებული, რომელსაც ტელევიზიით უჩვენებდნენ და სწორედ ამის შემდეგ დაწერე ეს ლექსი მაგათი გულის გასახეთქად!“ ასეთი იყო მისი პოზიცია, რაც „გლასნოსტში“ გამოქვეყნებული წერილიდანაც ჩანს.

როდესაც 1981 წელს პირველად დაუმატეს წლები ციმბირში, „სასამართლოზე“ განაცხადა: „თქვენ ისე მექცევით, როგორც რუსეთი ექცევა საქართველოს“ და განაცხადა უფადო შიმშილობა, ვინაიდან ახლობლებთან შეხვედრის უფლებაც წაჰკვარეს.

მისმა ერთმა ციმბირელმა მეგობარმა შემატყობინა მისი ჯანმრთელობის კატასტროფული მდგომარეობა. სასწრაფოდ ვაფრინე ტელეფონოგრამა ჟორჟ მარშესთან, მარშე მიტერანს დაუკავშირდა, მიტერანი ჯერაც ცოცხალ ანდროპოვს, ახმაურდა პრესსა, აყვირდნენ რადიოსადგურები და მისცეს მერაბს ახლობლებთან შეხვედრის უფლება.

ირაკლის ტრაგიკული თვითმკვლელობის შემდეგ კვლავ მომივიდა ციმბირიდან ცნობა, მერაბი განწირულია! კვლავ დავტრიალდი, ვეცი დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოებს, ავტენე ხმაური. იმხანად ამოხეთქა ჩემი გულდანი პასუხმა მის ლექსზე, რომელსაც ახლა ვაქვეყნებ:

“ერზე მჭვუნვარე ძმათა კრებული ერის საფიცარ რაინდს გიწოდებს, უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ენებულები სასუფეველში შეხვალ, იცოდლე! ქრისტემ მოგმალდა ცის გასაღები და სერაფიმთა პაეოვნება,

არ გვამს მონღოლის ნატრახახევი და არც მარლოხეს ყალბი ცხოვნება.

გვეტანებოდნენ ძაღლი და ღორნი, შემუსვრა სურდათ ელვარე ჭაღის, მაგრამ ხომ დავრჩით, მაინც ჩვენ ორნი, მერთალი რაინდნი მწუხარე სახის! კვლავაც დაუვადეთ დარაჯად საფლავს, ყველა ცოცხალთა მიზანს და მიზეზს,

ამგვარ წამებას ხომ შევბაც ახლავს, სვალეც იმედის თვალებით გვიმზერს ცხოველმყოფელი საფლავი იგი გვიწამება ცხოვრების წყაროდ დაგვექცერის თვალის არსთაგამრიგი ის ავგარიდებს ბედის შავ ტაროს. და ოცნებებიც ცას მისწვდნენ ჩვენნი,

ცა გარდაგვეხსნა მარადყამული, ხელთუქმნელ ხატის დიდებით მშვენი ღვთისწილხვდომილი ჩვენი მამული. დე, ელვარებდეს ივერთა ცაზე მზე შუაღამის, ბარძიმი წმინდა, გვწყალობდეს, ვინაც გვიკურთხა ვაზი და ღვთისმშობელი ვინაც დაწინდა. ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე, ბნელში მსხლდომი კვლავაც

ავუნთოთ კვარი და მიგვიძვოდეს ეკლიან გზაზე წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი.” თავისი ცხოვრებისეული კრელო კი მერაბ კოსტავამ შემდეგ სტრიქონებში ჩააქსოვა:

„წილხვედრ სიკვდილს თუ ვუმზერდე ავად, მაშინ ნამუსის ქუდი გაეთელო, ჩემი სამშობლო ზეცაა თავად, შემდეგ ეს მიწა და საქართველო!“

და მისი პოეზიაც ხომ ზეცის, მიწის და საქართველოს მარადიული დიდებაა.

ზვიად გამსახურდია
1990 წელი, ნაოლისილება





ამერიკის დედაქალაქიდან მეგობარი მირეკავს და მბრძანებს, რომ შემსხვედრებს ვაშინგტონში კონფერენციაზე ჩამოსულ პლანეტის NI ადამიანს. მე ვიბნევი, მგონია, რომ აუდიენციას მიწვობს პრეზიდენტ ბუშთან, რადგან ვთვლი, რომ იგი პლანეტის ლიდერია. თურმე ინტერნეტის მამასთან, ტიმ ბერნერსა-ლისთან მიწვევს შეხვედრა.

ჩვენი სტუმარია ტიმ ბერნერსა-ლი

აა პაოლპიბონა ინტერნეტი!



მართების უნივერსალური გამანაწილებელი. ამის შემდეგ მან შექმნა პირველი პროგრამების გამოძახებითი ხაზი, დასახმარებლად მათთვის, ვისაც სურს ტექსტი ეკრანზე წაიკითხოს.

და მხოლოდ ამ შემთხვევაში ეკრანზე გამოჩნდება სურათი, რომლიდანაც ამ ქსელის შემქმნელი, ბერნარსა-ლი იმზირება.

რა უნდა დარქმოდეთ მის შვილებს, მის პროგრამებს? ბერნარსა-ლიმ ბევრი გამოცადა: "ინფორმეშ", "ინფორმესს", "ინფორმეშენ მაინდ" და ყურადღება ურალო სიტყვებზე "მსოფლიოს ფართო ქსელი" (აბლაბუდა), World Wide Web - შეარჩია, ანუ შემოკლებით WWW.

- WWW ცნობილი ძალიან შორსაა, ვიდრე World Wide Web, შეამჩნია მისმა მეუღლემ.

შემდეგ მსოფლიო ქსელმა სიცოცხლე თავად, ჩვეულებრივი ცხოვრებით გააგრძელა. გამოგონებულთა სიტყვას ბოლოს ხელს არა ბერნარსა-ლი, არამედ მაკ ანდრისენი აწერს, რომელიც იყო თანავტორი ბერნარსა-ლის რამოდენიმე პროგრამისა და ამით დაიწყო თავისი ბიზნესი "ინტერნეტში". ეს ის მაკ ანდრისენია, რომლის ანგარიშზე მილიონობით დოლარები დევს, ეს მისი პორტრეტი გვიღიმიან ყველაზე პრესტიჟული კომპიუტერული გამოცემების გარეკანზე.

დღეს ამ აბლაბუდის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი არსებობაც კი. არც კი ვიცით, განვითარების რა საფეხურზე იქნებოდა დღეს ჩვენი პლანეტა, რომ არა ტიმი, დღეს უკვე ნობელის პრემიის მართლაც ღირსეული ლაურეატი.

- არ გიფიქრიათ, რომ ხელიდან გააგდეთ შანსი, როცა თქვენ შეგეძლოთ ანდრისენის ადგილის დაკავება? არ ნანობთ იმაზე, რომ ადამიანებისაგან საკადრისი მადლიერება ვერ მიიღეთ? - შევეკითხე ბერნერსა-ლის.

- ნამდვილად დიას! - მიპასუხა ტიმ ბერნარსა-ლი.

შემდეგ ცივად, ძალიან ცივად გაიღიმა და დაამატა:


- მსოფლიო საკვება წუთებით, როცა ადამიანს შეუძლია გახდეს ისეთი, როგორც არავინ ყოფილა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, უამრავი მცდელობითაც კი, ადამიანი საკუთარ თავთან მხოლოდ წერტილი რჩება.

ფიული ბესტსელერებისათვის. მართლაც გასაკვირია ბედი გენიოსისა, რომელსაც ამხელა გამოგონებისათვის არავითარი მატერიალური წახალისება არ მიუღია, სახელსა და დიდებას თავი რომ დავანებოთ...

ტიმ ბერნერსა-ლი დაიბადა ოჯახში, სადაც მშობლები ფანატიკურად იყვნენ გატაცებული კომპიუტერული ტექნიკის გაუმჯობესების იდეით. მისი მამა და დედა მნიშვნელოვან მონაწილეობას ღებულობდა პირველი კომპიუტერის "ფერანტი-მარკ 1-ის" შექმნის საქმეში. ამიტომაც გასაკვირია ტიმის სერიოზული გატაცება მათემატიკითა და ტექნიკური საგნებით. შვიდი წლის ასაკში იგი თავის უფროს ძმას აკვირვებდა გასაოცარი ცოდნით, იმით, რომ მან უკვე იცოდა მინუს ოთხის კვადრატული ფუნქციის ამოცანა.

ასეთი იყო ოჯახი...

ბერნარსა-ლი უკვე გადაეშვა მეცნიერების საოცრებებში. ეს სურვილი მას ალუძრა ბავშვობაში მოსმენილმა არტურ კლარკის ზღაპარმა "როცა დაგჭირდება დაურეკო ფრანკენშტეინს, აკრიბე კლავიში F". ეს ზღაპარი მოგვითხრობს გადასვლის შესახებ კრიტიკული ზღვარიდან უსასრულობაში, წერტილზე, რომლის ხელის დაჭერაზე უამრავი კომპიუტერი იწყებს მუშაობას, ყველა სისტემა ხმაურობს, ფიქრობს და რეაგირებს, როგორც ცოცხალი ორ-



განიზმი.

როცა მას ეუბნებიან, რომ მან საოცრება რეალობად აქცია, ტიმ ბერნარსა-ლი უხერხულობს, სირცხვილისგან იშმუშნება კიდევ.

- იცი, მსოფლიოს ქსელი რატომღაც არ მოისაზრება ერთ ორგანიზმად ამ გლობალურ სისტემაში და ამის შემინია ყველაზე მეტად...

როგორც ისტორიის ბევრ სხვა გენიალურ გამოგონებას, დასაწყისში მსოფლიო ქსელის შექმნასაც გაუჩნდა უამრავი პრობლემები და მოწინააღმდეგეები.

მიუხედავად ბრწყინვალე ნიჭისა მათემატიკისა და კომპიუტერისა ბერნარსა-ლიმ გაითქვა სახელი როგორც პათოლოგიურად ცუდი

მეხსიერების მქონემ. ის მართლაც ვერ იმასწავლებს იმას, რაც სხვა საკითხებთან შედარებით პრობლემატურია.

1980 წელს, იგი, როგორც გამოგონებელი, უმაღლესი ხარისხის სპეციალისტი და კონსულტანტი, მიიწვიეს ევროპის ცენტრალურ გამოგონებელთა ცენტრში, რომელიც შვეიცარიისა და საფრანგეთის საზღვარზე მდებარეობდა. მთელი 6 თვის განმავლობაში მას მუშაობა უზღებოდა ლაბორინთების საინფორმაციო სისტემაზე. მისი ერთადერთი პრობლემა იყო დაემსოვრებინა ყოველი დღე და როცა მან გამოსცა პროგრამა "Enquire"- (გამომგონებელთა საკუთარი მეხსიერება), მან მოისურვა ტექსტში დაეყენებინა სიტყვა, რომელიც იმ შემთხვევაში თუ ადამიანში გაუგებრობას გამოიწვევდა, მის ახსნა-განმარტებას მისცემდა და ისევ პირველ დაწყებით ტექსტს დააბრუნებდა.

სხვა დანარჩენი უკვე ისტორიაა. მთავარია, რომ ბერნარსა-ლიმ მოგვცა პრინციპულად ახალი გიპერტექსტი, რომელიც ევროპის ცენტრალურმა გამოგონებელთა ცენტრმა უმაღლესი ცნხით შეაფასა.

ბევრი კითხვები ჩნდება ამ ოკეანეში: საინტერესოა, თუ აქამდე

ყველა ტექსტი ფუნქციონირებდა ცენტრალურ ბაზაზე, სად იყო დამალული ან დადებული მთელი მისი ნაშრომები, რომელიც შეიძლება დაკარგულიყო კიდევც, როგორც სხვა საბუთები.

არის პასუხიც: ბერნარსა-ლის სისტემა მუშავდებოდა როგორც ასოციალური კავშირი, როგორც მოდელი ადამიანის ტვინისა.

1989 წელს ბერნარსა-ლი ისევ გაემგზავრა ევროპის ცენტრალურ გამოგონებელთა ცენტრში. ამჟამად იგი სულ სხვა პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: მისგან უკვე ძალიან ბევრი მოისურვებს.

- მე ვიფიქრე, - მიაბობს იგი, - რომ ჩემთვის უმჯობესი იქნებოდა, იმათთვის ვინც შეკითხვებს მძღეღს, უბრალოდ მიმეცა საშუალება ინფორმაცია ჩემს ბაზაზე წაეკითხა.

ბერნარსა-ლი სიტყვით გამოვიდა ევროპის ცენტრალურ გამოგონებელთა ცენტრის გაფართოებულ სხდომაზე გიპერტექსტის დახმარებისათვის გამართულ დებატებისას.

მან ყურადღება დაუთმო პრინციპს, რომელიც შემდეგში შექმნიდა შესაძლებლობას ტექსტის გვერდით ქსელში ჩართულიყო გრაფიკა, ვიდეო და ნებისმიერი კავშირის სისტემა. ამის შემდეგ შეძლეს ქსელი გახდეს გლობალური - ამ სიტყვებით დასრულდა თავის გამოსვლა, რომლის შემდეგ მთელი დარბაზი 15 წუთის განმავლობაში შეუჩერებლად უკრავდა ტაშს.

თავის კოლეგების წინაშე ბერნარსა-ლიმ ხმამაღლა წარმოსთქვა 3 გასაღები ქსელისა: HTML - საბუთების კოდირების ენა, HTTP - გიპერტექსტის ოქმის კავშირი კომპიუტერთან და URL - მისა-

სახელი, ტიმ ბერნარსა-ლი, არ არის მრავლისმეტყველი ბევრი ჩვენთაგანისთვის, მოუხედავად იმისა, რომ იგი ყოველდღე მუშაობს კომპიუტერთან. სადამოსაც კი მიუვადება თავის "პენტიუმს" და გაუთავებლად მოგზაურობს ინტერნეტში.


გასაოცარია ბევრის ტრაგიკული ბედი, იმის მაგივრად რომ მისი სახელი ხსენებული უნდა იყოს XX საუკუნის უდიდესი გენიოსების გვერდით და განთქმული, ის მხოლოდ სპეციალისტების ვიწრო წრეშია ცნობილი. ვფიქრობთ, რომ დადგა დრო ბოლო მოეღოს გაუთავებელ ჭორობას და ხმამაღლა ითქვას, რომ ტიმ ბერნარსა-ლი არის ადამიანი, გამოგონებელი საყოველთაოდ ცნობილი კომპიუტერული ქსელისა "ინტერნეტი".

მსოფლიო ქსელის (იგივე ინტერნეტის) გამოგონებამ კაცობრიობაში იგივე როლი ითამაშა, როგორც წიგნის საბეჭდის მოწყობის გამოგონებამ საუკუნეების წინათ...

ქსელის მომხმარებელთა რიცხვი ყოველ წუთში იზრდება. 1989 წელს ამ ქსელით სარგებლობდა მხოლოდ რამოდენიმე ათასი ადამიანი, 1992 წელს "ინტერნეტის" მომხმარებელთა რიცხვმა მილიონს გადააჭარბა. 1994-ში უკვე სამ მილიონზე მეტი იყვნენ და დღეს ინტერნეტში ჩართულია 65 მილიონზე მეტი მომხმარებელი.

თუ ყველა მომხმარებელი გადაურიცხავდა ბერნარსა-ლის კვირაში ერთ დოლარს მაინც, ის ძალიან მოკლე დროში შეძლებდა დაწვოდა კაპიტალისტს ბილ გეიტსს - მფლობელს განთქმული ფირმისა "მაიკროსოფტ", ყველაზე მდიდარ ადამიანს მსოფლიოში. მაგრამ არაეის ეს დოლარები არ გადაურიცხავს, 41 წლის ტიმ ბერნერსა-ლი სამსახურში თავისი 13 წლის ფოლცვაგენი "ხოჭოთი" დადის.

მასაწესების ტექნოლოგიის ინსტიტუტში მას გააჩნია პატარა ოფისი, სადაც განთავსებული აქვს არაკომერციული ორგანიზაცია "კონსორციუმი WWW". ეს ორგანიზაცია ადგენს ტექნიკურ სტანდარტებს "ქსელისათვის", იცავს მათ საფრთხისგან, რომელიც საფრთხეს უქმნის ბაზარს. მისი ფოტოები არ ამშვენებს კომპიუტერის ყურნალების ყდებს, არც რომელიმე პროგრამა იხსენება მისი ღიმილიანი ფოტოთი, არც მის ახელს ახსენებენ კომპიუტერის ფანატები და არც მის ბიოგრაფიას იკვლევენ ავტორები ბიოგრა-



1983 წლის 18 ნოემბერს თვითმფრინავის გატანვის პროცესის მოსაპართლე თემაზე გერსამი იყო, რომელიც აპირდებოდა ახალი ავიაკომპანია

“თვითმფრინავის გატანვის პროცესის მოსაპართლე თემაზე გერსამი იყო, რომელიც აპირდებოდა ახალი ავიაკომპანია”

მოსაპართლეს სკანდალი. რამდენიმე მხარე განხილავს თვითმფრინავის გატანვის პროცესს

- ბატონო თემურ, “თვითმფრინავის გატანვის პროცესის მოსაპართლე თემაზე გერსამი იყო, რომელიც აპირდებოდა ახალი ავიაკომპანია” - ბატონო თემურ, “თვითმფრინავის გატანვის პროცესის მოსაპართლე თემაზე გერსამი იყო, რომელიც აპირდებოდა ახალი ავიაკომპანია” - ბატონო თემურ, “თვითმფრინავის გატანვის პროცესის მოსაპართლე თემაზე გერსამი იყო, რომელიც აპირდებოდა ახალი ავიაკომპანია”

- აბსოლუტურად გეთანხმებით. სამწუხაროდ, გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამ საქმით სპეკულაციას ეწევიან, სასურველს სინამდვილედ ასაღებენ. არიან ისეთებიც, რომლებიც გულწრფელად ცდილობენ მოვლენათა შეფასებაში. მაგრამ ამავე დროს დაუშვებელია, როდესაც ასეთ პირთა შორის გზავდება პროფესიონალთა ორის ტიპისა. რაც შეეხება გერსამის, მიხედვით პოზიციის გამოხატული და გასაგებებულია განაჩენში, რომლის კანონიერებასა და სამართლიანობაში ეჭვი არ შეპარებოდა და არც დღეს შეპარება.

- 21 წლის შემდეგ როგორ აფასებთ მომხდარს?
- 21 წლის წინ მომხდარს ზუსტად ისე ვაფასებ, როგორც თვითმფრინავის გატანვის პროცესის მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ ჩემი თავმჯდომარეობით 1984 წლის 19 აგვისტოს გამოტანილ განაჩენშია მოცემული.

- მე მაინტერესებს ერთმნიშვნელოვანი პასუხი - სასამართლოს გადაწყვეტილება ბიჭების დახვრეტაზე სამართლიანი იყო? თქვენ დღესაც ასე თვლით? მართალია, თვითმფრინავის გატანვის ფაქტი ნებისმიერ ფორმაცაში ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად და ტერორისტულ აქტად არის კვალიფიცირებული, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კანონი ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 15 წლამდე ან სასჯელის უმაღლეს ზომას. რატომ არ მოხდა ჩვენთან დახვრეტის ნაცვლად 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთის განაჩენის გამოტანა?

- თუ რა მოტივებით განესაზღვრათ თვითმფრინავის გატანვის სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება, მითითებულია სასამართლო კოლეგიის ზემოხსენებული განაჩენში, სადაც აღნიშნულია, რომ გატანვის პროცესში მიმართ სასჯელის განსაზღვრის დროს შემამსუხუქებელი მოტივების გარდა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, განსაკუთრებით მთავარი საზოგადოებრივად საშიში სასაბაოისა და ხარისხის დანაშაულის ჩადენა, რამაც მძიმე შედეგები გამოიწვია: დაიღუპნენ თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები და მგზავრები, რომელთა შორის რამდენიმე პირმა მიიღო სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება. მგზავრებისა და ეკიპაჟის წევრებისადმი სასტიკი, ცინიკური დამოკიდებულების, ბანდიტური მოქმედებების შედეგად 14 საათის განმავლობაში თვითმფრინავის კატასტროფისა თუ აფეთქების მოლოდინში მგზავრებმა, ეკიპაჟის წევრებმა მიიღეს მორალური, ფსიქიკური ტრავმები! ამ დასკვნების დამადასტურებელი გარემოებები დეტალურად არის გაანალიზებული განაჩენში.

დღესაც ასე ვთვლი, რომ ყოვლად უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით ყველა ეპოქაში ჩანადენის შესაბამისად უნდა დასაჯონ. დანაშაულისა და სასჯელის საკითხები მხოლოდ მოსამართლეთა ემოციების მიხედვით არ წყდება, მათ სამართლებრივი საფუძვლები და კრიტერიუმები გააჩნია. სასამართლო ამ თვალსაზრით

სით კანონით დადგენილი წესით შეასრულა სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლის მოთხოვნა.

- ბატონო ვახტანგ რაზმაძისთვის ცნობილი არ აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ სასჯელის უმაღლეს ზომაზე ბოლო წუთამდე არავინ ფიქრობდა. მკვლელობა მხოლოდ კახა ივერიელს უშტკიცდებოდა, მაგრამ დახვრეტას არც ის ექვემდებარებოდა. რაც შეეხება დანარჩენებს, მათ ვარკვეული ვადით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდათ მისჯილი, მაგრამ ბოლოს მოულოდნელად ყველას დახვრეტა მიუსაჯეს. რა მოხდა?

- ჩემთვის გაუგებარია, რა წყაროებს ეყრდნობით, როდესაც მოგვითხრობთ ამ კითხვაში აღნიშნული მოტივები, მათ შორის მტკიცება, თითქოს “მკვლელობა მხოლოდ კახა ივერიელს უშტკიცდებოდა”.

იმისათვის, რომ სრულყოფილი პასუხი გავცე თქვენ შეკითხვას და უფრო ნათლად განვმარტო არსებითი მნიშვნელობის გარემოებები, აუცილებელია საბრალდებო დასკვნით დადგენილად მიჩნეული ეპიზოდებიდან კონკრეტულად მოვიყვანო თუნდაც ზოგიერთი მათგანი. დასკვნაში დაფიქსირებულია, რომ მღვდელმა თეიმურაზ ჩხილაძემ საზღვარგარეთ წასვლის მიზნით ჯერ კიდევ 1979 წელს ჩამოაყალიბა შეიარაღებული ბანდა, რომელშიც გაერთიანდნენ: წერეთელი, გრიგოლ ტაბიძე, დავით მიქაბერიძე, გერმანე კობახიძე, ძმები კახა და პაატა ივერიელები და თინათინ ფეტვიანი. ბანდა შეიარაღდა სხვადასხვა სახის ცეცხლსროლელი და ცივი საბრძოლო მასალით, ხელყუმბარებით.

თვითმფრინავში შეღწევა 1983 წლის 18 ნოემბერს, 15 საათზე განხორციელდა ქორწინებისა და საქორწინო მოგზაურობის იმიტაციის ჩიხლაძისეული ვარიანტით, რისთვისაც წინა დღეს მოწყობილ კობახიძე-ფეტვიანიშვილის “ქორწინებაში” დააპტიეს აეროპორტის საერთაშორისო სექტორის მორიგე ანა ვარსიმაშვილი. ამ უკანასკნელმა, დარწმუნებულმა, რომ მოქმედება პატივისცემის მოტივებით, “ქორწინებაში” ყოველგვარი შემოწმების გარეშე თვითმფრინავისკენ გაატარა სამსახურებრივი გასასვლელი ანა. კობახიძემ და ფეტვიანიშვილმა შევარდნად მოიწვიეს ამ უკანასკნელის ახლო მეგობრები ეკატერინე შალუტაშვილი და ანა მელია. შალუტაშვილს თვითმფრინავში ჩანთით მოტყუებით შეატანინეს საბრძოლო მასალა. მელიასაც შეატანინეს, რომ ჯგუფში მხოლოდ მეგობრის როლს ასრულებდა.

“ტუ-104” მარკის თბილისი-ბათუმი-კიევი-ლენინგრადის რეისის ლაინერში შეღწევიდან, სადაც გატაცებები განაგრძობდნენ საქეფო ატმოსფეროს შექმნას და აფრებიდან 10 წუთის შემდეგ, თანახმად წინასწარ შემუშავებული გეგმისა და ფუნქციების განაწილებისა, კობახიძემ შალუტაშვილს გამოართვა ხელჩანთა და გადასცა მიქაბერიძეს, რომელმაც გაა-

ნაწილა იარაღები. ამის შემდეგ კახა ივერიელი წერეთელთან ერთად გაემართა პილოტების კაბინისკენ, ხოლო პაატა ივერიელმა მგზავრ ა.სოლომონიას, რომელიც მისი პერანგის ფერის გამო მილიციის მუშაკად მიიჩნეს, თავში ჩაარტყა შამპანურის ბოთლი, ტაბიძემ კი მასვე ესროლა თავში ტყვია. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ორივე ჭრილობა სასიკვდილო იყო. იმავე ტაბიძემ აფეხად უკვე პილოტის ფორმაში მჯდომ მგზავრ ა.პლოტკას სამჯერ ესროლა რევოლვერიდან მხარისა და წელის არეში. თავის მხრივ, მიქაბერიძემ მკვლელობის მიზნით ესროლა მგზავრ ო.გვალიას, რითაც მიაყენა მას გულმკერდის არეში სიცოცხლისათვის საშიში გამჭოლი ჭრილობა ფილტვის დაზიანებით.

პაატა ივერიელი და გეგა კობახიძე თავს ზემოთ აწეული ხელყუმბარებითა და აფეთქების მუქარით ატერორებდნენ მგზავრებს, უბრძანეს ჩაწოლილიყვნენ საგარემოში, არ დაბრულიყვნენ ადგილებიდან.

ასეთ ვითარებაში კახა ივერიელი წერეთელთან ერთად შეიჭრა ბორტგამცილებელთა განყოფილებაში და მოითხოვა, ბორტგამცილებელ ვალენტინა კრუტიკოვას ტელეფონით გადაეცა პილოტებისთვის, დამორჩილებოდნენ მათ მოთხოვნას და გაფრენილიყვნენ თურქეთში. მათ შეუერთდა ტაბიძე და სიკვდილის მუქარით, რამაც რეალური სახე მიიღო, აიძულეს კრუტიკოვა, შეთანხმებული პაროლით დაეკავუნებინა პილოტების კაბინის კარზე, რაც მან შეასრულა სიკვდილის შიშით.

კაბინის კარი გააღო ინსპექტორმა ზ.მარაბიანი, რომელსაც ტაბიძემ “ნაგანიდან” ერთხელ, ხოლო კახა ივერიელმა “რევსტრიდან” ექვსჯერ ესროლა. ასე მოკლეს იგი ადგილზევე. ამის შემდეგ კახა ივერიელი შეიჭრა კაბინაში და იარაღის თავზე მიბჯენით მოითხოვა პილოტ ა.გარდაფხაძეს, გაფრენილიყო თურქეთში, ხოლო ტაბიძემ კაბინაშივე მოკლა ბორტმექანიკოსი ჭვია. ამავე დანაყოფში მყოფმა შტურმანმა გ.გასიანიამ ტაბიძეს იარაღიდან გასროლით მოკლა ტაბიძე, დაჭრა წერეთელი და კახა ივერიელი.

პილოტებმა ასეთი ხოცვა-ჟლეტის ვითარებაში შეძლეს თვითმფრინავის დასმა თბილისის აეროპორტში, სადაც მიქაბერიძემ, შეიტყო რა ეს ფაქტი, თავი მოიკლა. აქვე აღნიშნავ, რომ როგორც გამოძიებით დადგინდა, ამ ტიპის ხომალდის ტექნიკური საშუალებების გამო ვერ მიიღებდა თურქეთის ვერც ერთი უახლოესი აეროპორტი.

- ბატონო თემურ, ჩემთვის ცნობილია, რომ თვითმფრინავს ორი ავიაგამანდგურებელიც აეკიდა, რომელთაც პაერშივე უნდა მოეხდინათ მთელი თვითმფრინავის ლიკვიდაცია.

- კი ბატონო, საწვავის პრობლემის გარდა, ისიც დადასტურდა, რომ თვითმფრინავს აეკიდა ორი ავიაგამანდგურებელი, რომლებიც კურსის შეც-

ვლისთანავე ჩამოაგდებდნენ მას. თვითმფრინავში კი იმყოფებოდა 58 მგზავრი და ეკიპაჟის 7 წევრი. აეროპორტში დაბრუნებისთანავე გამტაცებლების მიერ გათავისუფლებული შალუტაშვილი და მელია თვითმფრინავიდან გადმოხდნენ, რის შედეგადაც შალუტაშვილს დაუზიანდა ხერხემალი, მელიამ მოიტეხა ფეხი და მძიმედ დაზიანდა. საბარგო დანაყოფში დაჭრილმა სოსო წერეთელმა იარაღიდან გასროლით მოკლა ვალენტინა კრუტიკოვა, როდესაც იგი თავის კოლეგა ი.ხიშინიანს ერთად გადმოხტა თვითმფრინავიდან.

კობახიძემ და ფეტვიანიშვილმა, რომლებსაც პაატა ივერიელიც შეუერთდა, განაგრძეს მგზავრების დატერორება, მათდამი ცინიკური დამოკიდებულება და წამება, რაც 14 საათის განმავლობაში გრძელდებოდა. ასეთი მოქმედებით აიძულდნენ, მათაც მოეთხოვათ თურქეთში გაფრენა. საბრალდებო დასკვნაში მოყვანილი მრავალი ფაქტიდან შევეხები მხოლოდ ერთს - როდესაც ფეტვიანიშვილმა და პაატა ივერიელმა მუღელისთან და მცირეწლოვან შვილთან ერთად მყოფი მგზავრი ქალი აიძულეს, ჩაბმულიყო ასეთ მოთხოვნაში, მათთან ერთად ეწარმოებინა მოლაპარაკება აეროპორტის ადმინისტრაციასთან თვითმფრინავის გაშვების უზრუნველყოფის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ, რომ ყურებს დააჭრიდნენ მის წლინახვევის შვილს, შემდეგ მოუკლავდნენ ბავშვსაც და მეუღლესაც.

მთხედვად არავითარ მოთხოვნისა, გამტაცებლები არ ნებდებოდნენ ხელისუფლებას. ამის შემდეგ აეროპორტში მყოფი სამხედრო დანაყოფმა ცეცხლი გახსნა თვითმფრინავის მიმართულებით, რა დროსაც დაიღუპა აეროპორტის ერთი თანამშრომელი და დაიჭრა 11 მგზავრი. არც ამან გამოიღო შედეგი. ამ ფაქტის მიმართ სისხლის სამართლის საქმე გამოიყო კანონის თანახმად ცალკე წარმოებად და გადაეცა სამხედრო პროკურატურას, რასაც ვაგლენა არ მოუხდენია გამტაცებელთა საქმის გამოძიების სრულყოფილებაზე, ვინაიდან მათ დანაშაული, დაკავშირებული მგზავრებისა და ეკიპაჟის წევრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფასთან, ჩაიდინეს პაერში, გარდა კრუტიკოვას მკვლელობისა, სამხედროებმა კი - აეროპორტში, თვითმფრინავის დაბრუნების შემდეგ.

გატაცებიდან მე-14 საათზე მოსკოვიდან გამოძახებულმა სპეციალური დანიშნულების რაზმმა შეძლო გამტაცებელთა უმსხვერპლოდ დაკავება.

- რომელი სპეციალური დანიშნულების რაზმი იყო გამოძახებული?
- კგბ-ს სპეცდანიშნულების რაზმი “ალფა”.

- ვის მიერ იყო გამოძახებული “ალფა”?

- არ გამოვიცხავ, რომ ის გამოიძახა საქართველოს რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ.

- კონკრეტულად?
- შეიძლება იგი გამოიძახა შევარ-

დნაძესაც, ინაურსაც, თუმცა, არ არის გამოცხადებული, რომ მოსკოვს თავისი ინიციატივით გამოეგზავნა ეს რაზმი.

- რა მიზნით და რა ინტერესებით უნდა გამოეგზავნა მოსკოვს “ალფა” თბილისში?

- მე უკვე ზემოთ აღვნიშნე, რომ თვითმფრინავის თბილისის აეროპორტში დაბრუნების შემდეგ გამტაცებლებთან 14 საათიანმა მოლაპარაკებამ დასრულების შესახებ არ გამოიღო ნაყოფი და ამ სპეცრაზმმა მე-14 საათზე 10 წუთში გააუკუნებელიყო თვითმფრინავი.

- ჩემი ინფორმაციით, “ალფა” გამოიძახა შევარდნაძემ...

- ამ კითხვაზე პასუხი უკვე გავიცით.

- ბატონო თემურ, სასამართლოს მსჯელობის დროს ბევრი რამ ტენდენციური და დარღვეული იყო. ამაზე ბევრს საუბრობენ, მაგრამ საინტერესოც ისაა, რომ უარყოფაც ვერ ხდება მართლმსაჯულების მხრიდან.

- საქმის სასამართლო განხილვით არ შეცვლილა წინასწარი გამოძიების პროცესში შეკრებილი 22 ტომისა და სუბი ათასი ფურცლისაგან შემდგარი საქმის მასალები და საბრალდებო დასკვნით თვითმფრინავის გამტაცებლებისადმი წარდგენილი ბრალდების არც ერთი ეპიზოდი. უკლებლოც ყველა ეპიზოდი თითოეულმა მათგანმა სასამართლოშიც დაადასტურა. არავითარი ცვლილება არ განუცვლია სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში არც მრავალრიცხოვანი დაზარალებულის, მოწმეების ჩვენებებს, რომლებშიც ისინი ამხელდნენ გამტაცებლებს უსასტიკეს, ცინიკურ მოპყრობაში მათ მიმართ, ისევე, როგორც კონკრეტულ სისხლის სამართლის დანაშაულებრივ ქმედებებში. არ შეცვლილა მტკიცებულებათა სხვა სახეობებიც. უცვლელი დარჩა გამტაცებლებისადმი წარდგენილი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებიც, რომლებშიც დაკვალიფიცირებული იყო თითოეული მათგანის დანაშაული.

- თქვენ ძალიან დიდ ყურადღებას ამახვილებთ საბრალდებო დასკვნაზე.

- საბრალდებო დასკვნაზე ყურადღებას იმითომ ვამახვილებ, რომ იგი საფუძვლად ედება განაჩენს, მისი ყველა მონაცემის განსაზღვრას, სასჯელების ჩათვლით.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებების მასალების სრულ შესაბამისობასთან ანუ საბრალდებო დასკვნაში ყოველმხრივ დასაბუთებულმა გარემოებებმა, რომელსაც ამტკიცებს ბატონი ვახტანგ რაზმაძე, იმ პერიოდში რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე, თავისი ასახვა ჰპოვა სასამართლო განაჩენში. ამიტომ სრულ გაუგებრობას იწვევს, რატომ იჩენს იგი ორჭოფულ დამოკიდებულებას და არ იძლევა ნათელ პასუხს კორესპონდენტის მიერ მისდამი სახეობით სწორი მისამართით დასმულ კითხვაზე - თუ რამდენად კანონიერი და სამართლიანია

მსჯავრდებულებისადმი შეფარდებული სასჯელის უმაღლესი ზომა, როდესაც პასუხობს: "მაგას მე ნუ მეკითხებით, ეს ისეთი საკითხია, რომელიც იმ მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს, ვინც საქმეს იხილავდა"; "ეგ გერსამიას უნდა ჰკითხოთ".

ბატონ რაზმაძეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მისივე თანამდებობის შესაბამისად ავალდებულებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონი. კერძოდ, იმ პერიოდში მოქმედი ამ საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, "პროკურორი ვალდებულია სისხლის სამართლის სამართალწარმოების ყველა (კურსივი ჩემია თ.გ.) სტადიაში თავის დროზე მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები, რათა აღმოფხვრას კანონის ყოველგვარი დარღვევა, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი". ამ ფუნქციას ეწოდება საპროკურორი ზედამხედველობა და ხორციელდება სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით. ამ საქმეზე რაზმაძემ ზედამხედველობა განახორციელა უმნიშვნელოვანესი პროცესუალური დოკუმენტის - საბრალდებო დასკვნის დამტკიცებით და იქცა მის თანაგვტორად.

როდესაც ბატონი რაზმაძე თავს არიდებს ზემოხსენებულ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემას, ცალსახად უნდა დავასკვნათ, რომ მას, როგორც გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს, განსხვავებული აზრი ჰქონია მსჯავრდებულებისადმი სასჯელის უმაღლესი ზომის შეფარდების თვალსაზრისით, რაც მას ადრე არსად არავითარი ფორმით დაუფიქსირებია.

რა თქმა უნდა, განაჩენი სასამართლოს გამოაქვს, მაგრამ, საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, "პირველი ინსტანციის სასამართლოში (ანუ სასამართლოში, რომელიც უფლებამოსილია გამოიტანოს განაჩენი საქმეზე) სისხლის სამართლის საქმის განხილვის მონაწილე მოსამართლემ არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს შემდგომ ინსტანციებში საქმის განხილვის დროს". განაჩენის გამოტანის შემდეგ მოსამართლე ამ საქმეს მთლიანად უნდა განერიდოს.

- ეს ასეა, მაგრამ როგორ უნდა შემოწმდეს ის, თუ რამდენად კანონიერი და სამართლიანია განაჩენი?

- რამდენად კანონიერი და სამართლიანია განაჩენი, იგი მოწმდება ზედამხედველობის წესით, როგორც უზენაესი სასამართლოს საზედამხედველო ინსტანციის, ასევე რესპუბლიკის პროკურატურის, მათ შორის ამ კონკრეტულ საქმეზე ბატონი რაზმაძის, როგორც საბრალდებო დასკვნის თანაგვტორის, მიერ. ამ საკითხების უფრო დეტალური განხილვა შორს წაგვიყვანს და ამიტომ ამჯერად ამით უნდა დავკმაყოფილდეთ, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ თავიანთ დასკვნებში, რომლებიც, კანონის თანახმად, წარედგინათ შეწყალების კომისიებს, ყველა საზედამხედველო ორგანომ, როგორც რესპუბლიკურმა, ასევე საკავშირომ, განაჩენი სწორად მიიჩნია, ამასთან, ძალიან ძნელი დასაჯერებელია ბატონი რაზმაძის მტკიცება იმის შესახებ, რომ სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილე პროკურორმა იოსელიანმა სასჯელის საკითხი შეუთანხმდა მხოლოდ რესპუბლიკის პროკურორ ანზორ ბარაბაძეს და ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის განხილვა მოხდა ვრაზმაძის ინიციატივით. ამას მას ვერც გაუბედავდნენ მისი უდიდესი ავტორიტეტის გამოც. ამას ვე-

ღარ შევიტყობთ იოსელიანისა და ბარაბაძის გარდაცვალების გამო. შეწყალების კომისიაში კი ვახტანგ რაზმაძის რაიმე განსხვავებული აზრი დაფიქსირებული არ არის.

- ბატონო თემურ, რა მოტივებით დასახელდა თემურ ჩიხლაძე ორგანიზატორად და რატომ მიუსაჯა მას სასჯელის უმაღლესი ზომა, როდესაც ოპერაციაში მონაწილეობა არ მიუღია და ჩამოშორებულიც კი იყო თვითმფრინავის ბიჭებისგან. სინდისი არ გქნჯნით, რომ უდანაშაულო ადამიანი დასაჯეთ?

- საბრალდებო დასკვნაში, ისევე, როგორც განაჩენში, დეტალურად არის აღწერილი ჩიხლაძის ორგანიზატორული როლი ამ უმძიმესი დანაშაულის ჩადენაში. გარდა ამისა, ალბათ არ იქნება ზედმეტი, ამ თვალსაზრისით მოვიყვანოთ ბატონ ვ. რაზმაძის აზრი მღვდელ ჩიხლაძის მიმართ. აი, რას წერდა იგი ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში:


"ჩიხლაძის განსაკუთრებული ორგანიზატორული როლი თვითმფრინავის გატაცების მიზნით შეიარაღებული ბანდის ჩამოყალიბებაში დადასტურებულია წინასწარი და სამსჯავრო გამოძიების დროს პაატა ივერიელის ჩვენებითაც, სადაც მან აჩვენა, რომ ჩიხლაძის ზეგავლენა რომ არა, შეიძლება ასეთი დანაშაული არ ჩადინათ... მან შეიმუშავა დანაშაულის ჩადენის გეგმა. დანაშაულის ჩადენაში ჩააბა ბანდის წევრები, ხელს უწყობდა ბანდის შეიარაღებას, იყო ამ დანაშაულის ჩადენის სულისჩამდგმელი და ინიციატორი... ის გარემოება, რომ მას უშუალოდ არ მიუღია მონაწილეობა თვითმფრინავზე თავდასხმაში მისი გატაცების მიზნით, მას არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან, რადგან აუცილებელი არ არის, რომ ორგანიზატორი უშუალოდ ესწრებოდეს დანაშაულის ჩადენას" (იხ. გაზეთი "ახალი საქართველო", №6, 2-8 აპრილი, 1998 წელი).

ბატონ რაზმაძის ამ შეფასებასა და ბრალის ხარისხის განსაზღვრაში ჩიხლაძის, როგორც ბანდის უკუფონის ორგანიზატორის ყველა ნიშნის ამომწურავად არის მოცემული. ალბათ საჭიროა დავაკონკრეტოთ ამის დამადასტურებელი ეპიზოდები, რომელთაგან მხოლოდ ნაწილს მოვიყვან.

ჩიხლაძეს არასოდეს მიუღია ზომები ბანდის უკუფონის ნებაყოფლობით დასაშლელად, პირიქით, ორგანიზატორულად და იდეურად ამტკიცებდა მას. წევრებისგან მოითხოვდა დისციპლინას, ზოგიერთ მათგანს ლოს და ნარკომანს უწოდებდა, რაც, როგორც განმარტებს, მასთან განაწყენების მოტივიც ვახდა, აღარ სურდათ ყოფილიყვნენ შემდეგმც ჩიხლაძის გაგულენის ქვეშ და უკანასკნელ პერიოდში ჩამოშორდნენ მას, დაუმაღეს გაქცევის თარიღი.

ჩიხლაძე ამუშავებდა სხვადასხვა ვერსიებსა და გეგმებს საზღვარგარეთ გაქცევის მიზნით. დაიგეგმა საზღვაო გზით გაქცევა, რისთვისაც წერილები და მიტყებრიბე გაავრცელა სოხუმში, ბათუმში, ტალინში, სადაც გაიცნეს და თბილისშიც ჩამოიყვანეს თანამოაზრეები შმილიოვი და ნიმტაკი, შეგანდრეს ჩიხლაძეს, ამ უკანასკნელმა კი ისინი საპატრიარქოს მიმართებით მოაწყო სასტუმროში.

ჩიხლაძისავე ბინაში გარკვეული დროის განმავლობაში ინახებოდა მიქაბერიძის მიერ 1200 მანეთად შეძენილი "ნაგანი", აგრეთვე გაზის ბალონი.



ჩიხლაძის ერთ-ერთი უძისით, იატაღებისა და სოლუქმბატების თვითმფრინავში ნამალავად შესატანად გამოიყენებდა ანაფორას, ხოლო საკონტროლო გასასვლელში სიგნალიზაციის ჩართვას მიაწვდინებდა ანაფორაზე ჩამოკიდებულ ქრისტაინულ სიმბოლოებს. საბოლოოდ კი შემუშავდა გატაცების გეგმა "საქორწინო მოგზაურობის" უკვე ცნობილი მეთოდით, რითაც შეიქმნინდნენ სენსაციურ რეკლამას და მიიპყრობდნენ მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას, ეს იმ დროს, როდესაც ჩიხლაძესა და მისი ჯგუფის წევრებს თუ მართლაც მხოლოდ საზღვარგარეთ გაქცევა სურდათ, თავისუფლად შეეძლოთ მისი განხორციელება კანონიერი, ტურისტული მოგზაურობისა თუ სხვა გზით, რის შესახებაც ასევე მსჯელობდნენ, მაგრამ საბოლოოდ დანაშაულებრივი მეთოდით განხორციელდნენ.

თავისთავად ცხადია, რომ გატაცებელთა მიმართ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების გამოყენების შესახებ ჩემ მიერ მოყვანილი კანონით გათვალისწინებული საფუძვლები და მოტივები მთლიანად ეხება ჩიხლაძესაც.

მდგომარეობას არ ცვლის ჩიხლაძისა და მისი ჯგუფის წევრებს შორის კავშირის ბოლო პერიოდში გაწყვეტის ფაქტიც.

- რა შემთხვევაში თავისუფლდება ორგანიზატორი პასუხისმგებლობისგან?
- სისხლის სამართლის კოდექსის ნორმის თანახმად, რომლითაც განსაზღვრულია ნებაყოფლობით ხელისაღება დანაშაულის ჩადენაზე, ორგანიზატორი მხოლოდ იმ შემთხვევაში გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ იგი ნებაყოფლობით მიიღებს ზომებს მის მიერვე ჩამოყალიბებული ჯგუფის დასაშლელად, ამასთან, თუ დანაშაული ბოლომდე არ იყო მიყვანილი.

ჩიხლაძის ქმედებებში ასეთ გარემოებებს აღვნიშნავთ არა მხოლოდ, უმძიმესი შედეგის სახეზეა.

- ბატონო თემურ, განაჩენის სისრულეში მოყვანის შემდეგ ოჯახის მისდის ოფიციალური შეტყობინება ამის შესახებ, ან გაზეთ "კომუნისტში" ქვენდებოდა ოფიციალურად ამის თაობაზე, მაგრამ, როგორც ვიცით, ოჯახის წევრებს არ მისვლიათ ასეთი ცნობა. ვახტანგ რაზმაძემ ჩემთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ამის შესახებ არც მისთვის იყო ცნობილი და მხოლოდ მას შემდეგ გაიგო, როცა რესპუბლი-

კა და დაფიქსირა თავისი უკიდურესი აღმფიქვრა თავისი ცინიზმითა და შედეგებით ამ დანაშაულთან დაკავშირებით. კვლავ მინდა განვმარტო, რომ გამტაცებლები მხოლოდ იმიტომ კი არ დაისაჯნენ, რომ საზღვარგარეთ უნდოდათ წასვლა და დარჩენა საბჭოთა ხელისუფლების რეჟიმის პროტესტის მოტივებით, არამედ იმიტომ, რომ ამ მიზნის მისაღწევად, რისი განხორციელებაც თითოეულ მათგანს შეეძლო კანონიერი გზით, ჩაიდინეს უმძიმესი დანაშაული, დაკავშირებული ამავე რეჟიმში მცხოვრები სრულიად უდანაშაულო და უშვეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ხოცვა-ჟლეტასთან და წამებასთან.

- რა თქმა უნდა, შევარდნაძის, როგორც ცეკას პირველი მდივნის როლი ამ ღონისძიებების ორგანიზებაში მეთორხარისხოვანი არ იყო.

- მე უკვე აღვნიშნე, რა დაველო

სოლუქმბატების თვითმფრინავში ნამალავად შესატანად გამოიყენებდა ანაფორას, ხოლო საკონტროლო გასასვლელში სიგნალიზაციის ჩართვას მიაწვდინებდა ანაფორაზე ჩამოკიდებულ ქრისტაინულ სიმბოლოებს. საბოლოოდ კი შემუშავდა გატაცების გეგმა "საქორწინო მოგზაურობის" უკვე ცნობილი მეთოდით, რითაც შეიქმნინდნენ სენსაციურ რეკლამას და მიიპყრობდნენ მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას, ეს იმ დროს, როდესაც ჩიხლაძესა და მისი ჯგუფის წევრებს თუ მართლაც მხოლოდ საზღვარგარეთ გაქცევა სურდათ, თავისუფლად შეეძლოთ მისი განხორციელება კანონიერი, ტურისტული მოგზაურობისა თუ სხვა გზით, რის შესახებაც ასევე მსჯელობდნენ, მაგრამ საბოლოოდ დანაშაულებრივი მეთოდით განხორციელდნენ.

საფუძვლად განაჩენის გამოტანას და ამას აღარ გავიმეორებ. ამ გარემოებებს არასრულყოფილად და არაობიექტურად გამოკვლევისა და შეფასების თვალსაზრისით ვერაფერს ვერასდროს მიჩქმავავს, მით უმეტეს, ამას ვერ გააკეთებდა გამტაცებელთა საქმის განმხილველი მოსამართლე.

მინდა შევეხო ვახტანგ რაზმაძის მიერ ჩემს გარდაცვლილად გამოცხადებას. ამაზე ამჯერად დეტალური მსჯელობა უადგილოდ მიმაჩნია, მაგრამ მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ვინაიდან ეს პირადად მე მეხება, თვითონვე გავარკვევ ამ ფაქტს კანონით დადგენილი სხვა გზით.

- ვახტანგ რაზმაძის მოსამართლეს მხოლოდ ემოციების საფუძველზე არ გამოაქვს განაჩენი. თქვენ შეგიძლიათ იმის უარყოფა, რომ იმ ქმედებებმა, რომელიც გატარდა შევარდნაძის მხრით, თქვენზე, როგორც მოსამართლეს, გავლენა არ მოახდინა და კანონის დაქვემდებარებულმა თემურ გერსამიამ გაუძლო მამინდელი საბჭოური რეჟიმის ხასიათს და ცეკას პირველი მდივნის პოზიციას. თქვენზე ზემოქმედების გამოტანა გავითვალისწინებ?

- სტატისის მოცულობის ფარგლებში ზემოთ უკვე აღვწერე ზოგიერთი ეპიზოდი, რომლებიც ჩაიდინეს თვითმფრინავის გამტაცებლებმა. აქედან ვითომ ამკარად ჩანს ის ფაქტი, რომ თითოეული მათგანის როლი ამ უმძიმესი დანაშაულის ჩადენაში, დანაშაულის ხარისხის თვალსაზრისით, თითქმის აბსოლუტურად თანაბარი იყო, რამაც განაპირობა პასუხისმგებლობის ხარისხიც. კერძოდ, თუ ძმები ივერიელიებიდან ორივე მათგანი იყო უშუალოდ მკვლელობის ჩამდენი, კობახიძე-ფეტვიანიშვილის ტანდემი იყო ამ ბანდის უკუფონის ორგანიზატორი განხორციელების წარმომადგენელი, ხოლო ჩიხლაძე - ამ ჯგუფის ორგანიზატორი. ამ გარემოებებმა განაპირობა ის ფაქტიც, რომ შეუძლებელი შეიქმნა, თითოეული მათგანის მიმართ არ გამოგვეყენებინათ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება. რაც შეეხება ზემოქმედებას, ვფიქრობ, ამ კითხვაზე პასუხი უკვე გაცემული მაქვს, მაგრამ დამატებით კიდევ გავმარტავ, რომ პროფესიონალი მოსამართლე არ უნდა ექცეოდეს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ასეთი გარემოების გაგულენის ქვეშ და მისი ყველა მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობას, მისი პრინციპების დაცვას.

- სტატისის მოცულობის ფარგლებში ზემოთ უკვე აღვწერე ზოგიერთი ეპიზოდი, რომლებიც ჩაიდინეს თვითმფრინავის გამტაცებლებმა. აქედან ვითომ ამკარად ჩანს ის ფაქტი, რომ თითოეული მათგანის როლი ამ უმძიმესი დანაშაულის ჩადენაში, დანაშაულის ხარისხის თვალსაზრისით, თითქმის აბსოლუტურად თანაბარი იყო, რამაც განაპირობა პასუხისმგებლობის ხარისხიც. კერძოდ, თუ ძმები ივერიელიებიდან ორივე მათგანი იყო უშუალოდ მკვლელობის ჩამდენი, კობახიძე-ფეტვიანიშვილის ტანდემი იყო ამ ბანდის უკუფონის ორგანიზატორი განხორციელების წარმომადგენელი, ხოლო ჩიხლაძე - ამ ჯგუფის ორგანიზატორი. ამ გარემოებებმა განაპირობა ის ფაქტიც, რომ შეუძლებელი შეიქმნა, თითოეული მათგანის მიმართ არ გამოგვეყენებინათ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება. რაც შეეხება ზემოქმედებას, ვფიქრობ, ამ კითხვაზე პასუხი უკვე გაცემული მაქვს, მაგრამ დამატებით კიდევ გავმარტავ, რომ პროფესიონალი მოსამართლე არ უნდა ექცეოდეს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ასეთი გარემოების გაგულენის ქვეშ და მისი ყველა მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობას, მისი პრინციპების დაცვას.

მაია ზიგორაშვილი

ღღუსაც ასე ერთი, ტომ ცთულად უღანამაღლთ ღღამიანების სიციფსლის და ჯანმბთოლმის სოლმცთი პირიში ცუკლავ ებაქამი ჩანადრის მესამამისად უნდა დანისჯათ.

იერუსალიმის ქრისტიანების მოწოდება იერუსალიმის მთავრობის მიმართ, ასევე კოლხური და ქვეყნის თვითმართვის მოთხოვნა, არამედ დიდად ფაქტობრივად, ქართველთა მოხსენიებით მიმართული მითითებით!

XII საუკუნეში ახლო აღმოსავლეთში და საერთოდ მაშინდელი მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში მოვლენები საოცრად საინტერესოდ და დაძაბულად ვითარდებოდა. ევროპიდან იერუსალიმისაკენ დაძვარილი ჯვაროსანთა ლაშქარი ინტენსიურად უტევედა მუსულმანური ქვეყნების ქა-ქაებს. მაგრამ დასაწყისიდანვე გამოჩნდა, რომ ქრისტიან სახელს ამოფარებული ჯვაროსნები ადვილად ვერ სძლებდნენ მაჰმადიანურ ქვეყნებს. "ქრისტეს მემკვიდრე" ძლიერი, არამაჰმადიანი მოკავშირე სჭირდებოდა, რომ მუსულმანურ ურდოებს დასაწყისშივე არ ჩაეკლათ ჯვაროსანთა "რელიგიური" ალტკინება. ამ დროს დავით აღმაშენებლის გენიის წყალობით საქართველო ფეხზე დგება და ერთიანდება. 1121 წელს დიდგორის ველზე, სწორედ დავითის საქართველო იღებს თავის თავზე უმსხვილესი მუსულმანური კოალიციის დაახლოებით 300 ათასიანი ლაშქრის შემოტევას და, შეიძლება ითქვას, მთელ ჯვაროსნულ მოძრაობას სასიკვდილო დარტყმისაგან იცავს. ევროპელებსაც, რა თქმა უნდა, კარგად ესმოდათ ამ ომში საქართველოს მნიშვნელობა. ერთ-ერთი ფრანგი ქრისტიან საფლავის კლერკოსი იერუსალიმიდან საფრანგეთში, პარიზში, გალიენ ეპისკოპოსსა და პარიზის ნოტრ-დამის კრებულს ატყობინებს: "ქართველ მეფეს დავითს - კასპიის კარი (დარუბანდის კარი), გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს, ეჭირა და სდარაჯობდა; მისი შვილი, აქამდე მასვე ასრულებს ვისი ქვეყანა და სამეფო მიდელთა და სპარსთა წინააღმდეგ, ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია."

აღმაშენებლის მემკვიდრე ქართველთა მეფე დემეტრე I, მამის მსგავსად, წარმატებით უმკლავდებოდა მუსულმანთა გავემუბული ურდოების შემოტევებს. დავითის მიერ გათავისუფლებულ საქართველოს ზედასვლა, ჩვენი მტრებისთვის უმნიშვნელო მოვლენა სულაც არ იყო და, რა თქმა უნდა, ისინიც არ იშურებდნენ მრავალრიცხოვან არმიებს საქართველოს დასაქცევად, მაგრამ დემეტრემ შეძლო "შესისის მახვილის" ძლიერად მოხდა ქართველ გვირგვინოსანს, ეს მაშინ, როცა ევროპის ყველა მონარქს როდი ეხერხებოდა თავისუფლად წერა-კითხვა. დემეტრეს "შენ ხარ ვენახი" კი ქართველთა ერმა საგალობლად აქცია და ის დღესაც ატკობს ჩვენს ყურთასმენას. მაგრამ დიდი ქართველი მე-

ფის შესახებ ერთობ მწირი ისტორიული ცნობები მოგვეპოვება, არადა, რამდენიმე უნდა გადახედნოდა იმ მიმდებარე ქართველობას და მის ძლიერად მოხვედრას.

არც ეს სტატია დაიწერა დემეტრე I-ის დამსახურებათა წარმოსაჩენად. ჩვენი ინტერესი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში არსებულმა, - შოთა რუსთაველის ფრესკამ მიიპყრო. ამ მცირეოდენი ხნის წინათ, ბარბაროსთაგან ფრესკის დაზიანების შემდეგ, სურვილი გამოჩნდა ამ ფრესკისათვის კიდევ ერთხელ შემოქმედოთავალი, რადგანაც ორიგინალის აღდგენა, შეიძლება, აღარც გვერისებოდა. ფრესკის გამოსახულებაზე ყურადღებით დაკვირვებამ კი სერიოზული ეჭვი გამიჩინა მისი რეალური პერსონაჟის თაობაზე. ამიტომ მიმოვიხილოთ ის ძირითადი ვერსიები, რაც ამ ფრესკას უკავშირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ფრესკაზე გამოსახული პიროვნების შესახებ თავიდანვე დამკვიდრდა მოსაზრება, რომ ის სწორედ შოთა რუსთაველია, რადგანაც ფრესკაზე არსებობდა შემდეგი წარწერა: "ამისა დამხატავა შოთა(ს) შეუნდვენს ღმერთმან. ამინ." ქვემოთ კი პორტრეტს აწერია "რუსტაველი", რაც ერთმნიშვნელოვნად სრულებით არ მიგვიტოვებს, რომ იქ სწორედ შოთა რუსთაველია გამოსახული და არა, მაგალითად, პორტრეტის დამხატავი, შემკვეთი ან შემდგომში განხორციელებული რესტავრაციის ორგანიზატორი. თუმცა, ამ საკითხს ნაკლები ყურადღება მიაქცევს და ძირითადად მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეული იყო პოეტის ქართულ საზოგადოებაში დაკავებული ადგილის შესახებ მსჯელობით. ზოგის აზრით, ფრესკაზე გამოსახული პიროვნება, რომელსაც ჰმოსავს მოწითალო სამოსელი, საყვარელი მოვლენული აქვს ყარყუმის თეთრი ბეწვი და თავზე ასურავს მომრგვალო ქუდი, სამეფო სისხლის მატარებელი, ამავე დროს, მეფის ვაზირი-მეჭურჭლეოუხუცესი ან კიდევ მღვდელმთავარი იყო. ჩვენც ჭეშმარიტების საძიებლად სხვადასხვა მკვლევარის ვერსიების მართებულობა გამოვიკვლიოთ. 1883 წელს ალ. ცაგარელმა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი მიიწახვალა და, მისი აზრით, ფრესკაზე რუსთაველი, გამოსახულია შუა საუკუნეების ქართველი ლიდერების სამოსით. ამას დაახლოებით XV საუკუნის იმავე მონასტრის აღაპებში შოთა მეჭურჭლეოუხუცე-

სის მოხსენიება, და ასევე თეიმურაზ ბაგრატიონის და სხვათა მსგავსი მოსაზრებაც დაემატა და რუსთაველოლოგიაში მკვიდრდება აზრი, რომ ფრესკაზე გამოსახულია მეფის ვაზირის სამოსში გამოწყობილი შოთა რუსთაველი. არადა, წითელი ფერის მოსასხამი, რომელიც ფრესკაზე გამოსახულ პიროვნებას მოსავს, სხვა არაფერია, თუ არა პორფირ-ბისონი, რომლის დანიშნულებაც და გარეგანი აღწერილობაც კარგად არის ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. მაგალითად, სულხან-საბას თუ ვერწმუნებით ბისონი, - "სამოსელი არს ვრცელი სამეფო, გინა სამღვდლო პატიოსანი შესამოსელი", "ბისონი და პორფირი არს სისხლისფერი მეფეთა და მღვდელმთავართა სამოსლად. მოსწავებს, რათა დასთხიონ სისხლი მათი, ვითარცა ქრისტემან ერისთვის." როგორც ვხედავთ, საბა აქ არა მარტო პორფირისა და ბისონის დანიშნულებას განმარტავს, არამედ ახსნასაც გვაძლევს, თუ რატომაა პორფირი სისხლისფერი.

საქართველოს მეფის გიორგი XII პორფირის შესახებ ინფორმაციას იჭკვავაძეაძეთანაც ვხვდებით. ილიას სიტყვით, გიორგი მეფისათვის "კოვალენსკის გამოატანა იმპერატორმა პავლემ... სამეფო პორფირი ყარყუმის ბეწვისა, შვინდისფერ ხავერდის საპირეთი" თავისთავად იგულისხმება, რომ საქართველოს მეფეს გამოუგზავნიდნენ მისი ღირსების შესაფერ, ე. ი. ქართველ მეფეთა სამოსს, მათ შორის პორფირს, რომელსაც, ილიას მოწმობით, ყარყუმის ბეწვის სარჩული და შვინდისფერი საპირე ჰქონია. ძველი შესამჩნევი არ არის, რომ სწორედ ამნაირი პორფირი აქვს წამოსხმული ჯვრის მონასტერში გამოსახულ პიროვნებას.

პორფირ-ბისონის ფორმა და დანიშნულება კარგად არის განხილული ივ. ჯავახიშვილის, ნ. ჩიფიკაშვილის, ვ. ციციშვილის ნაშრომებშიც.

ზოგიერთი მკვლევარი კი ფრესკაზე გამოსახულ პიროვნებაზე მსჯელობს, როგორც სასულიერო პირზე, უფრო მეტიც, მათი აზრით (მაგ. პრ. რატანის), აქ შოთა, მღვდელმთავარად წარმოგვიდგება. და მართლაც, მოცემული სამოსით მეფე ან მღვდელმთავარი უნდა ყოფილიყო შემოსილი, მაგრამ შოთას მღვდელმთავრობას თვითონ მისი შემოქმედება გამოიცხავს, რომლისადმიც ქართულ სასულიერო პირთა მნიშვნელოვან წრეში უარყოფითი განწყობა



სუფევდა. ამ მხრივ, ნიშანდობლივია კლერიკალურად განწყობილი მწერლის ტიმოთე გაბაშვილის აზრი შოთაზე, რომ თითქოს იგი იყო "მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავლა ქართველთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება და გარყვნა ქრისტიანობა" და, მართლაც, რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი" არ წარმოადგენს იმდროინდელი ქრისტიანული თეოსოფიის დებულებების მიხედვით შექმნილ ნაწარმოებს. შოთას, რომე-ღაც თავის დიდებულ ქმნილებაში უმღერის არა მარტო სიყვარულსა და მეგობრობას, არამედ ვაჟკაცობასა და პირდაპირობას, არ შეუძლო, ერთის მხრივ, თვალთმაქცურად მღვდელმთავრის სამოსი მოერგო, მეორე მხრივ კი, ასევე ქრისტიანული თეოლოგიის თვალსაზრისით საეჭვო ნაწარმოების შექმნა. რუსთაველის მსგავსი პიროვნებებს ძალიან მცირე რაოდენობით თუ გამოიმეტებს განება კაცობრიობისთვის და ისინიც სწორედ იქ დგანან ფეხმო-უცვლელად, სადაც უნდა იდგნენ. ამასთან, თუ ფრესკაზე გამოსახული პიროვნება მღვდელმთავარია, მაშინ, ჩემი აზრით, აუცილებლად იქნებოდა გამოყენებული რელიგიური სიმბოლიკა და ამ მღვდელმთავრის (შეიძლება საკმაოდ ცნობილის) სახელიც წარწერილი.

ცნობილი მეცნიერი შ. ამირანაშვილი მიუთითებს, რომ რუსთაველის თავსაბურავი "მეფის გვირგვინის სახისაა" და რომ "ამ სახის გვირგვინი მტრად აქვს დავით აღმაშენებელს გელათის მხატვრობაში". პინგოროვას მოსაზრებითაც, რუსთაველის ტანსაცმელი უფრო სამეფოს ჰგავს, ვიდრე ვაზირისას, მაგრამ იგი ამის მართებულ ახსნას ვერ გვაძლევს, მისი აზრით, "გარეგანი პატივის ასეთი განსაკუთრებული ნიშანი სამეფო რანგისა, როგორც იყო პორფირის სამოსის ტარება", შოთას მინიჭებული ჰქონდა იმიტომ, რომ

იგი ეკუთვნოდა ჰერეთის ბაგრატიონებს, რომლებსაც ასეთი პრეოგატივა თითქოს "დატოვებული ჰქონდათ როგორც საქართველოს სამეფო გვარის განშტოებას, როგორც ჰერეთის მხარის ყოფილი მეფეების შთამომავალთ". ასეთი მოსაზრება კი მცდარი უნდა იყოს, რადგანაც ბაგრატიონთა დინასტიის გვირგვინოსანი წარმომადგენლები, სასტიკად აღკვეთდნენ ხოლმე, თუნდაც სამეფო ოჯახის წევრების, გაზრდილ ამბიციებს (მაგ. ცვატას, დემნას მომხრეთა გამოსვლების უსასტიკესი აღკვეთა), მით უმეტეს, სხვა შტოს წარმომადგენლებს მსგავს პრიორიტეტულ მდომარეობაში არ ჩააყენებდნენ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე პ. ინგოროვას ცნობის მიხედვით, შოთას დიდი პაპა, ჰერეთის ბაგრატიონთა წარმომადგენელი გრიგოლ II, 1177-78 წწ. მეფე გიორგი III წინააღმდეგ მოწყობილ მსხვილ აჯანყებაში მონაწილეობდა.

ფრესკაზე გამოსახული "რუსთაველი", თუ არც დიდ მოხელე და არც სამღვდლო პირი ბრძანდებოდა, მაშინ ვინ იყო? ჩნდება კითხვა, ჩვენი აზრით, მოცემული პორტრეტი შოთა რუსთაველის საერთოდ არ არის, თუ ის არც რელიგიურ პირს და არც მეფის ვაზირს ეკუთვნის, მაშინ მხოლოდ ერთადერთი ვარიანტი რჩება, რომლის მიხედვითაც, ამ ფრესკაზე ოქროს ხანის საქართველოს ერთ-ერთი გვირგვინოსანია გამოსახული! ვინ შეიძლება ბაგრატიონ მეფეთაგან, ამ პერიოდში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე გამოესახათ? დავით IV-ისა და გიორგი III-ის ფრესკები გვაქვს და არანაირ მსგავსებაზე არ შეიძლება ლაპარაკი იყოს, დავით V და გიორგი ლაშა ახალგაზრდები გარდაიცვალნენ და შესაბამისად რჩება დემეტრე I, რომლის სახელის არარსებობა ფრესკაზე გარკვეული უსაფრთხოების მიზნით შეიძლება აიხსნას, შეუძლებელია ყოფილიყო ქრისტიანობის "წინა ბურჯი", "შესისის მახვილი" საქრისტიანოს მტერთათვის და მტრად მოკიდებული არ გყოლოდა მთელი მაჰმადიანური სამყარო, რომელიც ასე ახლოს იყო იერუსალიმთან.

ასე რომ, ჩემი აზრით, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლიდან უფლისაკენ მიპყრობილი, ასეთი ცოცხალი და ჭკვიანი თვალებით შოთა რუსთაველი კი არა, არამედ დიდად ღვაწლმოსილი, ქართველთა მოხუცებული მეფე დემეტრე I გვიყურებს!

გიორგი ბაინდურაშვილი

“უცნაურია აფერადებული სის-
რულე ძველი თბილისისა!.. აქ, ძვე-
ლი თბილისის გულის სიღრმეში,
გამოჩნდა ბუნებრივი ვედა – ანკარა
წყარო და დასაწყისი ჯადოსნური
ლამაზი პოეზიისა. მე შევსვი ეს
წყარო ორივე ხელით და ვამაყობ,
რომ ჩემს ძარღვებში მისი მადლი-
ანი ნაკადი მჩქეფარებს.


...მე თბილისი მიყვარს...

მიყვარს ეს პოეზიის ძველი აკ-
ვანი, ეს დარდიმანდული ბოჰემა, ეს
საქართველოს მთრთოლვარე გუ-
ლი...” იოსებ გრიშაშვილი

აშულური პოეზია საქართველო-
ში, უწინარეს ყოვლისა, თბილისში,
მეთვრამეტე საუკუნეში განვითარ-
და.

ძველ თბილისში ნიშნობა, ქორ-
წილი, ნათლობა, საუფლო დღესას-
წაულები, ნებისმიერი ქეიფი თუ
ლხინ-მეჯლისი – აშულისა და სა-
ზანდარის გარეშე არ იმართებოდა.

აშულები – მგოსანნი-იმპროვი-
ზატორნი – ლექსებს თხზავდნენ,
ჰანგს უწყობდნენ და სხვადასხვა
მუსიკალურ ინსტრუმენტზე ასრუ-
ლებდნენ. ისინი ქალაქის სოცია-



სხვადასხვა დროის ქართველი მოლ-
ვაწენი და პოეტები. მისი შემოქმე-
დების პირველი შემსწავლელი თე-
იმურაზ ბატონიშვილი წერს: “თუმცა
ლიტონი სტიხებია მდაბიურს გვარ-
ზედ, მაგრამ დიდად მოსაწონი”. ცნო-
ბილი ისტორიკოსის პლატონ იო-
სელიანის აზრით, საიათნოვა იყო
“ცნობილი გვამი, გამოჩენილი მო-
ლეკსე”. პროფესორი ალექსანდრე
ხახანაშვილი კი აშულზე ბრძანებს:
“ერეკლე მეფის დროს, ბესიკის გარ-
და, სასიძღვრო ლექსებით სახელი
გაითქვა ერთმა ღარიბმა სომეხმა,
ხელობით ფეიქარმა სავათნავამ”.
მსგავსი შეფასებების მოხმობა და-
უსრულებლად შეიძლება...

გასაკვირი სულაც არ არის, რომ
შემდგომში საიათნოვას უამრავი მიმ-
დევარ-მიმბაძველი გამოუჩნდა: გი-
ვიშვილი, სკანდაროვა, ჰაზირა, შემ-
დეგ: განჯისკარელი, ბეჩრა და სხვანი,
მაგრამ მათგან ყველაზე პოპულარ-
ული ობოლი ქართველი – იეთიმ
გურჯი გახდა.

**გამარჯობა ჩემო
თბილისო ძალაძო!**
იეთიმის (დაბლიშვილი) წინაპ-

გურჯი მღერისო:

“კარგი იყო არ გამეცან თავი-
დან

“შუა ზღვაში გადამაგდე ნავიდან”...
ალექსი ბარნოვი ივონებს: “იე-
თიმ-გურჯს განურჩევლად უყვარ-
და ყველა ერის ხალხი, მაგრამ არ
ესიამოვნებოდა, თუ მას ვინმე სხვა
ერის კაცად “მონათლავდა”. ამ ამ-
ბავში მე ერთმა ფაქტმა დამარწმუ-
ნა. ეს იყო ვერის პარკში 1928
წელს. მუსიკოსი – მომღერალი ხა-
ჩიკა ტალგაუკოვი (შემდეგ მეღუ-
ლეკთა ანსამბლის ხელმძღვანელი)
და დათა ზუბიაშვილის შვილები
ერთმანეთს ენიღლაკებოდნენ: უკა-
ნასკენლნი ამბობდნენ, იეთიმი ქარ-
თველიაო, ხაჩიკა კი არ ეთანხმებო-
და მათ და ამბობდა, სომეხიაო. ამ
დროს ბაღში მეც მივედი. როცა
მონადღვევებმა დამინახეს, ჩემკენ გა-
მოემუწურნენ და, როგორც იეთიმის
ახლო მეგობარს, მკითხეს მისი
ეროვნება. მე პასუხი ვერ გავეცი,
ვინაიდან ამ საკითხზე იეთიმთან
არასოდეს მილაპარაკებია. იეთიმ-
გურჯი ამ დროს სადღაც იყო წა-
სული და როცა მოვიდა, შევეკითხე,

საქართველოს მოზის სხანდარი კარ!

ლური დაბალი ფენის წარმომად-
გენლები იყვნენ და

თავიანთ ლექს-სიმღერებში, ბუ-
ნებრივია, ძირითადად, უბრალო ხალ-
ხის სულისკვეთებას გამოხატავდნენ.

თუმცა, აშულები უყვარდათ რო-
გორც მდაბიო, ისე მაღალი წოდე-
ბის წარმომადგენლებსაც.

მეფეს სასახლის კარზე უსათუ-
ოდ აშულიც ჰყავდა.

ერეკლე მეორესაც – პატარა
კახს – ჰყავდა აშული, ტომით სო-
მეხი – საიათნოვა.

აშულთა შორის საიათნოვამ გან-
საკუთრებული პოპულარობა მოი-
პოვა და უდიდესი ზეგავლენა მო-
ახდინა მის თანადროულ და შემ-
დგომში თაობების აშულთა შემოქმე-
დებაზე.

მას გარკვეული დამსახურება
ქართული ლიტერატურაშიც მიუძ-
ღვის. იგი ქართულ პოეზიაში მუ-
ხამბაზური ლექსის დამამკვიდრე-
ლად ითვლება.

მეთვრამეტე საუკუნეში საქარ-
თველოში უამრავი აშული იყო, მაგ-
რამ, როგორც რუსი მწერალი ვა-
ლერი ბრიუსოვი წერს, “რაც საი-
ათნოვამდე გაუკეთებიათ მის წინა-
მორბედებს, საიათნოვას შარავანდე-
დის წინაშე არარად მოსჩანს”.

ლეგენდის თანახმად, საიათნოვა
რომ ერთს შემოსიძახებდა, ჰაერში
ბუღბუღო ქვევდებოდა, რათა ყური
მიეგლო და შეეთვისებინა მგოსნის
სიმღერა.

სიტყვა “აშული” არაბული წარ-
მოშობისაა (აშიყი, აშიკი) და მიჯ-
ნურს, მოტრფიალეს ანუ სიყვარუ-
ლის მგოსანს ნიშნავს. სწორედ სიყ-
ვარულის მგოსანი იყო საიათნოვა,
მაგრამ იმავდროულად, მეფე ერეკ-
ლეს ავანგარდული ლაშქრის მებ-
რძოლიც გახლდათ და იქ, სადაც
საქართველოს ბედი და უბედობა
წყდებოდა საზანდარის დაკვირვით მი-
უძღვოდა რაზმს და ქართველ მეომ-
რებს უძიძიეს წუთებში, გამარჯვე-
ბის იმედს უღვივებდა.

საიათნოვას ცხოვრების შესახებ
ძალიან მცირე მასალა არსებობს.
დანამდვილებით დაბადებისა და გარ-
დაცვალების წლებიც კი არ ვი-

ციო. ზოგიერთ ავტობიოგრაფიულ
ცნობას ისევ მის ლექსებსა თუ მათ
მინაწერებში ვხვდებით. აშულის გვარ-
იც უცნობია, საიათნოვა, აშულური
ტრადიციისამებრ, შერჩეული ფსევ-
დონიმა, სახელად კი არუთინა რქე-
ვია.

**“სამართველოს მფვის
საზანდარი ვარ!**

საიათნოვას, არუთინას იტყვიან”.
ყოფილა თბილისელი. “ჩემი სამ-
შობლო თბილისია, მხარე ქართლი-
სა, დედა ავლაბრელი მყავს, მამა კი
აღუპოელი”, – გვამცნობს ერთ აზერ-
ბაიჯანულ ლექსში. სხვაგან კი ამ-
ბობს: “მე მიღდისას შვილი ვარ”.
მიღდისას უწოდებდნენ მას, ვინც
იერუსალიმს ყოფილა და მაცხოვ-
რის საფლავზე ულოცნია.

ხელმოკლეობის გამო განათლე-
ბა ვერ მიუღია. თხზავდა და მღე-
როდა სამ ენაზე – ქართულად, სომ-
ხურად და აზერბაიჯანულად. სომ-
ხურ და აზერბაიჯანულ ლექსებს
ქართული ასოებით წერდა. ქარ-
თულს, სომხურთან ერთად, მშობ-
ლიურ ენად თვლიდა.

ხელოსანი გახლდათ, თუმცა მი-
სი ძირითადი პროფესია აშულობა
იყო. თავად მოხვედრი, თავადვე დამ-
კვრელი, თავადვე მღერალი და ჰან-
გისაც თავად შემწყობელი. ჯერ
თბილისში ცხოვრობდა, შემდეგ –
თელავში. დაახლოებით 1762-65
წლებში ერეკლე მეორის სამეფო
კარის საზანდარი იყო, სადაც დიდი
აშულური სახელისთვის მიუღწევია
და მეფის პატივისცემა დაუმსახუ-
რებია. მაგრამ, მალე, უცნობი მიზე-
ზის გამო, პატარა კახი აშულს შე-
მომწყვრალა და სასახლიდან დაუთ-
ხოვია. თურმე საიათნოვა ძალიან
განიცდიდა მეფის კარიდან გაძევე-
ბას და სამართალს ეძებდა.

შემდგომში საიათნოვა საინგი-
ლოში, კახში, მღვლად გაუმწესე-
ბიათ. მეუღლის გარდაცვალების
შემდეგ, ბერად აღკვეცილა ახპატის
მონასტერში, თუმცა, დროდადრო,
კვლავ გამოჩნდებოდა თბილისში და
აშულთა პაექრობაშიც მონაწილე-
ობდა. ცხადია, გამარჯვებული ყო-
ველთვის იგი გამოდიოდა და მო-

წინააღმდეგის მუსიკალური საკრავი,
ტრადიციისამებრ, მისი კუთვნილე-
ბა ხდებოდა.

ლეგენდის თანახმად, საიათნოვა
1795 წლის სექტემბერში დაიღუპა,
ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის
აოხრების დროს.

როდესაც ალა-მაჰმად-ხანს თბი-
ლისი აუღია, ის თურმე ეკლესიაში
ლოცულობდა. გაუგია თუ არა
მტრის მოახლოება, ჯვარი აუღია
და, ეკლესიის კარიბჭესთან მდგარს,
ორსტრიქონიანი ლექსი უთქვამს:

“არ ვუღალატებ ჩემსა იესოს,
არ დაუტყვევებ ტაძარსა წმინ-
დას!”

ეს აშულის უკანასკნელი სიტ-
ყვები ყოფილა.

...საიათნოვა თათრის მოედნის
თავზე წამომართულ ციხის ეკლე-
სიად წოდებულ სურფეგორქის ტაძ-
რის ეზოში დაუკრძალავთ და დღეს
ეკლესიის კედელში ჩასმულ შავი
მარმარილოს დაფაზე ოქროს ასო-
ებით აშულის სამი სტრიქონია ამოკ-
ვეთილი:

“ჩემი წყარო სხვა წყაროა, ყვე-
ლას არ ძალუმს მისი დაღვევა”.

“ჩემი სიმღერა სხვა სიმღერაა,
ყველა ვერ მიხვდება, ყველა ვერ
გაიგებს”.

“ჩემი საძირკველი ქეიშაზედა
აგებული კი არ გვეგონოთ! – ჩემი
საძირკველი აგებულია ქარაფოვან
კლდეზედ ნაჭვლი დულაბითა და
ქვითკირით.”

საიათნოვას პოეზია, ძირითადად,
სატრფიალო თემას დასტრიალებს,
მაგრამ აქვს სასოტბო, დიდაქტი-
კურ-მორალისტური, სატირული და
სასულიერო ლექსებიც.

საიათნოვამ კარგად იცოდა თა-
ვისი, როგორც ოსტატის და მო-
ლეკსე-გამომთქმელ-შემსრულებლის
ფასი და ამიტომ უთქვამს თელავ-
ში მაკანი მოპაქერესთვის:

“მას ნუ იტყვი – საზანდარი ვი-
ნა ვარ!

ანა-ბანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ,
საიათნოვა მქვიან, არუთინა ვარ,
სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი და-
იწყოს!”

საიათნოვას დიდად აფასებდნენ

რები ოსმალებს ერთ-ერთი შემო-
სევის დროს ტყვედ წაუსხამთ, სა-
დაც, მათთვის გურჯები შეურქმე-
ვიათ. უკან, თბილისში, დაბრუნება
იეთიმის მამას იბრაჰიმს მოუხერ-
ხებია. აშული 1875 წელს თბილისში
დაბადებულა და რადგან თვისტომ-
ნი არ ჰყავდა მამას ვაჟისთვის იე-
თიმი, ობოლი, დაურქმევია.

თითქოს სახელი დებადაო –
თხუთმეტი წლის ასაკში დედ-მამა
გარდაცვლია და, უმცროს დასთან
ერთად, ზარფუზიდან მეტეხის უბანში,
პატარა ოთახში გადასულა საც-
ხოვრებლად. მუსიკალური საკრა-
ვების ერთ ოსტატთან დამდგარა
შეგირდად და საკრავების კეთება
შეუსწავლია.

მეფის ჯარში გაწვევის დროს
სამსახურზე უარი უთქვამს, გააპ-
რულა და თავი ხაბაზებისთვის შე-
უფარებია, მაგრამ მალე შეუპყრიათ
და, იძულებით, ფიტიმში გაუგ-
ზავნიათ სამხედრო ბეგარის მოსახ-
დელად. აქიდანაც გამოპარულა და
ჯერ ოდესამდე, შემდეგ ბათუმში და
ბოლოს ბაქოში ცხოვრობდა მალე-
ლად. 1906 წელს იეთიმი კიდევ
ერთხელ დაიჭირეს და ამჯერად პო-
ლონეთში, ვოლინის გუბერნიის დუბ-
ნოს ციხეში გააგზავნეს. სასჯელ-
მოხდელ იეთიმს თბილისში ცხოვ-
რების უფლება მხოლოდ 1916 წელს
მისცეს და უკან მობრუნებული აშუ-
ლი ასე მიესალმა საყვარელ ქალაქს:
“გამარჯობა, ჩემო თბილისო ქალაქო,
დაკარგული შენი შვილი მოვედი,
საქართველოს მიწა-წყალო, ალაგო,
თორმეტი წლის გატანჯული
მოვედი”.

ტიციან ტაბიძე იეთიმ-გურჯზე
წერდა: “ჩვენს დღეებში, სხვებთან
ერთად, უფრო წარჩინებულად და
უშუალოდ განაგრძობს საიათნოვას
აშულური პოეზიის ხაზს იეთიმ-გურ-
ჯი, რომელსაც პოეტის სახელს ვე-
რავინ წართმევს, ისე, როგორც თარს
და ჭიანურს არ წაერთმევა სიმღე-
რის ძალა”.

ნაბაღწამოხურულ იეთიმ-გურჯის
ყოველ გამოჩენაზე და ხმის გაგო-
ნებაზე ხალხი აღტაცებას ვერ ფა-
რავდა: იეთიმ-გურჯი მოდი! იეთიმ-

რა ეროვნებისა ხარ-მეთქი. იეთიმს
ძალიან ეწყინა ჩემი ასეთი მოუ-
ლოდნელი შეკითხვა და მითხრა, ამას
შენ არ მეკითხები! მიხვდა და მეც
კუთხარი, როგორც იყო საქმე. შე-
ვატყვე, არ ესაიმოვნა, დაუძახა ხა-
ჩიკას და, მიუხედავად იმისა, რომ
მას პატივის სცემდა, მკაცრად უსაყ-
ველურა. – მე რომ ქართველი ვარ
და იეთიმ-გურჯი ვარ – ეს ჩემს
სიმღერებში ნათლად არის გამო-
ხატულიო”...

იეთიმი 1940 წელს, 65 წლის
ასაკში გარდაიცვალა. ხალხმა მი-
სი ნეშტი ავლაბრიდან ვაკის სა-
საფლაოზე ხელით მიასვენა და, რო-
გორც თავად ითხოვდა, მის სასახ-
ლეს მიწის მიყრამდე ზევიდან შავი
ნაბადი გაადაფარეს:

“იეთიმ-გურჯსა ამა სოფლად
არაფერი აბადა,
ერთმანეთსა არ ვშორდებით
მე და ჩემი ნაბადა
ზედ კუბოზე დამაფარეთ
ისევ ჩემი ნაბადა!”

აშულობა, ქართულ სინამდვილე-
ში, ეპოქის დამახასიათებელი მოვ-
ლენა იყო. აშულები გასაოცარი ინ-
ტუიციით ითვისებდნენ და გადმოგ-
ცემდნენ იმუამინდელ საზოგადო-
ებრივ განცდებსა და მისწრაფებებს.
ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, ბევრი
ჩვენს ძველი სიმღერა, ჰანგიც და
ტექსტიც დავიწყებთ მიეცემოდა.



“ამ ფილმის შემდეგ ჯორჯ ბუშის მმართველობას ბოლო მოეღება”, “ბოლოს და ბოლოს, ხალხი ნახავს სიმართლეს”, “პროვოკატორი შოუმენი”, “პოპულისტი” - ასეთი რადიკალურად განსხვავებული გამოხმაურება მოჰყვა მაიკლ მურის განხილვებულ ფილმს “ფარენჰეიტი 9/11” - ჯორჯ ბუშის საპრეზიდენტო არჩევნებში კანონიერ-უკანონო გამარჯვებაზე, მამა-შვილ ბუშების დინასტიასა და მათ ძირძველ ფინანსურ თუ “მეგობრულ” კავშირებზე მუსლიმანურ სამყაროსთან, ბინ ლადენსა და ჰუსეინის ოჯახთან.

“ჩვენ ამ ომის წინააღმდეგი ვართ! გრცხვენოდეთ, მისტერ ბუშ! გრცხვენოდეთ!” - ჩაპყვირდა მიკროფონში “ბოულინგი კოლაბინასთვის” მიღებული პრიზის - “ოსკარის” ასაღებად სცენაზე ასული მური. როცა მიუღიოდა მსოფლიო თვალს ადევნებდა თვალისმოპყრულ და მდიდრულ სამოსში გამოწყობილ თავმომწონე ამერიკელებს, ერაცი ამერიკული ბომბებით ივსებოდა.

306ნაა მური? პრ(ო)პატი(ო)რი? მამამოსე ხელმოკალი?

მური ისევე განთქმულია სკანდალებითა და სენსაციუბინადმი თავისი უმრეტესი სიყვარულით, როგორც, მაგალითად, ელტონ ჯონი - სათვალეების კოლექციით. ამ მხრივ მაიკლ მურმა ჯერ კიდევ ლიკუეში სწავლისას გამოიჩინა თავი, როდესაც იქ არსებული განათლების სისტემის წინააღმდეგ წამოიწყო მთელი კამპანია, რასაც სულ ცოტა ხანში დირექტორის გადადგომა მოჰყვა. მალე მურმა დააარსა ჟურნალი “ლინტ ვოიცი” და დაიწყო ხმამაღალი განცხადებების გაკეთება ქალაქის ამა თუ იმ პასუხისმგებელ პირებზე, მონაწილეობას იღებდა მიტინგებსა და მასობრივ გამოსვლებში, ხშირად ჩნდებოდა კერძანზე, როგორც ამ აქციების აქტიური მონაწილე. “ოტპერ ჟონეს” - ასე ერქვა ჟურნალს, რომელშიც მური მუშაობას იწყებს. თუმცა, მისი, როგორც მთავარი რედაქტორის კარიერა თანამშრომელთა უკმაყოფილების საფუძველზე მალევე დასრულდა. მურმა აქაც გამოიჩინა თავი და ჟურნალს სასამართლოში უჩივლა - მორალური ზარალისთვის 2 მილიონი დოლარის

გადახდა მოსთხოვა. სასამართლოს მიერ დაწესებული 58 ათასი დოლარის მიღების შემდეგ ეს ფული ჩადო თავის პირველ, არანაკლებ ხმაურად დოკუმენტურ ფილმში “როჯერი და მე”. “გენერალ მოტორსი” - მსხვილი კომპანია, რომელშიც მურის მამა მიუღიოდა ცხოვრება მუშაობდა, მისი ფილმის მთავარი სამიზნე გახდა. რა უფლებებით გაათავისუფლა კომპანიის ხელმძღვანელმა როჯერ სმიტმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე საწარმოს თანამშრომელთა უმრავლესობა? სიუჟეტი, რომელმაც დოკუმენტური კინოს ისტორიაში არნახული შემოსავალი - 25 მილიონი დოლარის მოგება ნახა.

მური ავტორია არაერთი კრიტიკული წიგნისა: “თავშესაფრის გარეშე”, “მაიკლი - კონტრშეტევა”. ეს უკანასკნელი 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ გამოიცა ამერიკაში. ამ წიგნის ოთხი მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა და ყველაზე პრესტიჟულ გამოცემათა გვერდით დაიკავა ადგილი.

“მე მგონი, ამერიკას ეღირსა გამოვიძევა. როგორც იქნა, გამოუფხზნდით. “ფარენჰეიტის” ნახვის შემდეგ სხვანაირად არც შეიძლება იყოს”, - განაცხადა “არიე ჩლაიუე”-ისთვის მიცემულ ინტერვიუში კავშირის “ვარსკვლავები ბუშის წინააღმდეგ” ხელმძღვანელმა, პოლიციუდის მსახიობმა სიუზან სარანდონმა სტატიაში, რომლის სათაურია “გაიტანეთ ბუში”. ფრანგული პრესის ხმამაღალი სათაური სათაურად დარჩა. თუ 2 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ბოლო ვიშვავლებით, სარანდონის ხმამაღალი შემახილის მიუხედავად, ამერიკამ მაინც ვერ გამოიღვიძა.

მაინც რა არის უკვე მოსაგებებლად რეკლამირებული 2004 წლის “ოქროს პალმის რტოს” მფლობელი ფილმი-პროპაგანდა? ფილმი, რომელმაც მარტო ამერიკაში 120 მილიონი დოლარის მოგება ნახა?

მური უდავოდ ფლობს რეჟისურას, კონტრ-პარალელური მონტაჟით კარგად აწყობს, ამერიკული “სანახაობის ეფექტით” ქმნის ფილმს, რომელიც “თეთრი სახლის” ჟურსონაჟები თამაშს იწყებენ. თავისთავად საინტერესოა, თვალის მიადევნო მურის მიერ მოპოვებულ მნიშვნელოვან ვი-



მწ, ეს მათეკ მური!



დეომასალას, მაგრამ, ცოტა არ იყოს, გამაღიზიანებელია, როცა ავტორი მაცურებელს თავს ახვევს საკუთარ პოზიციას.

მიუხედავად იმისა, რომ ბუშის ხელმძღვანელ არჩევამ აშკარად არ გაამართლა მურის იმედები და წინასწარ გათვლილი ფილმის პოლიტიკური შედეგები, ამბოხებული მური მაინც არ აპირებს შერიგებას. სულ ახლახან მან განაცხადა, რომ იწყებს “ფარენჰეიტის” გაგრძელების გადაღებას - “ფარენჰეიტი 9/11 და 1/2”. ეს იქნება სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, რომელიც, სავარაუდოდ, მომავალი არჩევნებისთვის გამოვა კერანგებზე. სიუჟეტი იგივე რჩება - ერაცი ბუშის პოლიტიკის კრიტიკა და 11 სექტემბრის მოვლენები. “ჩვენ ახლა ვიწყებთ გადაღებებს და, ალბათ,

2-3 წელიწადში დავამთავრებთ. ის 51 პროცენტი, რომელმაც ხმა მისცა ბუშს, აშკარად ინფორმაციულ ვაკუუმში იყო. ჩვენ ისევე ვიტყვით სიმართლეს. იმ სიმართლეს, რომელსაც ყველა გულმოდგინედ მაღავეს. ჩვენი ამოცანაა, გავფანტოთ სიცრუის ის ბურუსი, რომლითაც ხელისუფლება თვალს უბინდავს ამომრჩევებს”, - განაცხადა მურმა.

“ფარენჰეიტი” არაერთხელ მოქცეულა ყურადღების ცენტრში. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინათ კომპანია “Pantagraph”-მა, რომელიც ამავე სახელწოდების გაზეთს უშვებს, მურს

ბრალი დასდო ფაქტების დამახინჯებაში. ორგანიზაციამ რეჟისორის მოსთხოვა, საჯაროდ ბოლიში მოხსნოს და მორალური ზარალისთვის მილიონი დოლარი გადაიხადოს. საქმე კი ის იყო, რომ, გაზეთის თანამშრომელთა მტკიცებით, მურის ფილმში გაზეთის “არასწორი” ვერსიაა გამოყენებული. ერთ-ერთ კადრში ჩანს გაზეთის ქუდი და იქვე სათაური: “ფლორიდის უკანასკნელი საარჩევნო მონაცემებით, გაიმარჯვა გორმა” (ბუშ-გორის წინა არჩევნები). რედაქცია ამტკიცებს, რომ ასეთი სათაურით სტატია მათთან არასდროს დაბეჭდილა. “თუ მურს სურს ჩვენი გაზეთის რედაქტორება, მაშინ უმჯობესია, კადრების განყოფილებას დაუკავშირდეს”, - აცხადებენ “დაზარალებულები”.

მური, რომელსაც საკუთარი, სკან-

დალებზე გათვლილი წარმატების ფორმულა აქვს შემუშავებული, თავად აღმოჩნდა დამნაშავეს ადგილზე. მას თავს დაესხა ავსტრალიელი კოლეგა ჯორჯ ჰიტოსი, რომელიც პლაგიატობაში სდებს ბრალს. მისი სიტყვებით, მაიკლმა “ფარენჰეიტში” ჰიტოსის ფილმიდან “ომის საუნდტრეკი” (რაც, ვფიქრობ, არავის უნახავს), არც მეტი, არც ნაკლები, 17 ეპიზოდი გამოიყენა. “მურმა გადაწყვიტა, რომ მე ბუნდებიად ჩავთვლიდი თავს, თუ ის თავის ფილმში ამ კადრებს ჩასვამდა. მე, მართლაც, უბედურესი ადამიანი ვიქნებოდი, რომ საერთოდ არ მენახა ეგ ფილმი და იქ ჩემი კადრები”, - ამბობს ჰიტოსი. აქვე ავსტრალიელი რეჟისორი დასძენს, რომ ის არ აპირებს, ყველგან მურის პლაგიატობაზე ხმამაღალი განცხადებები გააკეთოს. არა, უბრალოდ, “თუ ვინმეს გაინტერესებთ, რატომ დაიწყო ერაყში ომი, მაშინ გირჩევთ, “ფარენჰეიტის” ნაცვლად ჩემი ფილმი ნახოთ”. - განაცხადა რეჟისორმა. აქაოდა, მური “ოთახის დოკუმენტალისტი”, მე კი ნამდვილ ომში ვიყავი და ასეთ რამეებში მურზე კარგად ვერკვევიო. თუმცა, მაიკლის თავგადასავლები ამით არ დამთავრებულა. როცა რეჟისორი საკუთარი ფილმით მეზობელ კანადელს ეწვია, იქ ფედერალური არჩევნები ტარდებოდა. პრემიერამდე გამართულ პრესკონფერენციაზე მურს ჰკითხეს: “თქვენნი აზრით, ვინ უნდა მართავდეს ქვეყანას?” მური აბა რის მური იქნებოდა, პირდაპირ არ ეთქვა: “კანადელელო! არჩევნებამდე თქვენ მხოლოდ ოთხი დღე დავგრჩათ. მანამდე ნახეთ ჩემი ფილმი და დაფიქრდით, ვინდათ კი ასეთი ქვეყანა? თუ ვინდათ, მაშინ ხმა მიეცით მისტერ ჰერპერს”.

საქმე კი ის იყო, რომ, ადგილობრივი კანონის თანახმად, არჩევნებზე იფი, მით უმეტეს, რომელიმე კანდიდატზე, საჯარო ადგილებში აზრის ხმამაღლა დაფიქსირება, ყოველგვარი ავტაცია აკრძალულია და კანონით ისჯება. ამიტომ პოლიტიკოსებმა მურს სასამართლოში უჩივეს და მისთვის ნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმის - 2 ათასი დოლარის გადახდა მოითხოვეს.

სალომი კიპალიშვილი



მინდა, მხოლოდ შენ გიყვარდე!

I Want to be Loved by You - ამ სიტყვების ხსენებაზე ყველას მერილინ მონროს სექსუალური ხმა და სახე ახსენდება ფილმიდან “ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები” არიან. ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმის სტუმრებს კი მოლოდინი სრულად უმართლებათ და გამოფენაც ასეთივე სათაურით (I Want to be Loved by You: მერილინ მონროს ფოტოები) მათზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

“მერილინ მონრო კამერის წინ იგივე იყო, რაც თევზი წყალში”, - თქვა ერთხელ რეჟისორმა ბილი უაილდერმა. და მართლაც, ყველას ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მსახიობს, რომელიც ამერიკის კერპად იქცა, კამერის დანახვაზე ნამდვილი დღესასწაული უდგებოდა.

გამოფენა 39 ფოტოგრაფის 200-მდე ფოტოს წარმოადგენს. მათ შორის არიან ისეთი დიდი ოსტატები, როგორებიცაა - რიჩარდ ავედონი, გორდონ პარკი, რობერტ ფრენკი და ენდი უორჰოლი.

“წარმოდგენილი ექსპონატები დროს უძღვება. ისინი ამ მხრივ შეუფასებელია. მერილინ მონრო ახალგაზრდა გარდაიცვალა, ამიტომაც ის მარადიულად ახალგაზრდა რჩება. დრო გადის, მერილინ მონროს კი სულ უფრო მეტი ხიბლი ემატება”, - აცხა-

დებს გამოფენის კურატორი მერილინ კემნერი და იქვე ერთ საინტერესო ფრაზას ამბობს: “მერილინის ურთიერთობა კამერასთან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რაც კი მას ცხოვრებაში ჰქონია. ის კამერას აღიქვამდა, როგორც მეგობარს”.

ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმში ექსპოზიციას ევოლუციის პრინციპით აგებს. ჯერ დამთავლიერებლები ეცნობიან პატარა ქალაქში გაზრდილ გოგონას ნორმა ჯინსს, რომელიც თანდათან, სურათ-სურათ სექს-ქალღმერთად გადაიქცევა.

მაგალითად, 1945 წელს გადაღებულ ფოტოზე 19 წლის ნორმა ლონგ აილენდის სანაპიროზე მარტო დგას და მოაჯირს ეყრდნობა. დაახლოებით ათი წლის შემდეგ გადაღებულ ფოტოზე კი უკვე მერილინა ჩვენ წინაშე - ის ნიუ იორკის ცენტრალური სადგურის ბაქანზეა, მის გვერდით მდგომ კაცს კი ვერაფრით დაუჯერებია, რომ ცოცხალ მერილინ მონროს ხედავს.

ცხადია, ყველა ფოტო თავისებურად საინტერესოა, მაგრამ ყურადღების ეპიცენტრში მაინც ლონგ და მიკელა კონსტანტინერების კოლექცია ხვდება - 59 სურათისგან შემდგარი კრებული, რომლის ავტორიც ბერტ

სტერნია. გაცხოველებულ ინტერესს ამ ფოტოების მიმართ მისი გადაღების თარიღი იწყევს - სტერნმა მერილინის სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე გადაიღო. თუმცა, ბუნებრივია, სტუმრები დიდი ინტერესით ათვალიერებენ ისეთ ცნობილ და მრავალჯერ ნანახ კადრებსაც, როგორიც აფრიალებული თეთრი კაბაა. არის უცნობი და ნაკლებ ვარსკვლავური კადრებიც - მერილინის სახლშია და წიფის კითხულობს, მეგობრულად ებაძება რეჟისორ ჯონ ჰუსტონს, ცეკვავს მორე ქმართან არტურ მილერთან.

გამოფენა გაფორმებულია მულტიმედია პრეზენტაციებითაც. დიდ ეკრანზე სტუმრები მერილინ მონროს მონაწილეობით გადაღებულ რეკლამას უყურებენ და იმ ცნობილ სიმღერასაც უსმენენ, რომელიც მსახიობმა ჯონ კენედის 45-ე იუბილეზე 1962 წლის მაისში უმღერა.

თუმცა, ბრუკლინის მუზეუმში არის ერთი ფოტო - ყველაზე ექსპრესიული და ემოციური, რომელზეც მონრო საერთოდ არ არის გამოსახული. ფოტო რობერტ ფრენკს ეკუთვნის და ის 1962 წელს არის გადაღებული. კადრში ვხვდებით ქალს, რომელიც სანაპიროზე ამერიკის დროშაზე წევს. ის გაზეთს “დეილი ნიუს“-ს კითხულობს, რომლის პირველ გვერდზეც უზარმაზარი ასოებით დაწერილი ორად ორი სიტყვა ჩანს: “MARILYN DEAD”.



პენსილვანიის ავენიუს 1600-ე ნომერი ვაშინგტონის საამაყა. ამ მისამართზე გადაშლილ რეზიდენციას თეთრი სახლი ჰქვია და ავენიუზე მოსეირნე თითოეულ ამერიკელს საშუალება აქვს გვერდით ჩაუაროს ეზოს, რომლის იქითაც ქვეყნის პირველი პირი ცხოვრობს.

თუმცა, ეს ყველაფერი არ არის. თეთრი სახლი ერთგვარი მუზეუმიცაა - ამერიკის პოლიტიკისა და ამ პოლიტიკის მწარმოებელი ლიდერების ცხოვრების ამსახველი; მეტიც, ის უნიკალური მუზეუმიცაა - მაშინ, როცა ამ კედლებში ამერიკული პოლიტიკური ისტორიის შექმნა ახლაც გრძელდება, პარალელურად 1600-ე სახლი ცნობისმოყვარე სტუმრებს იღებს. ყოველდღიურად გიღებს რეზიდენციაში დაახლოებით 6 ათასამდე მნახველი შეკვავთ.

თეთრი სახლი დაბალსართულიან და ნესტიან, მაგრამ მაინც მყუდრო და საყვარელ ვაშინგტონში არქიტექტურული თვალსაზრისითაც გამოირჩევა. ალბათ, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ძალიან თეთრია. ამ ქათქათა ფასადის შესანარჩუნებლად დაახლოებით 570 გალონ საღებავს ხარჯავენ.

მისი აშენება 1793-1801 წლებში ჯეიმს ჰობანს მიანდეს. 1814 წელს რეზიდენცია დაიწვა. 1824-1829 წლებში კი მას გალერეებიც მიუმატეს.

ახლა თეთრი სახლის არქიტექტურის სტატისტიკა ასეთია: 6 სართული, 132 ოთახი, 32 აბაზანა, 412 კარი, 147 ფანჯარა, 28 ბუხარი, 7 კიბე და 3 ლიფტი. თეთრი სახლის სამზარეულოში სრული განაკვეთით მუშაობს ხუთი მზარეული, რომელთაც 140-კაციანი სადილის მომზადება შეუძლიათ, უბრალო საუზმით კი ათასამდე სტუმარსაც იოლად გაუმასპინძლებიან. თეთრ სახლს, ასევე, აქვს ჩოგბურთის კორტი, სარბენი ბილიკი, საცურაო აუზი, კინო-თეატრი, ბილიარდის დარბაზი და ბოულინგის ბილიკები.

აი, ამ სახლში ცხოვრობდა უკანასკნელი ოთხი წელი ჯორჯ ბუში და ამ სახლში ყოფნა კიდევ ოთხი წლით გაიხანგრძლივა.

თუმცა, როგორც არ უნდა მომხდარიყო, ფაქტია, რომ თითოეული ამერიკელისთვის ამ ისტორიულ შენობაში ცხოვრება დიდი პატივია. ამ სახლში ხომ საკუთარი მდიდარი ისტორიითა და წარსულით თითქმის თითოეული ოთახი გამოირჩევა.

გამოვიყენოთ მომსახურება, რო-

მელსაც თეთრი სახლის ოფიციალური ვებ-გვერდი გვთავაზობს და ამ ოთახებში ვირტუალური ტური გაემართოთ. დავიწყოთ სახლის ცენტრიდან:

ლურჯი ოთახი: ეს დარბაზი რეზიდენციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მას უნიკალური - ოვალური ფორმა აქვს და იქიდან შესანიშნავი ხედი იშლება. იქაურობას განსაკუთრებულ ხიბლს ყვავილები ანიჭებს. ეს ტრადიცია 1886 წლიდან იღებს სათავეს, როცა ლურჯ ოთახში პრეზიდენტმა კლივლენდმა და ფრენსის ფოლსომმა იქორწინეს. იმ დღეს ლურჯი ოთახი ტიტებით, ორქი-

ვინაშე წარდგებოდა.

აღმოსავლეთი ოთახი: ქალბატონი ადამსი ამ ოთახს სარეცხის საშრობად იყენებდა, ის და ჯონ ადამსი ხომ ახლად დასრულებული სახლის პირველი ბინადრები იყვნენ. თომას ჯეფერსონმა კი ეს ოთახი თავისი მრჩევლის პირად კაბინეტად აქცია, ჯეიმს მედისონმა - საკუთარ კაბინეტად.

მოკლედ, ამ ფართს თავიდანვე დაებედა, რომ სხვადასხვა ბინადრის პირობებში სხვადასხვა ფუნქცია შეეთავსებინა. და მართლაც, წლების განმავლობაში მას ხან მიღებებისთვის იყენებდნენ, ხან -



გადაღებით არავინ ღვავს, თუმცა...

უხედა თაჰის ჟაჟაჟე ათაჟაჟეჟს ამ სახლს

ღებითა და თეთრი ნარცისებით გაავსეს, პრეზიდენტი კლივლენდი კი გახდა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი პრეზიდენტი, რომელმაც თეთრ სახლში იქორწინა.

ლურჯი ოთახი პრეზიდენტების ოფიციალური შეხვედრების ეპიცენტრია. აქ მიუღიათ მეფეები და უცხო ქვეყნების პირველი პირები. სწორედ ამ ოთახში მსჯელობდნენ ბუში და ბლერი ტერორიზმის შესახებ, სანამ ბუში 2001 წლის 20 სექტემბერს ისტორიული სიტყვით კონგრესის

პანაშვილებისთვის, ხანაც - პრესკონფერენციებისთვის. მეტიც, ერთხელ პრეზიდენტმა უიდროუ უილსონმა იქ კინოთეატრი მოაწყო, ჟაკლინ კენედი კი იქ წარმოადგინეს მართავდა.

ბუშის პირობებში აღმოსავლეთ ოთახში მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტებს ეწერება ხელი. თუმცა, იქვე პრეზიდენტსა და პირველ ლედის დიუკ ელინგტონის ხელოვნების სკოლის მოსწავლეებიც მიუღიათ.

დიპლომატთა ოთახი: 1939 წლის ივნისის ცხელ დღიას პენსილვანიის ავენიუზე ორი დიალი-მუზინი გაჩერდა. მანქანებიდან პრეზიდენტი რუზველტი, პირველი ლედი ელიზაბეთი, ბრიტანეთის მეფე ჯორჯი და დედოფალი ელისაბედი გადმოვიდნენ. მათ სამხრეთი გალერეა გაიარეს და რამდენიმე წუთში დიპლომატთა მისაღებ ოთახში განმარტოვდნენ. ოვალური ფორმის სივრცემ ბრიტანეთის მეფე-დედოფალს თეთრი სახლის შესახებ მშვენიერი პირველი შთაბეჭდილება შეუქმნა. ამას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა - ისინი ხომ იყვნენ ბრიტანეთის სამეფო ოჯახის პირველი წარმომადგენლები, რომელთაც თეთრ სახ-

ლში შეაბიჯეს.

ამ მყუდრო და ლამაზ ოთახს ფრანკლინ რუზველტიც დიდ პატივს სცემდა. სწორედ აქედან გადაიციებოდა მისი ცნობილი რადიო-მიმართვები, რომელიც "ბუხრისპირა საუბრებით" იყო ცნობილი.

აქაურობა მოსწონთ ცოლ-ქმარ ბუშებსაც. ისინი დიპლომატთა ოთახში საპატიო სტუმრებსაც ხშირად იღებენ, მაგალითად, პოლონეთის პრეზიდენტს ალექსანდერ კვასნიევსკისა და მის მეუღლეს იოლანტას.

რუკების ოთახი: ის დიპლომატთა ოთახის გვერდით მდებარეობს. მეორე მსოფლიო ომის წლებში რუზველტი მას ეწ. "ომის ოთახად" იყენებდა. დეტალური და დიდი რუკები პრეზიდენტს ნათელ წარმოდგენას უქმნიდა ომის პროგრესების შესახებ. შემდეგ წლებში რუკების ოთახი პრეზიდენტის ანდა პირველი ლედის პირადი მისაღები ოთახი იყო. ის ინგლისელი ავეჯის დიზაინერის თომას ჩიპენდელის სტილშია გადაწყვეტილი და მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

მოიქროვილი, ოქროს ოთახი: ოფიციალური შეხვედრების დროს,

აქ იკრიბებიან ხოლმე პირველი ლედი და მისი სტუმარი ქალები. აქვე ინახება თეთრი სახლის ოქროსა და მოიქროვილი ვერცხლენულის კოლექცია, რომელიც თეთრ სახლს 1956 წელს მარგარეტ ტომპსონ ბიდლმა გადასცა.

ფაიფურის ოთახი: ისიც დიპლომატთა ოთახის გვერდით მდებარეობს და თეთრი სახლის ფაიფურის უმშვენიერეს კოლექციას ინახავს. აქაა წარმოდგენილი ნენსი რეიგანის წითელი და ოქროსფერი ჭურჭელი და ბეს ტრუმანის მომწვანო-მოიქროსფრო ფაიფურიც.

ამ ოთახს უნიკალურობას სძენს ის გარემოება, რომ კოლექციაში თითქმის ყველა პრეზიდენტი წარმოდგენილი. ნივთები ქრონოლოგიურადაა დალაგებული და განსაკუთრებით ჭრის თვალს ქალებს.

მწვანე ოთახი: მას სახელი ჯონ ქუინსი ადამსმა დაარქვა, რადგან თომას ჯეფერსონის დროს იატაკი მწვანე ხალიჩით იყო დაფარული. ამ ოთახს მრავალი მწუხარება ახსოვს. 1862 წლის 24 თებერვალს გარდაიცვალა აბრაამ ლინკოლნის ვაჟი უილი, რომელიც მწვანე ოთახში დაასვენეს, პანაშვიდი კი იქვე, აღმოსავლეთ ოთახში გადაუხადეს. სამიოდე წლის შემდეგ გარდაიცვალა აბრაამ ლინკოლნიც. მისი პანაშვიდიც აღმოსავლეთ ოთახში გაიმართა.

მწვანე ოთახში კალმის ერთი მოსმით მოაწერა ხელი ჯეიმს მედისონმა ქვეყნის პირველ ომის დეკლარაციას.

წითელი ოთახი: ეს ოთახი ასე 1840-იან წლებში მოინათლა. პატარა ზომისა და გამორჩეული ფერის გამო, ის პრეზიდენტებისა და პირველი ლედების ფავორიტი მალე გახდა. მეტიც, ის სოციალური გარდაქმნების ეპიცენტრადაც იქცა. 1933 წელს, მეუღლის ინაუგურაციიდან მალევე, ელზონორ რუზველტმა სწორედ აქ გამართა თავისი პირველი პრესკონფერენცია რეპორტიორი ქალებისთვის. რადგანაც პრეზიდენტის პრესკონფერენციებს მანამდე ქალებს არ ასწრებდნენ, პირველი ლედის ამ ნაბიჯმა სოციალური ტაბუ მოხსნა და თეთრი სახლის კარი ქალი ჟურნალისტებისთვისაც გააღო. ეს ოთახი განსაკუთრებულად უყვარდა ჟაკლინ კენედისაც...

გაზეთის შემდეგ
ნომერში რეპორტაჟი:
**რედაქტორის
მიმართვა ვაშინგტონში**





რედაქტორის წინათქმა

ეს კაცი ასე ატირებული არავის უნახავს...
 - არც მაშინ, როცა ხელიდან ჭიქა გამოსტაცეს და ჩაი დაულიეს...
 - და არც მაშინ, როცა აღმოვლენ სოხუმიდან მეგობარი ჩამოუსვენეს...
 - არც მაშინ, როცა სიყრმიდანვე ძმადნაფიცის მის გულ-გრილობაზე მეოთხე და საბოლოო ინფარქტი დაემართა...
 მაინც, რა ყოფილა სიყვარული...
 ან როგორ ატირებს გულს?
 ამ კადრით გაყინულმა შემოიღო სახემ, და ჩემს არქივში შემთხვევით შემონახულმა, ადრე დაბეჭდილი წერილის ახლა წაკითხვამ სულ სხვანაირად ჩამაფიქრა. როგორც კვარცხლბეკზე შემდგარ ძეგლს შეხედავ ყველა კუთხით, მეც ასე შემახედა ჩვენი ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტისა და პირველი ლედის მიერ განვლილმა გზამ, დაძლიან კი-ლეც...
 მინდა, რომ თქვენც დაფიქრდეთ...



როგორ მინდა გაგესაუბრო, დედა! რატომ არ მშორდება აგერ უკვე ორმოცდამეცხრე წელიწადია, თითქმის ყოველდღე, შენზე ფიქრი და ნაღველი? ჰაუ, რა დრო გასულა!

წუთია ჩვენი სოფელი, წუთი. მაგრამ მაინც ყველაფერი ხომ შედარებითაა, უკვე ნახევარი საუკუნეა, უშენოდ ვცხოვრობ.

იცი გამოვიანგარიშე, ეხლა შენზე 17 წლით დიდი ვარ. როგორ მეშინია, არავის გაელიძოს, რა დროს მაგის დედააო. ალბათ მართალიც იქნება, მაგრამ, რა ვქნა, თუკი ჩემი შენთან ყოფნის დრო მაშინ დამთავრდა, როცა მე 19 ვიყავი, შენ კი - 45.

აკი ავიხდა ნათქვამი, ჩემი უმცროსი 18-ის რომ გახდება, მანამდე მაინც მაცოცხლა.

ხვალ 3 მარტია, ღედის დღე. აუცილებლად მოვალ შენ საფლავზე და, თუ სადმე ვიშოვნე, შენ საყვარელ მიმოხეხვ მოგიტან.

იმთავითვე სუსტი იყავი. ზამთრის ბოლო თვეს ზღვაზე ატარებდი; სწორედ მარტის დასაწყისში ბრუნდებოდი შინ. ღმერთო, სიხარულის როგორი “თავზარი” დაგვეცემოდა ხოლმე სამივეს (შვილებს), ღია კარში რომ გამოჩნდებოდი მიმოხეხვის უზარმაზარი თაიგულით ხელში. კისკისებდი, გულში გვიკრავდი, მერე რატომღაც უეცრად ატირდებოდი. მამა, თითქოს ფაფურისა იყავი, ისე გაეწვედა გვერდზე, კარგი ოლოდ რა მოგივიდა, ხომ ხედავ, სამივე კარგად დაგახვედრეო. ქმრის ნებიერა, მაშინვე გადაიკარებდი, ფორთოხლისა და მანდარინის სურნელი აგდიოდა (თან ჩამოგქონდა). რა ბედნიერები ვიყავით მაშინ ყველანი!

მერე... მერე იყო 37 წელი... უმაშინ ღია ცისქვეშ აღმოვჩნდი. უშვილო ბიძა-მამიდებმა დაგვინაწილეს, შენ ისევ ტიროდი, ოღონდ სიხარულისგან არა; ვერ გავებოლით, შენსკენ გამოვიწვიეთ. თქვენ ძმისშვილები ხართო, აბუზუნდნენ მამიდები. ყველას პატიებას თხოვდი, დედასთან უნდათ, რატომ გიკვირთო. არა, არ უკვირდათ, მაგრამ მაინც ბრაზობდნენ.

ბიძამ შეგვიკვლია, ფილოსოფოსი კაცი იყო, როგორც ახლა იტყვიან, თავისუფლად მოაზროვნე. გახსოვს, მანამდე ავინა სტალინი, ვიდრე არ გააციმბირეს! დავრჩით ორი ოჯახი უპატრონოდ.

მერე იყო ომი - შიმშილი, სიცივე, სიღატაკე... შენ ორ ადგილზე მუშაობდი; ავადმყოფი, სუსტი, მიმქრალი.

მე და ჩემი დაიკო, 6 საათი რომ მოაწევდა, ფანჯრის რაფაზე ჩამოვსხდებოდი ბელურებით. მაშინ ახლანდელ ჭავჭავაძის გამზირზე ტრამვაი დადიოდა. ჩვენ ბარნოვზე ვცხოვრობდით, მრგვალ ბაღთან. რომ იცოდე, ახლაც მრგვალ ბაღთან ვცხოვრობთ, მცხეთის ქუჩის დასაწყისში. როგორ გავიხარე, როცა ბინა იქ მივიღეთ - ჩემი ბავშვობის ალაგს დაუბრუნდი. ყოველდღე ვხედავდი ნათესავებს, მეზობლებსა და ნაცნობებს. დაბრუნდი იქ, სადაც, მიუხედავად მწარე ბავშვობისა, ყველა სახლი თუ კენჭი ნაცნობი, ახლობელი და საყვარელი იყო.

ჰოდა, იმას ვამბობდი, ვისხედით ბელურებით და ვჟღერტულვდით. ბარნოვზე ტრამვაის გრუნხუნი და ზარის წკრიალი მკაფიოდ აღწევდა. მაშინ ხომ არ იყო ამდენი მანქანა და გუგუნი! აი, ახლა რომ ტრამვაი მოვა, დედა იმას მოჰყვება, იტყოდა დოღო. გაჩუმდი, გოგო, ტუჩებზე ვადებდი ხელს, კი არ მოჰყვება, იმ ტრამვაით მოვა, - (“მოჰყვება” ცუდ ასოციაციას იწვევდა ჩემში). ჰო, ჰო, მოვა, უმაღ მივიხედებოდი და თავს მიქნევდა. გაივლიდა ერთი ტრამვაი... მერე... ხალხის ნაკადი ამოდიოდა რაფიელ ერისთავის ქუჩით, დედა კიდევ არა ჩანს! გვიბაგუნებდა ორივეს გულებში...

ბოლოს, როგორც იყო, გამოჩნდებოდი. მოდიოდი მოთენთილი, დაღლილი ნაბიჯით, მაგრამ წელში გამართული და თავაწეული. თავასწვევი აბა, რა გქონდა, მაგრამ ასეთი სიარული იცოდი. ხელში, როგორც წესი, ჩანთა გეჭირა, ვიცოდით, შიგ ჩვენთვის ელაგა რა-ღაცეები. დაგინახავდით თუ არა, რაფიდან გადმოფოთხილდებოდით და, შენ ვერც კი ხვდებოდი, რა შიში გექონდა ორივეს გადატანილი.

გადიოდა წლები. ბიძა გასაცოდავებული, ოთხი კავერნით დაბრუნდა, ასე თქვეს, გაუშვით, მაინც მოკვდება და ბარემ სახლში მოკვდესო, იღიმებოდა მწარედ. რა ექნათ, ბინის დაცლა მოგვთხოვეს: იმ ოთახში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით, თუ გააქირავებდნენ, 500 მანეთს იძლეოდნენ.

მაშინ მე-9 კლასში ვიყავი. ვხედავდი, როგორ აწყდებოდი კედელს: “სად წავიდე, სად?” ერთმა ღმერთმა იცის, როგორ მეცოდებოდა! სამსახურიდან დაბრუნებულს ყველაფერი წესრიგში გხვდებოდა - “ჩვენი” რვა მეტრიანი ოთახი - დაწვრილებული, ღარიბული კერძი - დამზადებული. რანაირი თვალთ შემომხედავდი, მაკვირდებოდი; ასე მხოლოდ ვაწამებული დედები უყურებენ შვილებს.

მეტიმეტად აუტანელი რომ ხდებოდა ცხოვრება, ლუკმას რომ ვეღარ შოულობდი, გეტყოდი ხოლმე - იცი რა, დედა, კახეთი მომენატრა, მოდი, წავალ მამიდასთან, საგარეჯოში. შენც “ჯჯეროდა” და მეთანხმებოდი. მესამე, მეშვიდე და მეთერთმეტე კლასებში იქ ვსწავლობდი. საბოლოო ჯამში, არაფერი დამიკარგავს. მართლაც რომ შემეყვარდა და დღემდე ძალიან მიყვარს კახეთი, ჩემი იქაური ნაცნობ-მეგობრები. კახეთში ისეთი მეგობრობა და ხელის გაწვდენა იცოდა, თუ ვიწამეს, უნდა იცოდე, ალარასოდეს გიღალატებენ. საქართველოს სხვა კუთხეებში არ ეწყინებათ, ყველგან ასეა, მაგრამ მე ჩემს ობლობაზე ვყვები და მჯერა, მიმიხვდებიან...

მოკლედ, სადმე ბინა უნდა გვეშოვნა. რა ძნელი იქნებოდა ცხოვრება, ქვეყნად კეთილი ადამიანები რომ არ არსებობდნენ. შენმა მინისტრმა, გორდუზიანი იყო გვარად (ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში მუშაობდი არაქივარისად), სვანეთის უბანში, ბოჭორიშვილის ქუჩაზე ერთი თვრამეტ მეტრიანი ოთახი გიშოვნა თავისი შუშაბანდით. ოთახი უფან-

ჯრო იყო, ნესტიანი. გოგოები კინადამ გავეიჟდით სიხარულით (კიტა უკვე ფრონტზე იყო), ჩვენი ბინა გვექნებოდა, არავინ გვეტყოდა, გადიოთ. შენ კი უგუნებოდ ჩანდი. ეჰ, შვილებო, მე აქ დიდხანს ვეღარ ვიცოცხლებ: ვაკეში ჰაერით ვძვებოდი, აქ კი... ყველაფერს მივხვდით. იმ წელს ომი დამთავრდა, ვაჟი საღ-საღამათი დაგებრუნდა, გახარებული იყავი, მაგრამ ჯანმრთელობა უკვე იმდენად შეგერყა, რომ სამსახურში “შეგამცირეს” ...

მთელი დღე ეზოში იჯექი და ჟაკეტებს ქსოვდი, რაღაცით ხომ უნდა გერჩინა ოჯახი? მერე ვილაც ქალი მოდიოდა და გასაყიდად მიჰქონდა.

ჩემი მშობლიური სკოლა ვაკეში მაინც არ მივატოვე და ფეხით დავდიოდი ამ სიმორხეზე, ტრანსპორტის ფული რომ დამეზოგა. სკოლიდან დაბრუნებული, თუკი ვეგრდით მოგისკუპდებოდი. დედა, ილიამდე მაინც მომაქსოვინე რა (ილიის გამოყვანა არ ვიცოდით), ისე შეგეხვეწებოდი, თითქოს მთელი დღე იმაზე ვოცნებობდი, როდის დავიწყებდი ქსოვას-მეთქი, - მოქსოვე, გენაცვალე, გამიღიმებდი ნაღვლიანად. ახლა კი ვიცი, ყველაფერს ვხვდებოდი.

ერთ დღეს დაგახველა, ჯიბიდან ბამბა ამოიღე, პირთან მიიტანე და, ბამბა სისხლით წითლად შეიღება...

დედა! - ვიყვირე მე. - რას იზამ, შვილო, ყველაფერს უნდა შეგეუოთ!

აი, რატომ ახველებს დოდოსაც, გაიფიქრე, არა, არა, რაღაც უნდა ვიღონო! - ტვინი მოტორჩაღმულივით მიმუშავებდა, - ვაიბე, დედას დიდი დღე არა აქვს, დოდოც დაიღუპება...

კონფისკაციის შემდეგ მოწყალება მოიღეს და თეთრული დაგვიბრუნეს. დავიწყე ბუხარი, სკივრში შემთხვევით გადარჩენილი დიდი უხმარი სუფრა აღმოვაჩინე 24 ხელსაწმენდით. უნდა გავყიდი, დედა სანატორიუმში გავაგზავნო. გახურებული ლოყები მეწვოდა, ყურები მიღუგდებოდა. ჰო, მაგრამ, როგორ უნდა გავაკეთო ეს?

1946 წელი იდგა. ფულის რეფორმაზე ლაპარაკობდნენ და მდიდრები განურჩევლად ყველაფერს ყიდულობდნენ.

ვიდექი 17 წლის სანთელივით გოგო და ხელში გაზეთში გახვეული სუფრა მეჭირა. ვიდექი და არავის არაფერს ვთავაზობდი ოდესლაც კარგი მამისგან ნასათუთევი ბავშვი.

ვილაც ხნერი ქალი მომიახლოვდა. - რა გაქვს, შვილო, გახვეული? - სუფრა, - თითქოს დანაშაულში გამოტყუესო, ისე ვუპასუხე. მერე უეცრად გამოვცოცხლდი - იცით, დიდა, 24 ხელსაწმენდით, ზედ საიდუმლო სერობაა გამოსახული, ძალიან ლამაზია! - რამდენი გინდა, გენაცვალე? აშკარად შევეცოდე მდიდარ მანდილოსანს.

- რამდენიც საგზურს ეყოფა. - რაა? ვერ გაიგო ქალმა. უცხად ძალიან შემრცხვა ჩემი მიუხვედრელობის გამო: აი, ავადმყოფი დედა მინდა გავაგზავნო სანატორიუმ-

ში. - ჩავაბარე ანგარიში. სწრაფი მოძრაობით გახსნა ჩანთა, ხელი ჩაჰყო, რაღაცამ გაიტაცუნა...

- როგორი ბედნიერი და როგორი შეურაცხყოფილი ვიდექი მიღწერს... ვიგრძენი, მიწა მეტყვებოდა, თითქოს ფეხები ცარიელ ყალიბებად მექცა, მერე კი, თითქოს გავარჯერებული გამდნარი ტყვია ჩაასხეს, მძიმედ, ძალიან მძიმედ, ძლიერ გადავდგი პირველი ნაბიჯი, შემდეგ - მეორე, მესამე და... მღუღარე ცრემლები წამცდა. ვტიროდი შეურაცხყოფის გამო, რომელსაც არ ვიცოდი, რა ბედი ელოდა...

- რა გატირებს, გენაცვალე, ხომ ვერაფერს გიშველი? - გამეღრინა ვიღაც კაცუნა.

- გაეთრიე! - ვიყვირე უცბათ არაადამიანური ხმით. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს თვალები ბუდიდან ამოხტომას ლამობდნენ.

კაცუნას აშკარად შეეშინდა და უკან დაიხია: - ჩვენ ბოდიში, არ მინდოდა მეწყენინებინა.

შემდეგ კიდევ რამდენი ვეწამე შენს გადასარჩენად, ამას სხვა დროს მოგიყვები. ვეწამე, მაგრამ ვერაფერი გიშველი. სამი წლის შემდეგ სამუდამოდ დავეშორდი, დედიკო!

ხვალ აუცილებლად მოვალ შენს საფლავზე და მიმოვხედავ მოგიტან, რომ ვერ ვიშოვო?

ნაწილი მეორე*

***დაბეჭდა 1 წლის შემდეგ**

დედა, ახლა ღამის სამი საათია. ვერ იქნა, ვერ დავიძინე. მეგონა ცოტა წავთვლინებ-მეთქი, მაგრამ უეცრად რაღაცამ შემაკროთ, და აკი შარშან დაგპირდი, დანარჩენს მერე მოგიყვები-მეთქი. სიტყვა ვერ შეგისრულე, მეორე მარტი მოვიდა უკვე, მე კი იქნებ შენ გამაღვიძე, დედა; იქნებ შემეხსენებ, ჩემო ღამაზო გოგო, სიტყვის გატეხვა როდის იცოდო. გახსოვს, როგორ გსაყვედურობდი, ასე ანუ მეძახი, რას იტყვიან, სირცხვილია-მეთქი. გულიანად გეცინებოდა, ყველა დედას თავისი შვილი ღამაზი ჰკონიაო. მართალი ყოფილხარ, ეხლა მეც შემართება ასე. გამაღვიძე ნამდვილად გამაღვიძე! რაზე შეგჩერდი შარშან? ჰო ფული რომ ვიშოვნე და ბაზრიდან პირდაპირ საგზურის საყიდლად გავიქეცი. ახლაც თვალწინ მიდგას ის ქალბატონი, რომელიც საგზურს მიფორმებდა. ისეთი ღამაზი ლურჯი თვალები ჰქონდა!

ფული რომ გადავაწოდე, რაღაცნაირად შემომხედა, კაშკაშა თვალები დაახამხამა და თვლას შეუდგა; მერე ისევ ამომხედა, დამაკვირდა. ეტყობა, შეეშალა, ისევ თავიდან დაიწყო დათვლა, როცა მორჩა ხელები ნიკაპქვეშ ამოიღო. აი, ისე სურათს რომ იღებენ ხოლმე და, დამაცქერდა.

- რა იყო გოგონი, ვინმემ გაწყენინა?

- არა - ვიუარე სწრაფად.

- მაშინ თვალები რატომ გაქვს დასიბუბული?! მხრები ავიჩიჩე და წარბები ავებებე.

- არც ფერი მომწონს შენი, რატომ ხარ ასე გადაფითრებული?!



ნანული შვიპარდნაძე

კიტა მცხეთაში მუშაობს. რამდენიმე დღეა არ ჩამოსულა. ჩვენც ფული აღარა გვაქვს და სამი დღეა პური არ გვიჭამია. დოღოს ვეღარ ვუყურებ. თვალს დამნაშავესავით ვარიდებ. უცებ უმძიმეს გადაწყვეტილებას ვიღებ:

პლენხანოვის დასაწყისში, ვარანცოვის ხიდიდან, ჩემი თანაკლასელის საქმრო ატელიეში მუშაობს, ქუდებს კერავს. დიდ ვიტრინაფანჯარასთან ზის თავჩადუნული და სანტიმეტრით რაღაცას ზომავს. მინაზე ვაკაკუნებ. თავი აწია, გაოგნებული მიყურებს, მერე თარ-

ჩამოკიდებული, მეშინია, ნერვიულობისგან და სისუსტიისგან არ წავიქეცი.

- აღარაფერი ეშველება, ყველაფერი დაიღუპა, მორჩა! ქაქანებს ბიძაჩემი.

ყელი მიშრება, ვგრძნობ ნერწყვს ვეღარ ვყლაპავ; უცნაურად - ხმა-მალა ვსუნთქავ.

ვიღაც ხნიერი კაცი გვიდგას გვერდით; უნებლიე მოწმე ხდება ყოველივესი. მორიდებულად, წყნარად, მაგრამ მაინც რაღაც მკაცრად ეუბნება:

- რატომ ამინებთ ამ ბავშვს,

მიმოვხედავ მობიტან, დედა!

- ისევ კითხვის ნიშნად ვიქეცი. საგზური გამომიწოდა, ხელი ხელზე დამადლო.

- უი როგორი გაყინული გაქვს! გინდა ჩაი დაგაღვიძონო? - ვიგრძენი სახე მომღრინოდა, ტუჩები ამიცაცხანდა. ცოტაც და - კარგი გენაცვალე, კარგი ყველაფერი გასაგებია! - ვხედავდი, არც მის ლურჯ თვალს ადგა კარგი დღე. რა ვქნა, ასე მგონია, ადამიანები მაშინ უფრო კეთილები იყვნენ.

* * *

როგორც იქნა, დაიდრა მატარებელი სოხუმიისაკენ. თითქმის ექვსი თვე დაჰყავი გულრიფშში. ყოველი თვის ბოლოს ერთი ციბეცხლელება გექონდა სამივე დაძმას ატეხილი, რომ კიტას ხელფასი როგორმე ჰყოფნოდა შენს საგზურს. ჩვენ რითი ვცხოვრობდით? - ჩემი სტიპენდიით, რომელიც უცებ იხარჯებოდა. ინსტიტუტიდან დაბრუნებული დოღო მოწყვნილი მხედებოდა, იჯდა მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილი და სადღაც შორს იყურებოდა, არც პური ჰქონდა ნაყიდი და არც ბაზარში იყო ნამყოფი.

რაღა დამჩინებდა, უჩემრად ვიღებდი ჩანთას, მაღაზიაში მივდიოდი. ვყიდულობდი ერთ კილო შავ პურს, გვერდით - კომერციულში 50 გრამ კარაქს და 100 გრამ ყველს და შინ „გამარჯვებული“ სახით ვბრუნდებოდი. ვადუღებდი ჩაის. დოღოს ვუსხამდი, სქელ, ყვითელ ქალღღმინ გახვეულ კარაქსა და ყველს ვხსნიდი და საუზმის თეფშზე მოწიწებით გვერდიგვერდ ვალაგებდი.

- დოღო ჭამე რა?

- არ მინდა, არ მინდა, თავი გამანებე!

ლასლასით მივდიოდი ტახტისკენ წამოსაწოლად.

ერთხელაც ვხედავ დოღო წამოდგა. თვალები სწრაფად დავხუჭე, თავი მოვიმძინარე. ტახტთან იმუხლებს: - გძინავს? გეწყინა? მაპატიე რა! ღმერთო, როგორ მეცოდება!

- რა უნდა მეწყინოს, უბრალოდ დავიდაღე. წამოდი შენი ჩაი, ალბათ, უკვე გაცივდა. უეცრად ორივე სიცილს ვიწყებთ, ვიცინით, ვიცინით, ვებურდებით.

გზე ჩამოცმული ქუდი მუხლებზე უვარდება. ყურადღებას არ აქცევს, გარეთ სწრაფად გამოდის:

- რა იყო, რა მოხდა? - რატომ უკვირს ასე ჩემი დანახვა? სიმწრით ოფლი ჯერ ხელებს მისველებს, მერე კეფიდან კისრისკენ მიცურავს; ვგრძნობ, როგორ მეცეცება კაბა ბეჭებზე.

- ვალიკო არ შეგიძლია ხუთი მანეთი მასესხო?

- ხუთი მანეთი? კარგი რა, გული არ გამიხეთქო, ათი იყოს.

- არა მარტო ხუთი მჭირდება, მალე დაგიბრუნებ.

- ეჰჰ!

დოღო პურს ზედ არ უყურებს. მერე, ძალიან გვიან მივხვდი, რატომ არ ჰჭამა, რატომ თქვა უარი. სამი დღის უჭმელ ადამიანს უბრალოდ აღარ შია.

* * *

დედა, ორი თვეც არ არის, რაც დოღოს ნატანჯვი სული შენსკენ გამოფრინდა... რამდენადაც შეგემლო ბოლომდე ვუპატრონე, ღმერთია მოწმე, არაფერი დამიკლია...

* * *

როგორც იქნა დაბრუნდი თბილისში; ახლა კარგად ვეღარ ვიგონებ, რომელი დაგხვდით სადგურში, - ალბათ სამივე. აღარც ყვავილების თაიფული გიჭირავს ხელში, არც სიხარულის სიცილტირილი გაქვს ატეხილი. სევდიანად შემოგვცქერი, შინ მოსული პირდაპირ ლოგინში წვები, წვები, რომ აღარასოდეს წამოდგე. ოთახში სამინი ვწევართ - შენ, მე და დოღო. ჩემი საწოლი შენ თავთან დგას, გახველებს დღესაც ვერ გამიგია, რა სასწაულმა გადაამარჩინა!

* * *

ყველა იმედი გადაგვეწურა; აღარაფერი დავგრძენია, გარდა იმისა რომ საავადმყოფოში მოგათავსოთ. ისევ მე მე უნდა ვითავო ეს საქმე. შალიკო ბიძისთან მივდივარ, ვეხვეწები მომეხმაროს. ორივეს გვანხენდება, რომ ერთ-ერთ ტუბდისპანსერში ჩვენი შორეული ნათესავი თამარ ცაგარეიშვილი მუშაობს, იქნებ მოგაწვოს სადმე. ტრამვაი ხათქა-ხუთქით მიქრის ძნელადის დაღმართზე. წინ ბიძაჩემი დგას, უკან მე - სახელურს



გულს რაზე უხეთქავთ, არ გცხვენიათ?!

- შალიკო ბიძია გონს ეგება, დაბნეულია, ხან მე შემომცქერის, ხან ჩვენ თანამგზავს. ისე საწყლად მიყურებს.

- ჯანდაბა ჩემ თავს, აბა რა ვიცი!

რა ქნას, ციმბირმა სულ მოულო ბოლო! ტუბსავადმყოფოს შენობა საბურთალოზე იყო, თუ არ ვცდები, ახლა რომ „სპეციალისტების“ სახლს ეძახიან, იმ ადგილას. თითქმის ყოველდღე დავდივარ, ხანდახან დოღოც დამყვება ხოლმე. გაზაფხულია, არ ვიცი როგორ, მაგრამ მაინც, ვშოულობ ცოტაოდენ კარაქს, თაფლს და ხენდროსაც კი. ყოველ მისვლაზე გვედავები, გვტუქსავ (რატომღაც რუსულად), მეტი აღარ დაგინახოთ, აღარ მოხვიდეთ, გადაგელებათო; კვირაში ერთხელ მაინც გვანხენებ, ჩემი დაზღვევის ფულის გადახდა ხომ არ დავავიწყდათო. ვიცი, რასაც ნიშნავს ეს (აკი შენი დაზღვევის ფულით დავგრძობდი

მერე). დედა, მაინც არ მჯერა რომ რამე მოგივა, მაინც იმედი მაქვს, რაღაცას ვებლაუჭები. სტრუბტომიცინი ახალი შემოსულია, მდიდრები და გავლენიანები ახერხებენ შოვნას. შენ ისე გვჯერა ამ წამლის (მართალიცა ხარ) ყოველ მოსვლაზე მაგონებ, იქნებ რამე იღონო. ისევ ეს ოხერი “რა ვქნა?” ბოლოს ვებედავ მთავარ ექიმთან შესვლას, ვეშუადრები, იქნებ ფიზიოლოგიური ხსნარი მაინც გაუკეთოთ, წამალიაო (ღმერთო რას ვკადრულობ!).

ექიმს სათვალე უჭირავს და ნერვიულად ატრიალებს, მერე მაკვირდება: არა, არ მოვატყუებთ, მართლა გავუკეთებთ, მაგრამ რა აზრი აქვს.

არც კი ვიცი, მიხარია თუ - პირიქით. მაინც იმედინად ვბრუნდები პალატაში:

- დედა წამალს გაგიკეთებენ, აუცილებლად მორჩები! მეზობლად მწოლიარე ქალს ისე უხარია, ისე... ოლია, რა კარგი გოგოები ვყავს! მერე, ცოფდა არ არის, ამათი პატრონი რომ უნდა მოგკვდე?!

ეს კი მეტისმეტია, სახლში დაბრუნებული ლოგინზე ვემხობი, ტირილის თავიც აღარ მაქვს.

მეორე დღეს ისევ ვადგები ჩემს “გოლგოთას”. ალაყაპის კარები რატომღაც დაუკეტავთ და ხალხმრავლობაა. მაისია, მზე ისევ აჭერს... ვიღაც მანდილოსანი ხელს მაშველებს, რა იყო, გენაცვალე? ცხვირიდან ორ ტოტად სისხლი მომთქრიალგებს (ისედაც ანემია მაქვს!) ლაპარაკობენ, ხმა, თითქოს, სადღაც შორიდან მესმის. ხის სკამებზე მაწვენენ. ვიღაცა იქვე, ონკანთან მიბრბის, ცხვირსახოცს ასველებს, შუბლზე მადებს; ვიღაც ფეხებქვეშ ჩანთას მიდებს, რომ უკან გადაქანებული ვიწვე.

კარი გააღეს, თითქმის ყველა შევიდა. ის მანდილოსანი მიახლოვდება:

- ვინ გიწვეს, შვილო, ასეთი ნორჩი აქ რომ დადისხარ?... ნეტა, შენი დედა რა ბედნიერია, უბედური მე ვარ, შენგელა ქალიშვილთან რომ დავდივარ!

ოთახში შესულს შენი ლოგინი ცარიელი მხვდება, თვალს ვამრგვალვებ. ნუ გეშინია, მეორე ოთახში გადავიდაო, მამშვიდებენ. მეც იქვე მივემართები. პალატაში რუსი “სიდეკა” იატაკს რეცხავს. ერთი კი ამომხედა და... უი, აქ გადამოიყვანეს, ესე იგი ყველაფერი მორჩაო... ადგილზე ვშემდები.

ხელს იქნევ, ხმა თითქმის აღარა გაქვს, ხავილით მუხებები:

- დედიკო არ დაუჯერო, არ შეგეშინდეს, სულელია მაგან არ იცის!

მეტი აღარ მინახიხარ. მეორე დღეს მაგიდაზე წერილი დამხვდა: “ნანული, დედა გარდაიცვალა!”

დედა აქ მთავრდება შენთან საუბარი. ხომ გრძნობ, როგორ მიჭირს!!! შარშანდელი საუბარი გახეთქი და ვეღარ ვიცი, არ ველოდი ისეთი თანაგრძნობა მივიღე ყველასგან. წელს იმდენი მიმოზა მომიტანა ნაცნობმა თუ უცნობმა, რომ შენი და დოღოს საფლავი უზარმაზარ თაიფულად იქცა!

მაპატიოს ყველამ, კარგი ადამიანები ახლაც ძალიან ბევრია... მადლობა უფალს!

“ნუ განსჯით სხვის მონას, დგას თუ ეცემა: მას ღმერთი ჰყავს, რომელსაც ძალუქს შეაჩეროს მისი დაცემა და აღადგინოს იგი დაცემის შემდეგ”

სამრბმი ნილუსი

„სამი დიდი ბანაკია ამ ქვეყნად: ცოცხლების, მკვდრების და ცოცხალ-მკვდრების. თუ ბოლო ორიდან ერთი არჩევანზე მიდგება საქმე, მიჩვენებია მკვდრებში ვიყო, ვიდრე ცოცხალ-მკვდრებში“ - სიტყვები ჩემს შორეულ ნაცნობს ეკუთვნის. სულით ხელოვანმა ეროვნული მოძრაობის პერიოდში იარაღს მოჰკიდა ხელი. მისი უცნაური აზროვნებისა არ იყოს, ბედითა თუ უბედობით სიცოცხლეც არაბუნებრივად დაამთავრა „ციხის შიგნიდან გამტეხის“ ხელშეწყობით და მისი სიკვდილის მიზეზიც „აღამაჟამის დროინდელი კაცობრიობის სენია“ აღბათ. ვფიქრობ, სიკვდილის ასეთი ფორმაც იმიტომ დასჭირდა მისი ამქვეყნიდან წასვლას, რომ ადამიანური სისუსტეების გასაბათილებლად იმქვეყნიურ სამსჯავროზე, სიცოცხლეში გაკეთებულ საღვთო საქმეებს დამატებოდა. ერთ-ერთს გაეხსენებოდა: ჯერ კიდევ ეკლესიაში სანთლის დანთება რისკის ფასად რომ ღირდა, საკუთარი მხრებითა და ზურვით ატარა ზღვის დონიდან 4100 მეტრზე, გამყინვარების ზონაში მყინვარწვერის კალთაზე შეფენილ ბეთლემის გამოქვაბულისაკენ მიმავალ გზაზე, ასევე საკუთარი ხელით ამოჩუქურთმებული მუხის დაფა და იავარდქნილი სიწმინდეს კარად შეება, რომ შეინვეციონ ბუმბულსაც აღარ შეეღწია და ხატად დაბრძანებული იღია მართლის გასხვიონსებული სახე არ შეეხებოდა. ჩანს, რომ ადამიანი თავისთავში ქრისტეს ცხოვრების რაღაც ეპიზოდს იძიებდა და რანი ვიქნებოდათ ან ვინ ვიქნებოდათ, რომ „არასოდეს კერათ ხელი, არ ესროლათ ქვა, გვერდზე ჩაველო ვაჭირვებას, ბედის ყოველგვარ უკუღმართობას“...

ამხელა შესავალი კი იმიტომ დასჭირდა ჩემს გულის ხმას, მეთქვა: „თქმა-ართქმის“ მომენტში სათქმელი მეც ყელზე მომდგარი ბურთივით მაწუხებს ხანდახან და საოცრად არ მინდა ცოცხალ-მკვდრებში ყოფნა. მითუმეტეს, თუკი საქმე ჩემს სარწმუნოებას ეხება.

შევეცდები მოკრძალებულად შევბედო ბატონ ოთარს ჩემი სათქმელი:

- იგი, ჩვენი ტელევიზიის გამოცდილი მუშაკი, თითოეული გადაცემა უწმინდესი ცხრილით რომ უკონტროლდებოდა, დამეთანხმება, რამდენად დაამაზინჯა საბჭოურმა წლებმა ადამიანთა ფსიქოლოგია... თაობები გადაავარა და რა საზოგადოება ჩამოყალიბდა ღმერთისაკენ ზურვით დგომით, ნათელია.

ზედნაშენი რით განსხვავდება ბაზისისაგან? დავისავჯოთ კიდევ. ისე, როგორც სხვა ერს სჯის უფალი ამ მიზეზით. როდის დავაღწევთ სასჯელს თავს, ჩვენზეა დამოკიდებული, დანერგულის აღდგენას ზომ დრო უნდა?! მაგრამ კაცი იმედითაა, დაცემას აღმავლობა მოსდევს, ესეც უზუნაისის წყალობით ხდება („მოიხილა მალღობი წმინდით მისით, ხეცით ქვეყნად გარდამოიხილა, რათა შეისმინოს სულთქმაჲ შებოკილთა“ ფსალმუნის 101).

არც ჩემს სამშობლოს აკლდნენ ბიბლიური მოსეს მსგავსი ადამიანები... აღვიბედნენ მიძინებულ ერს, მაძღვრავდნენ: „ვითა მამა ზეცისა იყავნ შენც სრულ“ - აი, თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის

რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი, ამ სიხარულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, - აი, საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელი ერისა (იღ. ჭავჭავაძე) და დღეს ისეც ცოცხლობს კომუნისტური მმართველობის ხანაში საქართველოში ჩამკვდარი სულიერი ცხოვრება, გრძელდება ბერ-მონაზვნური მოღვაწეობა, ოჯახები აღადგენენ საგვარეულო ეკლესიებს... რაც მთავარია, ხალხი ერთმანეთისათვის ლოცულობს, თავისთავად მამულისადმიც. იქნებ, არც ისე შორსაა ის დღე, სახლი ყოველი ვაჟკაცისა რომ აივსება „მზითა და სითბოთი, ბუღელი პურით, მარანი ღვინით... გული სათნოებით. აფრიადდება ეზო-კარი ყოველი ქართველისა ბადიშებით, შვილთა-შვილილებითა და მათი შვილებით. დაუშურებელ მდინარედ იღინებს ბედნიერება ჩემს ქვეყანაში, არ მოიშლება გონიერი ერისკაცი და მწყემსი საქართველოს... ის თბილისიც ისეც ითბილისებს, სად ყოფნაც ასე ენატრება ბატონ ოთარს.

ჩემი მთავარი სათქმელი კი მელ გიბსონის ფილმს ეხება...

პროფესიისა და სპეციალობის შეცვლამ სხვადასხვა მეცნიერებასთან ზიარი მითხოვა და ცოდნის სამყაროს უამრავ ლაბირინთში გამაატარა, და რომ იტყვიან, საითაც წავიდა, ყველგან ღმერთის რწმენის კედელი დამხვდა. არცერთი საკაცობრიო მნიშვნელობის ნაწარმოები არ შექმნილა რელიგიური ასპექტის გათვალისწინების გარეშე. მემხლება, იმოდენა ხელოვნებამ ცოდნეს, ბატონი ოთარი რომაა, რაიმე ახალი უკონხრა, მაგრამ ჩემი კონცეფცია მაინც მინდა ჩამოვაყალიბო.

მოდით გავშალოთ სიტყვა „ხელოვნება“, ხელი-ხელობა-ხელოსანი-ხელოვანი-ხელოვნება და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი მოვიშველიოთ. ხელი - ადამიანის სხეულის ნაწილი, შრომის ორგანო; ხელობა - საქმიანობა, რომელიც ხელით გაწევადას მოითხოვს, ხელოსანი - რაიმე საქმის მკოდნე, ხელოვანი - საქმის ზედმიწევნით კარგად მკოდნე, ოსტატი. ხელოვნება - (როგორც სკოლაში ვასწავლით ბავშვებს) მშენიერების სამყარო, რომელიც სავსეა მუსიკალური ბგერებით, ფერებით, მხატვრული სიტყვით... ხოლო უპირველესი და უდიდესი ხელოვანი, ღმერთი - კაცობრიობას სრულყოფილი სამყარო რომ აჩუქა.

ადამიანი, რის ადამიანია, უკვე შექმნილის და მის გარშემო არსებულის თავის გემოზე გადაკეთებას თუ არ შეუდგა, რაც დღესაც გრძელდება, რადგანაც არ შეუძლია ქმედების გარეშე და... ჭეშმარიტი ხელოვნება ნებისმიერ იდეოლოგიას უნდა გაემიჯნოს. ყველა ადამიანს ხელოვნების ნიჭი რომ ჰქონოდა, არც ომი იქნებოდა, არც ძალადობა. თუმცა როგორც იტყვიან: ნიღბის მორგებაც შეიძლება, მაგრამ ნიღბს ძლიერი მარჯვენა უნდა, რადგან ძლიერი მარჯვენის გარეშე ნიღბს ბოლომდე ვერ მოირგებ, არა აქვს მნიშვნელობა არც ფსიქოლოგიურ, არც მატერიალურ და არც პოლიტიკურ ფაქტორს.

ხელოვნებაში განვითარების პროცესი, ისევე როგორც კაცობრიობის მართვის პროცესი, უწყვეტია. ხელოვნება ბუნებასავით მადლიანია, სამყაროსავით ღრმა-ზღვარდაუღებელი და უკიდევანო, მრავლისდამტევი და მრავლისმთქმელი.

იგი უფლის სულის გამოჩაჩქა, ადამიანთათვის ბოძებული უძვირფასესი და ხელთუქმნელი ხატია, წინაპართაგან შთამომავლობისათვის მიძღვნილი სულიერი ზიარების ბარძიმა, სიწმინდე და საგალობელია. ამიტომ ხელოვანი ვერ დაელოდება „უკეთეს დროს“, მან უნდა შექმნას და ილვაწოს, სანამ დედამიწაზე ეროვნებათმორის შუღლი, იმპერიული ზრახვები იქნება, თუნდაც რელიგიური რწმენის საბაბით. იგი ბოროტს ვერ დაიდებს, რადგან „ხელოვნება სიცოცხლეზე ძლიერ შეჰყვარება“.

როგორც არ შეიძლება ხელოვნების ერთ სიბრტყეში განხილვა, ისევე არ შეიძლება მიიღოს იგი ყველამ ერთგვარად. „ბუღბუღელი ვარდს და ეკალზე თანასწორ მოძღერალიაო“ - ამბობს აკაკი.

ხელოვნებაში ჩანს ხელოვნებისადმიანს, რომელიც ანტიკურ ეპოქას კაცობრიობის ბავშვობის ხანად, ხორციელების, ზემის ყვავილოვნებად თვლის, უარს ვერ ათქმევინებ



მართებაც, იმის და მიხედვით უფალთან მიმართებაში რამდენად იცავს ხალხი ზნეობრიობის მცნებებს „თითოთა ღმერთისაგან წარწერილს“. ისტორიული ქართველების სიმრავლეც იმაზეა დამოკიდებული, რამდენად გვიანდა საკუთარი თავის დანახვა, დაჯერება, რომ ერთმანეთზე უკეთესები არ ვართ. განსაცდელსაც ზომ ამაზე დასაფიქრებლად გვეზავის უფალი და ყოველ ჯერზე გვანიშნებს, რომ ბოროტებას ბუმერანგის თვისება აქვს... ვფიქრობ, გიბსონმა ფილმში კვლავ ბრბოს არსებობისა და მისი წარმმართველის პრობლემა დასვა და ეს არის თავი და თავი აღმშოთებული საზოგადოების სიმძიმისა და არა ის, თუ რამდენად ჭარბობს სისხლი ეკრანზე და მოქმედებს იესოს გმინვა მაყურებელზე. ბრბო კვლავ არსებობს ყოველ ქვეყანაში, ყოველ ერში და საშინაო მისი ენერგია. არა მხოლოდ ორი ათასი წლის წინ ეწამა ქრისტე, იგი ახლაც, ყოველ წუთს, ყოველ წამს გმინავს, როცა კენესის ადამიანი, სისხლს ღვრის, როცა სისხლისაგან იცლება ვინმე... როცა საერთოდ სცოდავს ღვთის შვილი, ქრისტეანი იქნება იგი თუ ოუღველი, მაჰმადიანი თუ სხვა კონფესიის წარმომადგენელი. ასე რომ არ ყოფილიყო, ვერ აიტანდა იერუსა-

არბთუ ააპო ფიქრები
ოთარ სოფიაშვილის პნემატაღვლანის გაყო

ისეთ ფერწერულ ტილოებზე, რომელიც თუნდაც... პრიმიტივიზმს ეკუთვნის, სადაც აქცენტია ადამიანთა შინაგან სამყაროზე, მათ სულიერებასა და ხასიათზე კეთდება და არა პერსონაჟთა ნაკვირვების კლასიკურ ზომასა და გრაციულობაზე.

მაგანს კი რაც უნდა უმტკინო ფიროსმანისა და ანრი რუსოს სიდიადე, მაინც რენესანსულ სილამაზეზე შეაჩერებს არჩევანს.

არ არის მისი ბრალი, იქნება გარეგანი სილამაზე უფრო იტაცებს, მეტს ვერც მოთხოვ. იოანე მახარობელი (მეცნიერთა თქმით, - როგორც ბატონი ოთარი ბრძანებს, - ყველაზე „რეაქციული და ანტიბერაული მიმართულების ავტორი“) ამბობს: „თუ შენ უფლის რჩეული ხარ, აუცილებლად უმცირესობაში უნდა იყო“. შეუძლებელია, მართლაც მასობრივი და საყოველთაო გახლდეს და თითოეული ტაშს გიკრავდეს.

გიბსონის მისტიკის არაფერი ვიცი, მას ადვოკატად ვერ დაკუდგები, თავის დაცვას ჩემს გარეშეც მოახერხებს, მაგრამ ვიტყვი, რომ იგი ამერიკელი ხელოვანია, ამერიკული კინოს წარმომადგენელი და ამით ყველაფერია ნათქვამი.

ამერიკული კინო და საერთოდ კინო რომ კომერციულია, ზურვიკელასი არ იყოს „მაგი მე ბავშობიდან ვიცი“. როგორც ხელოვნების ყოველ მსახურს, მასაც ურჩევნია მშენიერების სამყაროში იფრინოს, მუშათა სავანეს მისწვდეს, ფერთა საოცარი ნაზავით აღფრთოვანდეს და ფიქრისა თუ ტანჯვის სამოსელი ჩვენც წამოგვასუროს. მაგრამ არსებობს მეორე ვარიანტიც: ხელოვნება - ხელოვნებისათვის! გიბსონმა „ქრისტეს ვნებანისათვის“ პირველი ვარიანტი ამოირჩია... სახარებებიდან ამონარიდი ეპიზოდები, დეკორაციები, მიზანსცენები, შერჩეულ მსახიობთა ტიპაჟები... ხომ ყველანაირი მაყურებლისათვის გათვალა? ზოგი აატრია, ზოგი ასეირა, ზოგიც

კი ზედმეტად დააფიქრა... გამოჩნდა, ზოგიერთმა ეს ფილმიც, წმიდა წიგნზე დაყრდნობით შექმნილი, დეტექტივადაც მიიღო.

კითხვაზე, ბოლოს და ბოლოს ვინ აცვა ჯვარს ქრისტე, გიბსონის პასუხი „მე“, ჩემის აზრით საზოგადოების იმ ნაწილისადმი (გიბსონის ტკივილი რომ ვერ დაინახა) რეჟისორის ხელჩაქეულ პასუხად უფრო მიმაჩნია, ვიდრე მიღწეული შედეგით კმაყოფილისა.

აშშ ახალი ქვეყანაა. მის საზოგადოებას დახვეწა სჭირდება. ამერიკელს ჯერ ვერ მოსთხოვ ფრანგულ ლაზათსა და შნოს, იტალიურ ელევანტურობას, ინგლისურ თავშეკავებულობასა და ეტიკეტს, იაპონურ ტრადიციულობას საშუარების სტილში. ეგ კი არა, შეიძლება მშობლიური ფესვების სიყვარულზე გაიცინოს. თუმცა აქვს ის, რაც არ აქვს არცერთ ქვეყანას დედამიწის ზურგზე - თავისუფლება და კიდევ მუდმივი ღიმილი ბაგეზე.

ეთიკურ ნორმებს გადაცილებული თავისუფლება კი, რამდენად მომხიბველია? და საერთოდ მომხიბველია კი? ესეც საკითხავია! გასაკვირი არც ის არის, ერთი საზომი რომ არც ძირძველ და ტრადიციულ ქვეყანაში გამოდგება, - ყოფიერებაზე დაფუძნებული ვერ გაიგებს, რატომ არ ამოდიოდა დიოგენი კასრიდან, რატომ შეაკლა ბაირონმა თავი სხვა ქვეყანას, რატომ შეეწირა თუნდაც ჩვენი ქეთევან დედოფალი სარწმუნოებას... ასეთები უფრო ადვილად გაერევიან ბრბოში, „ოსანა მალალა შინაც იმღერებენ“ და „ჯვარს აუც ევესაც“ შეჰყვირებენ.

სწორია ბატონი ოთარი! ბრბოს არ გააჩნია კონკრეტული ნიშნები, არც ეროვნული, არც რელიგიური-სარწმუნოებრივი, „ბრბოს“ პრობლემა უძველესი დროიდან არსებობს, ყოველი ერი ისტორიულ გზა-სავალს ფარავს, აღმართებაც ხვდება, დალ-

ღიმის კურთხეული მიწა ამ რელიგიათა წარმომადგენლებსა და მათ ტაძრებს ერთად. ეს ზომ იმასაც მოწმობს, რომ „იმქვეყნად მხოლოდ სამი საქმეა დიდებით მოსილი: საყდრის შენება, სხვათათვის სარგებლის გაწევა და სათნო და ღვთის მადიდებელი შვილის გაზრდა“.

ოი, მართლაც და შური და უწიგნურობა ანგრევს ქვეყანას და არა მტრის შემოსევა. ამის შიში რომ არა, რისთვის მოვიდოდა ძე ღვთისა დედამიწაზე ან ვისთვის? გამოდის. რომ იგი ყველასათვის, თვით ყველა ებრაელისათვისაც კი არ მოსულა ამქვეყანაზე. თავადაც არ ამბობს - „თქვენი გზა იყოს ვერცხლის სიყვარულის გარეშე და იმას დასჯერდით რაცა გაქვთ. აი, თქვენს კართან ვდგევარ და ვაკაკუნებ. ვინც ჩემს ხმას გაიგებს, მე მასთან შევალ“. ასე რომ ღმერთი ძალად ვერავის აცხოვნებს თუ ადამიანი საკუთარი სურვილით ეწინააღმდეგება სულით ცხოვნებას. ყველაზე დიდი დანაშაული კი, მე თუ მკითხავენ, ისაა, რომ საერთოდ მოხდა „ოთხთავის“ ეკრანიზაცია და იესოს სახე, ცხოვრება, წამება, ისეთი მაცლუნებელი საგნის ობიექტად იქცა, როგორც ფულია. მაგრამ რას იზამ, ხელოვნება ზომ მწარე სინამდვილეც არის, სტიქიასავით ბოობქარიც, ცდუნებასავით ცბიერი, ნიჭიერთათვის წვდომის საგანი, ბრიყვთათვის მიუწვდომელი, სიკვდილივით უმანკო, უფალივით მიმტევებელი. სულიწმინდასავით გარდმოვლენილი მშვიდობის მტრედი, გოლგოთას გზა, ძე ღმერთის გმინვა და მაინც მისი ცრემლების ფასი. ამიტომ ბედნიერად არის ის, ვინც მისი ჯვრის სიმძიმეს იტვირთებს, სულს სიმშვიდესა და სიმსუბუქეს მოჰყენს და ერს „ტაძრისაკენ მიმავალი გზისკენ“ მიუთითებს.

გიული წარმთილი

გაითხველის გვერდი

მზე კარგა ხნის გადახრილი იყო, როდესაც ყვავილების მალაზიასთან შეეჩერდა. ჩემი ყურადღება მიიპყრო ჭაღარა. სანდომიანმა მოხუცმა, რომელიც დიმილით ეფერებოდა წითელ ვარდს. რაღაცას ჩურჩულებდა და ბოლოს ხმამაღლა, ჩემდა გასაგონად მოუვიდა ნათქვამი: “ღმერთო, ფრთებით დაიფარე ამ ვარდის მონაპოვარი ჩემს სამშობლოში, ამას გვედრები”.

შეგვრიალი და გაოცებულმა შევეკითხე: - ქალბატონო, ქართველი ხართ?

გამრა. ცრემლიანი კეთილი თვალები შემომანათა და: “- ვაიმე, დიას, შვილოო, მითხრა”.

- შენ შემოგველე, აქ მუშაობ? დიდი ხანია? თბილისიდან ხარ? - სულმოუთქმელად მეკითხებოდა. პასუხს არც ელოდებოდა, სხვა შეკითხვას მისმევდა, სიხარულის სხივი ეფინებოდა სახეზე.

გაზა ერთი მიმართულებით განვარდით. ჩემთვისაც და ჩემი თანამგზავრისთვისაც ეს ბედნიერი წუთები იყო.

ვუსმენდი და მივიკრდა, რა დიდი ძალა და ენერჯია, რწმენისა და სულის სიმტკიცე ქონია, რომ ხუთი წელია მუშაობს ქვისში, მოხუცებს უვლის. თვითონაც უკვირს და თავს “რკინის ქალს” ეძახის. წყნარად და ტკბილად მიყვებოდა თუ როგორ მოხვდა ამერიკაში.

მეც აღვიდგინე ეს საუბარი, და ჩემი დღიურისათვის შემოვიწინებ. აი ესეც:

* * *

იმ საუკუნის 23 ნოემბერი უკანასკნელი გიორგობა იყო მისთვის, საქართველოში რომ შეხვდა. სამგორის ზღვიდან ცივი ქარი ქროდა. თბილისის აეროპორტში ავსტრიის ეკიპაჟი მგზავრებს ეპატიჟებოდა, რამდენიმე წუთიც და ნისლიანმა ბინდმა დაგვაშორა მშობლიურ დედაქალაქს, გამცილებლებს.

ვიგრძენი, რომ გული იქ დამრჩა. კიდევ ერთხელ, უკანასკნელად გადმოვხედე ჩაბნელებულ თბილისს, აქა-იქ სანთელივით, რომ ბჟუტავდა სინათლე. ავტირდი და მიწით სავსე პატარა ქისა მაგრად ჩავიკარი მკერდში.

ლაინერმა სიმაღლე აიღო; გამცილებელმა გოგონამ ჯერ ქართულად, შემდეგ ინგლისურად მისალმებისა და გაცნობის შემდეგ გზა დაგვილოცა.

სულით წმინდა და მორწმუნე ადამიანის გზა, მშვიდობიანი და ბედნიერი, გამიგონია ჩემ სამშობლოში, ხევსურეთში.

გადავიწყებ პირველად და მივანდე გზას ჩემი სიცოცხლე, სად მივდიოდი, მაშინ აზრზეც არ ვიყავი, არაფერი არ მახსოვდა. უმუშევრობის გამო, გაჭირვებამ სულ გამომიფიტა გონება. 24 ნოემბერი ავსტრიის მშენებელ ქალაქში, ვენაში გა-

ითენდა. ხუთნი ვაგრძელებდით გზას ნიუ-იორკისაკენ. დღის 12 საათზე ბოინგი ამერიკისაკენ მომაქროლებდა, მაშინ რას წარმოვიდგენდი თუ ამდენი ხანი მომიწევდა აქ დარჩენა, ბევრის მომსწრესა და წლებით მდიდარს, ვერც ვიფიქრებდი თუ შევძლებდი მუშაობას.

ბედმა თუ წერამ, რუსი ებრაელების ოჯახში მომახვედრა. მოხუცი ცოლ-ქმარი ნახევარი საუკუნეა, რაც პეტერბურგიდან ემიგრირებულნი არიან. სხვა ეროვნების, სხვა ადამიანების ასაკოვანმა მოხუცებმა, ქართველი ქალი ოჯახის წევრად მიმიღეს.

ღმერთი შევიყვარე, პირველი დავიწყებ, “ქრისტე აღსდგაო”, რომ კუთხარი ჩვენს ადგილამ დილას (ამათ თავისი ადგილამ ხან ადრე, ხანაც მოგვიანებით აქვთ), “ჭემ-მარიტადო” მიპასუხა კაცმა. ქალი ვერ ლაპარაკობს, 13 წელია ინსულტის შემდეგ პარალიზებულია. თბილისში ბევრჯერ არიან ნამყოფნი. უყვართ ქართველები, ომის დროს ენგელსის ქუჩაზე ნათესავთან უცხოვრიათ 2 წელი. ახალგაზრდობაში ბევრი ნაცნობები და მეგობრები ყოლიათ თბილისში.

ამ ქალის და მწერალია, ვიკა პლატოვა. უამრავი წიგნის ავტორი. მათ შორის რომანისა “ნაპირი”, მისი მეუღლე მხატვარი კარიკატურისტი მიშა ბედომლინსკი, უზომოდ შეყვარებულია ქართველებზე, ერთხელ სტუმრობისას ვიკამ მომიტანა რეზო გაბრიადის მიერ ავტორგრაფით ნაწიქარი წიგნი, რომელსაც რელიქვიასა და მეგობრობის სიმბოლოს ეძახიან. წარწერა ქართულადაა და მე გადავუთარგმნე რუსულად.

“ძვირფას ვიქტორიას უღრმესი პატივისცემით: მე მინდა რომ გაგვაქროლოს ფაიჭონმა სიყვარულის ქვეყანაში (საქართველოში)” - რ. გაბრიადი.

1972 წლის ჟურნალი “ლიტერატურული საქართველოც” წამოუღიათ ლენინგრადიდან. სწორედ ამაში ჩანს სიყვარული ქართველი ხალხისადმი. ფურცლები გაყვითლებია ჟურნალს, მაგრამ ამაყად იკითხება ქართველი მწერლების გვარები: მუხრან მაჭავარიანი, ზურაბ კუხიანიძე, გურამ ფანჯიკიძე, მიხო მორჩილაძე, მიხეილ რაზმაძე...

ბატონ რეზოს ალბათ ადარც ვემახსოვრებოდა, - დანახვით თქვა ვიკამ, - ჩვენ კი დიდ პატივს ვცემთ მის ნიჭსო, შეუდარებელი თამადააო.

რუსებისგან დიდი წყენა ახსოვთ: სკოლაში, შემდეგ ინსტიტუტში “ჭიდებს” ეძახდნენ თურმე და აბუჩად იფლებდნენ, აი ამან გადაგვაწვევტა სამშობლოს დატოვებაო, გულდაწყვეტით ამბობდნენ. მოხუცი მშობლების ნახვა ვერ მოახერხეს, ახლა საფლავების სურათებს მაჩვენებენ ცრემლიანი თვალებით. რომლებიც ნათესავებმა გამოუგზავნეს.

ბევრი ქართველი გავიცანი აქ. გაჭირვებამ სად არ მიმოფანტა ჩვენი ახალგაზრდობა, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი, განათლებული ჭაბუკები და ქალიშვილები, არ თაკილობენ, არ ერიდებიან შიდა მოსამსახურედ მუშაობას. ძალიან ბევრს ითმენენ და უძლებენ. ჩემად, უხმოდ მუშაობენ არა თავისი პროფესიით. ესაა, რაც მიკლავს გულს. გაჭირვებამ მიგვიყვანა ამ ზომამდის. ერთი დასვენების დღე აქვთ და იმასაც ტაძარში, ლოცვაში ატარებენ, სამშობლოს ბედს ავედრებენ მაღალ ღმერთს. ნოსტალგიას, სახლში დაბრუნების ოცნებაში ახშობენ.

დიდება თქვენ შვილებო! თავს ვაძლევ უფლებას, შვილები გიწოდოთ. სამი შვილის დედა ვარ და რვა შვილიშვილის ბებია, ვლოცულობ თქვენზე.

უბედნიერესი ვარ, რომ ქართული გაზეთები “მამული”, “ივერია” იბეჭდება აქ. დიდი მადლობა მის დამფუძნებლებს, თანამშრომლებს. სიბოხსა და სიმხნევს მატებენ ნოსტალგიით გადაქცეულ გულს. ვიცი, რა დიდ სიძნელებთან არის ეს შრომა დაკავშირებული. ვეფერები და ვლოცავ ნაცნობ და უცნობ გვარებს, სახელებს. სიცოცხლე გამიხალისა ქართულმა სიტყვამ. ბედნიერი ვარ, რომ თქვენ სამშობლო გიყვართ. აქ დღე დამემ შეცვალა, დიმილი სვედამ, სიცოცხლე მონატრებამ. დრო მინდის რჩება ისტორიის ფურცლები, რომლებიც შემდგომ თაობებს გააცნობენ იმ ავბედით დროს, როდესაც საქართველო ფანტავდა თავის იმედს, ძალა ელეოდა.

ნიჭიერი ახალგაზრდა კინორეჟისორი, ლევან კოლუაშვილი სწავლობს, დამე მუშაობს, რომლის შესახებაც თბილისიდან მაცნობეს, უნახავთ მისი მოკლემეტრაჟიანი ფილმი ქართველების ცხოვრებაზე ნიუ-იორკში. ეს დოკუმენტური კადრები, მართლაც ისტორიის საკუთრებაა. ამ ისტორიის ავტორები თქვენ ხართ ჩემო ძვირფასებო, ოცდამეერთე საუკუნის ალიონს რომ ასხვიფონებთ, კეთილი საქმით. შესანიშნავ მუსიკოს, მევიოლინეს ნინო ბერიშვილს თავისი ინსტრუმენტი აქ მოსაფერებელ საგნად გადაუქცევია. ჯანსუღ კახიძის სახ. ორკესტრის თანხლებით ჩატარებული კონცერტები კი ტკბილ მოგონებად დარჩენია მთელი სიცოცხლის მანძილზე. მანკეტენზე მართმადიდებელ რუსულ ტაძარში წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი ვიხილე. მუხლი მოვიყარე. თვალწინ დამიდგა ფეხშიშველი ქალწული თავისი თმით შეკრულ ვაზის ჯვარს რომ იხუტებდა გულში და საქართველოსაკენ მოემართებოდა ქრისტეს სიწმინდის დიდი იმედით და ბედნიერებით. ჩვიდმეტ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ და სწორედ იმ ჯვარის სული ტრიალებს აქაც ამერიკაში. დიდება იმ ქართველი ვაჟაკის მარჯვენას, ვინც შენ აქ დაგასვენა და თავისი გული ჩაგიტოვა რწმენის იმედით. კახაბრის ნახელავს ქართული მირონის სურნელი ეფრქვევა. ეს ფრაზები არ ყვირის, მე ამას ნამ-



მე ვნანი უბრალოდ ჩემს მეგობარზე...

დვილად ვამბობ.

“იქნებ, ნინოს ვაზის ჯვარი უცხოეთში, დამკვიდრდეს და გაიმტკიცოს რწმენა, შეაყვაროს ამ ქვეყანას საქართველო,

ქართველები და ქართული ენა”. თქვენ აქედან ემსახურებით მამულს, ენას, სარწმუნოებას. გარკვეული პერიოდის შემდეგ ყველანი დაუბრუნდებით მშობლიურ კერას. თქვენც ძალიან ბევრი დაგიგროვდება სათქმელი. გაკეთებული, გასაკეთებელიც დაგრჩებათ. არ არის იოლი სამშობლოდან შორს ცხოვრება. ბედნიერი ყოფილიყოს ყოველი თქვენთაგანი-სათვის გზა-მომავალი ერთიანი მშვიდობიანი საქართველოსაკენ. გლოცავთ... მე ოპტიმისტი ვარ და ყოველთვის მაქვს იმისი იმედი, რომ ხვალინდელი დღე დღევანდელზე უკეთესი იქნება. სიკეთე ყოველთვის სძლევს ბოროტებას.”

სამუშაო ვესტებიულამდე მივაკილე. ტელეფონები გავცვალეთ. გამიღიმა, მომეფერა დამლოცა და დამემშვიდობა.

გული დამწყვდა. რაღაც უხილავმა ძალამ დამამძიმა. რატომ, რატომ, ასეთი თბილი და კეთილი ბებია ამ ასაკში არ უნდა იყდეს მშვიდად თავის ოჯახში. დანახვით რომ ვთქვა: “ეჰ?! ხუთი წელია ჩემი ბინა არ განიავებულაო.” მაშინ არაფერი მითხრა და თურ-

მე ლექსებსაც წერს ჩემი მეგობარი - ქალბატონი იზოლდა. გავოცდი, როცა ტელეფონში წამიკითხა რამოდენიმე ლექსი. დღე მუშაობს თურმე და ღამე წერს. ძალიან შევეხვეწე ჩაეწერებინა ჩემთვის, მინდოდა გაზეთის რედაქციისათვის გამეგზავნა, თვითონ კი მოხოვა, საგაზეთო არ არის ეს ლექსებო, მაგრამ მე მაინც იმ დღიდან მოსვენება დავკარგე: - როგორ შეიძლება ასეთი ლექსები ჩემად იწვოდნენ ღამის სიბნელეში და მკითხველმა ვერ წაიკითხოს-მეთქი.

რატომ ეფერებოდით იმ წითელ ვარდს, რომ შევეკითხე, დიმილით მიპასუხა: “ვარდი ძალიან მიყვარს, ვარდობის თვეში ვარ დაბადებული და ახლა მითუმეტეს, ვარდების რევოლუციამ მსოფლიოს გააცნო ჩვენი სამშობლო, საქართველო.”

რომ შევეკითხე, თუ რა აზრისაა ამერიკაში დარჩენაზე, გაიღიმა და მითხრა: ჩემი ადგილი აქ არ არისო. ძალიან ძლიერი, ეკონომიურად მდიდარი ქვეყანაა ამერიკა, მაგრამ ჩვენ აქ შვილებს ვერ გავზრდით ისეთებს, როგორც ჩვენს ერს შეეფერებაო.

თუ რას გულისხმობდა ამაში **იზოლდა სორაბაძე** - ეს სხვა დროს სალაპარაკო თემაო, მიპასუხა.

ლელა ბაბიტაშვილი

მე წლებით მდიდარს და ბევრის მომსწრეს, მსგავსი რამ ჯერ არ გამიგონია, ჩვენ რა ვიცოდით, თურმე ქართულ ვარდს ეს რა მებრძოლი სული ჰქონია. ვარდობის თვეში დავიბადე და მზემ დამანათლა გაზაფხულისამ: - ღრმა სიბერემდე ვიყო ერთგული, სიკეთისა და სიყვარულისა. დარმიც, ავდარმიც ღმერთს ვევედრები არ დამივიწყოს და მიპატრონოს, სული არ გაჰყვეს ფიქრებს თბილისში და არ გამწიროს, აქ არ დამტოვოს. უკვე მოხუცი დავუბრუნდები, საქართველოში მშობლიურ კუთხეს. ღმერთო, მეტს არ ვთხოვ, ჩემი ქვეყანა დაამშვიდე და ლოცვით აკურთხე.

იზოლდა სორაბაძე



2004 წლის 5 ნოემბრიდან დაიწყო განცხადებების შეტანა „გრინ-კარდ“-ის ლატარიაზე. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დადგენილი ახალი წესების მიხედვით, განცხადებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ინტერნეტით და მხოლოდ სპანირებული სურათით.

ნოუ იორკის შტატში ლიცენზირებული სამიგრაციო ადვოკატი კახა კვაჭაბაძე შეგივსებთ განცხადებებს კანონის მოთხოვნების სრული დაცვით, სკანირებულ სურათთან ერთად შეიტანს ინტერნეტით, და მოგცემთ ამობეჭდილ ოფიციალურ დამამტკიცებელ საბუთს ლატარიაზე თქვენი განცხადების შეტანის შესახებ.

გახსოვდეთ:

- * ლატარიაში გამარჯვება არ ნიშნავს „გრინ კარდ“-ის მიღებას
- * ამერიკაში უკანონო მყოფნი ვერ შეძლებენ „გრინ კარდ“-ის მიღებას თუნდაც ლატარიის მოგების შემთხვევაში

დარეკეთ: (917) 560-2158

ირქართ, განცხადებების შეტანის დრო შეზღუდულია

ადვოკატი კახა კვაჭაბაძე აბრეშთვე ბთავაზობთ უზასო სატელეფონო კონსულტაციებს (სალამოს საათებისა და შაბათის ჩათვლით) ამერიკის სამიგრაციო, საკორკორაციო, სახელშეკრულებო, სავაჭრო ნიშნების სამართალში.

რეკლამა ჩვენს ბაზეთში – ნარმატების სანიდარი



გამონიაროთ მამული

სურვილი მაქვს გამოვიწერო გაზეთის:

- 12 ნომერი საერთო ღირებულებით 15 დოლარი
- 12 ნომერი საერთო ღირებულებით 20 კანადური დოლარი

(სახელი და გვარი ბეჭდური ასოებით)

(ქუჩის დასახელება, აპარტამენტის N)

(ქალაქი ZIP-CODE და ტელეფონი)

ჩეკი ან მანი ორდერები MAMULI Newspaper სახელზე გაფორმებული უნდა გამოგზავნოთ შემდეგ მისამართებზე:

აშშ-ში MAMULI კანადაში
 P.O. BOX 13121, 32 BARTON AVE
 JERSEY CITY, NJ 07303 | TORONTO ON M6G 1P1



შეიძინეთ ქართული მუსიკალური ვიდეო კლიპების კრებულები DVD-ზე

პირველი დისკი: მაია ჯაბუა, მერაბ სეფაშვილი, „ქუჩის ბიჭები“ და ნინო ქარსელაძე, დათო ზუჯაძე, „ფორტე“, თემურ თათარაშვილი და თიკა ხეცურიანი, ნინელი ჭანკვეტაძე, გია როინიშვილი, ზუკა ზუციშვილი, ბასტი-ბუბუ, უცნობი, მარიკა თხელიძე, სალომე გასვიანი, „ვაკის პარკი“, ანა ჯაკი...

მეორე დისკი: ვგუფი „საუნდი“, თემურ თათარაშვილი, უცნობი, ლიზა ბაგრატიონი, ნატო მეტონიძე, მაია ჯაბუა, დათო ეგვინიძე, მერაბ სეფაშვილი, ანრი ბასილაია, ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე, ლელა წურწუშია, სოსო პავლიაშვილი, დათო ზუჯაძე, ზუკა ზუციშვილი, „ფორტე“, ბასტი-ბუბუ, სალომე გასვიანი...

გამოგზავნეთ Check-ი ან Money Order-ი:

გთხოვთ გადასახადთან ერთად ცალკე ფურცელზე მოგვაწოდოთ თქვენი სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომერი!

PEPELA LLC
 244 Fifth Avenue, suite 2721
 New York, NY 10001

შეიძინეთ დღეს და დაზოგეთ! ერთი DVD \$15.00 ან ორივე DVD \$25.00, ორივე შემთხვევაში გამოგზავნა უფასოა!

